საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევა

კვლევის ანგარიში 2017

მესამე რაუნდი

საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების დონის კვლევა

კვლევის ანგარიში 2017

მესამე რაუნდი

act

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

WITH FUNDING FROM
AUSTRIAN DEVELOPMENT COOPERATION

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

კვლევა მომზადებულია ეისითის მიერ გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით

კვლევა გამოცემულია პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების ოფისის (SCO) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) ფინანსური მხარდაჭერით.

გამოთქმული მოსაზრებები ავტორისებულია და არ გამოხატავს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის განვითარების ოფისის (SCO) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის (ADC) შეხედულებებს.

C UNDP Georgia, 2017
საავტორო უფლებები დაცულია
გამოცემულია საქართველოში

სარჩევი

შესავალი **9**

1. კვლევის წინაპირობა **11**

2. ქართული კონტექსტი **13**

2.1. ზოგადი მდგომარეობა 13

2.2. მდგომარეობა სფეროების მიხედვით 15

2.3. საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების პრაქტიკა 19

2.4. საზოგადოების მონაწილეობა 20

3. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია **23**

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა 23

3.2. რაოდენობრივი კვლევა 24

3.3. თვისებრივი კვლევა 25

4. კვლევის შეზღუდვები **27**

5. კვლევის შედეგები **29**

5.1. სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლება 30

5.1.1. მუნიციპალური საბავშვო ბაღები 30

5.1.2. საჯარო სკოლები 36

5.1.3. პროფესიული სასწავლებლები 39

5.2. სხვადასხვა სოციალური მომსახურება 49

5.2.1. სოციალური დახმარება 49

5.2.2. უფასო სახელმწიფო სასადილო 50

5.2.3. სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური მომსახურების შეფასება 52

5.3. ჯანდაცვა 59

5.3.1. ავადმყოფობის დროს სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობა საავადმყოფო 59

5.3.2. სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვიანობა პროფილაქტიკის მიზნით 62

5.3.3. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 63

5.3.4. მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრები 65

5.3.5. პირუტყვის/შინაური ცხოველების პროფილაქტიკური აცრები 67

5.3.6. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები 68

5.3.7. ზოგადი კმაყოფილება ჯანდაცვის სისტემით 69

5.4. რეკრეაცია, დასვენება და კულტურა 78

5.5. კომუნალური ინფრასტრუქტურა 80

5.5.1. წყალმომარაგება 80

5.5.2. საკანალიზაციო სისტემა 83

5.5.3. ელექტროენერგია 84

5.5.4. გაზმომარაგების ცენტრალური სისტემა 84

5.5.5. ნარჩენების გატანა 85

5.5.6. დასუფთავება 87

5.6. საგზაო ინფრასტრუქტურა 94

5.7. სხვადასხვა მომსახურება 99

5.7.1. დასახლებების დაგეგმარება 99

5.7.2. ტურიზმი 100

5.7.3. სოფლის მეურნეობა 102

5.7.4. საირიგაციო სისტემა 104

5.7.5. უფასო იურიდიული დახმარება 105

5.7.6. სხვადასხვა საჯარო მომსახურება 106

5.7.7. უსაფრთხოება 107

5.7.8. ელექტრონული სერვისები 109

5.7.9. ეკოლოგია 110

5.8. თვითმმართველობის მომსახურების ზოგადი შეფასება 117

5.8.1. მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში 117

5.8.2. ადგილობრივი თვითმმართველობით კმაყოფილება და მისდამი ნდობა 118

5.8.3. მოსახლეობის მიმართვიანობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან 121
5.8.4. არსებული მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფა 123
5.8.5. გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევა 124
5.9. მოსახლეობის სოციო-დემოგრაფიული პროფილი 132
6. შეჯამება 137
6.1. დასკვნები 144

გრაფიკების სარჩევი

გრაფიკი # 1 - მუნიციპალური საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა, მანძილი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა - 2017 წლის მონაცემები 30
გრაფიკი # 2 - მუნიციპალური საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა, მანძილი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 31
გრაფიკი # 3 - საბავშვო ბაღების დასახლებაში/უბანში ხელმისაწვდომობა რეგიონების მიხედვით - 2017 წლის მონაცემები 32
გრაფიკი # 4 - მანძილი მუნიციპალურ საბავშვო ბაღებამდე რეგიონების ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 33
გრაფიკი # 5 - საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა უახლოეს მუნიციპალურ საბავშვო ბაღამდე მისასვლელად რეგიონების ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 33
გრაფიკი # 6 - მუნიციპალური საბავშვო ბაღაბით კმაყოფილება რეგიონების ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 34
გრაფიკი # 7 - მუნიციპალური საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 34
გრაფიკი # 8 - მუნიციპალურ საბავშვო ბაღებთან ხელმისავწდომობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 35
გრაფიკი # 9 - მუნიციპალური საბავშვო ბაღებით კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები 35
გრაფიკი # 10 - საჯარო სკოლების ხელმისაწვდმობა, მანძილი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა - 2017 წლის მონაცემები 36
გრაფიკი # 11 - საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 37
გრაფიკი # 12 - საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 38
გრაფიკი # 13 - საჯარო სკოლებით კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები 38
გრაფიკი # 14 - პროფესიული სასწავლებლების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა - 2017 წლის მონაცემები 39
გრაფიკი # 15 - პროფესიული სასწავლებლებით კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები 39
გრაფიკი # 16 - იმ სფეროს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც პრიორიტეტულია დასახლების/ქალაქის მაცხოვრებლებისათვის პროფესიულ (პროფტექნიკურ) სასწავლებელში - 2017 წლის მონაცემები 40
გრაფიკი # 17 - პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებელის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 41
გრაფიკი # 18 - პროფესიულ სასწავლებლებში დასაუფლებელი პროფესიებისთვის პრიორიტეტული სფეროები გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 42
გრაფიკი # 19 - მუნიციპალური საბავშვო ბაღებით კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 43
გრაფიკი # 20 - საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 44
გრაფიკი # 21 - საჯარო სკოლებით კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 45
გრაფიკი # 22 - მუნიციპალიტეტში/რეგიონში პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 46
გრაფიკი # 23 - პროფესიულ სასწავლებშლებში დასაუფლებელ პროფესიათათვის პრიორიტეტული სფეროები - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 47
გრაფიკი # 24 - პროფესიულ სასწავლებშლებში დასაუფლებელ პროფესიათათვის პრიორიტეტული სფეროები ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 47
გრაფიკი # 25 - პროფესიულ სასწავლებშლებში დასაუფლებელ პროფესიათათვის პრიორიტეტული სფეროები გენდერის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 48

გრაფიკი # 26 - სხვადასხვა სოციალური დახმარებებით სარგებლობა - 2017 წლის მონაცემები 49
გრაფიკი # 27 - სხვადასხვა სოციალური დახმარებებით სარგებლობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 50
გრაფიკი # 28 - უფასო სახელმწიფო სასადილოსთან ხელმისაწვდომობა, ულუფები, კვების ხარისხი - 2017 წლის მონაცემები 50
გრაფიკი # 29 - უფასო სახელმწიფო სასადილოების ხელმისაწვდომობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 51
გრაფიკი # 30 - უფასო სახელმწიფო სასადილოების ხელმისაწვდომობა, კვების ხარისხის შეფასება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 52
გრაფიკი # 31 - უფასო სახელმწიფო სასადილოებთან ხელმისაწვდომობა - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 53
გრაფიკი # 32 - საავადმყოფოებისათვის მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები 56
გრაფიკი # 33 - საავადმყოფოებისთვის მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 57
გრაფიკი # 34 - საავადმყოფოებისათვია მიმართვიანობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 58
გრაფიკი # 35 - პოლიკლინიკისთვის მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები 58
გრაფიკი # 36 - პოლიკლინიკისთვის მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 59
გრაფიკი # 37 - პოლიკლინიკისთვის მიმართვიანობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 59
გრაფიკი # 38 - ამბულატორისთვის მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები 60
გრაფიკი # 39 - ამბულატორიისთვის მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 60
გრაფიკი # 40 - ამბულატორიისთვის მიმართვიანობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 61
გრაფიკი # 41 - სამედიცინო დაწესებულებებში (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია) არსებული მომსახურების საფასურის ხელმისაწვდომობა - 2017 წლის მონაცემები 61
გრაფიკი # 42 - პროფილაქტიკური გამოკვლევებისთვის სამედიცინო დაწესებულებებისადმი (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია) მიმართვიანობა, კმაყოფლება და სერვისის საფასური - 2017 წლის მონაცემები 62
გრაფიკი # 43 - პროფილაქტიკური გამოკვლევებისთვის სამედიცინო დაწესებულებებისადმი (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია) მიმართვიანობა, კმაყოფლება და სერვისის საფასური გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 63
გრაფიკი # 44 - სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვიანობა, კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები 63
გრაფიკი # 45 - სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვიანობა, ოპერატიულობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 64
გრაფიკი # 46 - სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისით სარგებლობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 65
გრაფიკი # 47 - მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა, კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები 65
გრაფიკი # 48 - მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა, სერვისით სარგებლობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 67
გრაფიკი # 49 - პირუტყვისთვის/შინაური ცხოველისთვის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა, მომსახურების საფასურის გადახდა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 67
გრაფიკი # 50 - პირუტყვისთვის/შინაური ცხოველისთვის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა, სერვისით სარგებლობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 68
გრაფიკი # 51 - ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა, მიმართვიანობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 69

გრაფიკი # 52 - ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა, მიმართვიანობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 69
გრაფიკი # 53 - ჯანდაცვის სისტემით კმაყოფილება, უკმაყოფილების მიზეზი - 2017 წლის მონაცემები 70
გრაფიკი # 54 - ავადმყოფობის გამო საავადმყოფოსთვის მიმართვიანობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 71
გრაფიკი # 55 - ავადმყოფობის გამო პოლიკლინიკისთვის მიმართვიანობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 72
გრაფიკი # 56 - ამბულატორიისთვის მიმართვიანობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 72
გრაფიკი # 57 - სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვიანობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 73
გრაფიკი # 58 - მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამით სერვისით სარგებლობა, კმაყოფილება მაღალმთიან დასახლებებში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები **7**4
გრაფიკი # 59 - ჯანდაცვის სისტემით ზოგადი კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 76
გრაფიკი # 60 - წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები 81
გრაფიკი # 61 - წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 81
გრაფიკი # 62 - წყალმომარაგებით კმაყოფილება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 82
გრაფიკი # 63 - წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 83
გრაფიკი # 64 - ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან ხელმისაწვდომობა, სისტემის გამართულობა რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 84
გრაფიკი # 65 - ცენტრალური გაზსადენის სისტემის ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 85
გრაფიკი # 66 - ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის სერვისის ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 86
გრაფიკი # 67 - ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის სერვისის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 7
გრაფიკი # 68 - დასახლებაში/უბანში ქუჩების დასუფთავების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 87
გრაფიკი # 69 - დასახლებაში/უბანში ქუჩების დასუფთავება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 88
გრაფიკი # 70 - დასახლებაში/უბანში ქუჩების დასუფთავება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 88
გრაფიკი # 71 - ცენტრალური წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, სასმელი წყლის ვარგისიანობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 89
გრაფიკი # 72 - არსებული საკანალიზაციო სისტემის ხელმისაწვდომობა, სისტემის გამართულობა - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 90
გრაფიკი # 73 - ელექტრომომარაგების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 91
გრაფიკი # 74 - ცენტრალური გაზსადენის სისტემის ხელმისაწვდომობა: ქვეყანა, სოფელი და მაღალმთიანი დასახლებები - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 92
გრაფიკი # 75 - ნარჩენების ცენტრალიზებული გატანის სისტემის სისტემის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 92
გრაფიკი # 76 - ქალაქის ურბანული დაგეგმარებით, მშენებლობით, კეთილმოწყობით კმაყოფილება თბილისი/სხვა ქალაქების ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 99
გრაფიკი # 77 - ტურიზმის განვითარება/აქტუალურობა მუნიციპალიტეტში/რეგიონში, ტურისტების რაოდენობა, ინფრასტრუქტურის შეფასება - 2017 წლის მონაცემები 100
გრაფიკი # 78 - ტურიზმის განვითარება/აქტუალურობა მუნიციპალიტეტში/რეგიონში, ინფრასტრუქტურის შეფასება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 102
გრაფიკი # 79 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა, სფეროს ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 103
გრაფიკი # 80 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა, სფეროს ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 103
გრაფიკი # 81 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა, სფეროს ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 04
გრაფიკი # 82 - საირიგაციო სისტემის ხელმისაწვდომობა, გამართულობა, სერვისის საფასურის შეფასება - 2017 წლის მონაცემები 105
გრაფიკი # 83 - უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა, სერვისით სარგებლობა - 2017 წლის მონაცემები 105

გრაფიკი # 84 - სხვადასხვა საჯარო მომსახურებით სარგებლობა - 2017 წლის მონაცემები 106
გრაფიკი # 85 - სხვადასხვა საჯარო მომსახურებით სარგებლობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 106
გრაფიკი # 86 - უსაფრთხოების განცდა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 06
გრაფიკი # 87 - ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა, სერვისით სარგებლობა მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 107
გრაფიკი # 88 - ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა, სერვისით სარგებლობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 109
გრაფიკი # 89 - ელექტრონული სერვისებით სარგებლობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 110
გრაფიკი # 90 - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ ინფორმირებულობა - 2017 წლის მონაცემები 115
გრაფიკი # 91 - დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობისა და პეტიციის შედგენა/ხელმიწერის შესახებ ინფორმირებულობა ასაკის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 117
გრაფიკი # 92 - ადგილობრივი თვითმმართველობით კმაყოფილება, ნდობა - 2017 წლის მონაცემები 119
გრაფიკი # 93 - ადგილობრივი თვითმმართველობით კმაყოფილება, ნდობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 119
გრაფიკი # 94 - თვითმმართველობის მიერ გასაუმჯობესებელი საკითხები მოქალაქეთა საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად - 2017 წლის მონაცემები 120
გრაფიკი # 95 - სამოქალაქო აქტივობებში ჩაურთველობის მიზეზები - 2017 წლის მონაცემები 120
გრაფიკი # 96 - სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობა, განხორციელებული აქტივობის ტიპი, კონკრეტული საკითხი, რომელსაც ეხებოდა აქტივობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 121
გრაფიკი # 97- თვითმმართველობებთან მიმართვიანობა, პრობლემის გადაჭრა, პროცედურის სიმარტივე - 2017 წლის მონაცემები 121
გრაფიკი # 98 - თვითმმართველობებთან მიმართვიანობა, პრობლემის გადაჭრა, პროცედურის სიმარტივე გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 122
გრაფიკი # 99 - მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან ურთიერთობის შეფასება რეგიონის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები 123
გრაფიკი # 100 - მუნიციპალიტეტების უფრო წვრილ ერთეულებად დაყოფის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 124
გრაფიკი # 101 - გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევისა და გადაყენებისადმი დამოკიდებულება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 125
გრაფიკი # 102 - სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობის მცდელობა - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 127
გრაფიკი # 103 - გრაფიკი # 103 - ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის მიმართვიანობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 127
გრაფიკი # 104 - ადგილობრივი თვითმმართველობების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის მოწინააღმდეგეები ქალაქი/სოფლის ჭრილში- 2013-2015-2017 წლის მონაცემები 128
გრაფიკი # 105 - გამგებლის (მერის) არჩევისა და გადაყენების უფლების ქონა - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 129
გრაფიკი # 106 - სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და ეროვნება – 2017 წლის მონაცემები 133
გრაფიკი # 107 - ოჯახის შემადგენლობა – 2017 წლის მონაცემები 133
გრაფიკი # 108 - განათლება და სამუშაო სტატუსი –2017 წლის მონაცემები 134
გრაფიკი # 109 - მატერიალური მდგომარეობის შეფასება – 2017 წლის მონაცემები 134
გრაფიკი # 110 - ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი (ლარი) – 2017 წლის მონაცემები 135

ცხრილების სარჩევი

ცხრილი # 1 - შერჩევის ზომა და განაწილება სტრატებში 24
ცხრილი # 2 - სხვადასხვა პარამეტრებით საბავშვო ბაღებით კმაყოფილების ხარისხი - 2017 წლის მონაცემები 31
ცხრილი # 3 - სხვადასხვა პარამეტრებით უახლოესი საჯარო სკოლით კმაყოფილების ხარისხი გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 36
ცხრილი # 4 - პროფესიულ სასწავლებლებში დასაუფლებელი პროფესიებისთვის პრიორიტეტული სფეროები რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 41
ცხრილი # 5 - დასახლებაში/უბანში მუნიციპალური ბაღების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 43

ცხრილი # 6 - საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 44
ცხრილი # 7 - მუნიციპალიტეტში/რეგიონში პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 46
ცხრილი # 8 - სხვადასხვა სოციალური მომსახურების შეფასება - 2017 52
ცხრილი # 9 - სხვადასხვა სოციალური დახმარებებით სარგებლობა რეგიონის ჭრილში -- 2013-2015-2017 წლების მონაცეები 53
ცხრილი # 10 - უფასო სახელმწიფო სასადილოებთან ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 54
ცხრილი # 11 - სხვადასხვა სოციალური მომსახურების შეფასება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 55
ცხრილი # 12 - მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა, პროგრამის სერვისით სარგებლობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 66
ცხრილი # 13 - პროფილაქტიკის მიზნით სამედიცინო დაწესებულებებისთვის მიმართვიანობა გენდერის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 73
ცხრილი # 14 - ჯანდაცვის სისტემით ზოგადი კმაყოფილება რეგიონების ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 75
ცხრილი # 15 - დასახლებაში/ქალაქში არსებული გასართობი/დასასვენებელი ადგილები, მათი მდგომარეობა და პრიორიტეტულად მიჩნეული ადგილები - 2017 წლის მონაცემები 78
ცხრილი # 16 - დასახლებისთვის პრიორიტეტული გასართობი/დასასვენებელი ადგილები რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 79
ცხრილი # 17 - დასახლებისთვის პრიორიტეტული გასართობი/დასასვენებელი ადგილები რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 79
ცხრილი # 18 - ცენტრალური წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 90
ცხრილი # 19 - საგზაო ნიშნების, სახლების ნუმერაციის, შუქნიშნების ფუნქციონირების და ქუჩის განათების მდგომარეობის შეფასება- 2017 94
ცხრილი # 20 - ინფრასტრუქტურის (შიდა გზები, გარე გზები, ავტომაგისტრალი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტრანსპორტის ღირებულება) შეფასება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 95
ცხრილი # 21 - ინფრასტრუქტურის (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, განათება, სახლების ნუმერაცია) შეფასება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 96
ცხრილი # 22 - ინფრასტრუქტურის (შიდა გზები, გარე გზები, ავტომაგისტრალი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტრანსპორტის ღირებულება, საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, განათება, სახლების ნუმერაცია) შეფასება მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 96
ცხრილი # 23 - საგზაო ინფრასტრუქტურა - 2013-2015-2017 წლებისის მონაცემები 97
ცხრილი # 24 - ტურიზმის განვითარება/აქტუალურობა მუნიციპალიტეტში/რეგიონში, ინფრასტრუქტურის შეფასება, სეზონი - 2017 წლის მონაცემები 101
ცხრილი # 25 - დასახლებაში გავრცელებული პრობლემები - 2017 წლის მონაცემები 107
ცხრილი # 26 - ალკოჰოლიზმის გავრცელება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 108
ცხრილი # 27 - სახანძრო და სამაშველო სამსახურების ხელმისაწვდომბა, სარგებლობა, დროული დახმარება, ზოგადი კმაყოფილება - 2017 108
ცხრილი # 28 - ჰაერის, ნიადაგის, ბუნებრივი წყლის რეზერვუარების მდგომარეობა - 2017 წლის მონაცემები 110
ცხრილი # 29 - ჰაერის, ნიადაგისა და ბუნებრივი წყლის რეზერვუარების დაბინძურების მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით - 2017 წლის მონაცემები 111
ცხრილი # 30 - ჰაერის, ნიადაგის, ბუნებრივი წყლის რეზერვუარების მდგომარეობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 111
ცხრილი # 31 - ტურიზმის განვითარება რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 112
ცხრილი # 32 - უფასო იურიდიული ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები 113
ცხრილი # 33 - უბანში/დასახლებაში გვარცელებული პრობლემა - 2013-2015-2017 წლების მონაცემები 114
ცხრილი # 34 - გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევისა და გადაყენებისადმი დამოკიდებულება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები 125

შესავალი

მოცემული დოკუმენტი გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით ჩატარებული კვლევის ანგარიშია. კვლევა მიზნად ისახავდა საქართველოში მუნიციპალიტეტების/ცენტრალური ხელისუფლების მიწოდებული სერვისებით მოქალაქეთა კმაყოფილების დონის განსაზღვრას.

კვლევა ჩატარდა 2017 წლის მარტში, მთელი საქართველოს მასშტაბით და მასში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ზრდასრულმა მოსახლეობამ (18+). კვლევისათვის საჭირო სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად გამოყენებული იყო როგორც ლიტერატურის მიმოხილვა, ასევე თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ანგარიშში ინტეგრირებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. 2017 წლის მონაცემები ასევე შედარებულია 2015 და 2013 წელს ჩატარებული ანალოგიური კვლევების შედეგებთან.

კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს გაეროს განვითარების პროგრამა გამოიყენებს პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვისათვის. კვლევის შედეგები დაეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ პირებს, გაიგონ მოსახლეობის სხვადასხვა სერვისით კმაყოფილების დონე და შესაბამისად დაგეგმონ საპასუხო აქტივობები.

ანგარიში მოამზადა „ეისითიმ“ გაეროს განვითარების პროგრამისთვის.

დოკუმენტი შედგება შემდეგი ქვეთავებისგან: კვლევის წინაპირობა, ქართული კონტექსტი, კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები და რეზიუმე.

1

კვლევის წინაპირობა

პოსტ-საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა საზოგადოებრივი მომსახურებების დაბალი დონეა. ამ პრობლემის გადასაწყვეტად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა, მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია, რომლებიც გამოსწორებას საჭიროებს, განსაკუთრებით, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე.

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი მიზნად ისახავს რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობას ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციების გაძლიერების გზით. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დაბალანსებული, ინკლუზიური და მდგრადი განვითარების სტიმულირებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას და უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველასათვის. სამწუხაროდ, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი მოხელეთა არასაკმარისი კვალიფიკაცია და უნარებია. დეცენტრალიზაციის დონის სიმცირე და საჭირო უნარების ნაკლებობა ხელს უშლის საჯარო მოხელეებს, იმოქმედონ დამოუკიდებლად და უპასუხონ ადგილობრივ დონეზე არსებულ საჭიროებებსა თუ გამოწვევებს. სწორედ ამიტომ, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ადგილობრივი სერვისების განვითარებისათვის.

გაეროს განვითარების პროგრამის დაკვეთით, ჩატარდა კვლევა საქართველოში არსებული საზოგადოებრივი მომსახურებებით მოქალაქეთა კმაყოფილების დონის დასადგენად. კვლევაში გაანალიზებულია საქართველოში მუნიციპალიტეტების/ცენტრალური ხელისუფლების განხორციელებული საზოგადოებრივი მომსახურებებით მოქალაქეთა კმაყოფილების დონე. 2013, 2015 და 2017 წელს ჩატარებული კვლევების მონაცემებს გაეროს განვითარების პროგრამა გამოიყენებს პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრისა და შესაბამის აქტივობათა დასაგეგმად.

ქართული კონტექსტი

2

2.1. ზოგადი მდგომარეობა

მსოფლიო პრაქტიკა ადგილობრივი თვითმმართველობის ორ უმთავრეს ფუნქციას აღიარებს: 1. საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება და 2. მოსახლეობასთან სიახლოვე, ადგილობრივი ინტერესების უკეთ გათვალისწინების მიზნით. საქართველოში, ტრადიციციულად, ხელისუფლება ძირითად აქცენტს აკეთებდა ადგილობრივ თვითმმართველობათა მიერ საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებაზე, ხოლო თვითმმართველობის საქმიანობაში ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებასა და მართვის პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, მართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეები, როგორც წესი, მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობდნენ. კანონმდებლობაში ასახული თუნდაც მცირე უფლებები ყოველდღიურ პრაქტიკაში თითქმის არ გამოიყენებოდა. შედეგად, პროგრამების განხორცილებისას, ცენტრალური ხელისუფლება მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ლოკალურ ინტერესებს არ ითვალისწინებდა. ეს ვითარება მოსახლეობის განწყობაზე ნეგატიურად აისახებოდა და მის ფრუსტრაციას თუ სახელმწიფოს მიმართ ნიჰილიზმის გაძლიერებას უწყობდა ხელს.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, გასული ოცდახუთი წლის მანძილზე, ქვეყნის პოლიტიკური ელიტა დეცენტრალიზაციას და თვითმმართველობებისთვის უფლებამოსილებათა თუ რესურსების გადაცემას თავს არიდებდა, ამას კი მოსახლეობის მზადყოფნის დაბალი დონით ამართლებდა. ამას გარდა, ქვეყნის წინაშე არსებული სხვა გამოწვევების ფონზე (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, უმძიმესი სოციალური და ეკონომიკური კრიზისი და ა.შ.), დეცენტრალიზაცია პრიორიტეტულ მიმართულებად არ მიიჩნეოდა.

1991 წლიდან მოყოლებული, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სისტემის განვითარება რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

- I ეტაპი – 1991 წლის პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად შექმნილმა ადგილობრივი მმართველობის სისტემამ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ძლიერი კონტროლის პირობებში (პრეზიდენტის მიერ დანიშნული პრეფექტები) დაიწყო ფუნქციონირება, თუმცა მისი შემდგომი განვითარება სახელმწიფო გადატრიალების (1992) და მისი შემდგომი მოვლენების გამო შეჩერდა.

- II ეტაპი – ცენტრალიზებული მართვის პერიოდი (1992-1998), როცა ადგილებზე ძალაუფლებას ცენტრალური ხელისუფლების მიერ პირდაპირ დანიშნული მერები და გამგებლები (რაიონებში) და სახელმწიფოს რწმუნებულები (რეგიონებში) ახორციელებდნენ.

- III ეტაპი – თვითმმართველობის დამკვიდრების პერიოდი (1998-2006). 1998 და 2002 წლებში ჩატარდა მუნიციპალური არჩევნები, შეიქმნა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები, როგორც ქალაქის, დაბის, თემისა და სოფლის (თვითმმართველობის I საფეხური), ისე რაიონის (II საფეხური) დონეზე. კანონმდებლობით განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებანი. მართალია, უფლებამოსილებათა ჩამონათვალი ხშირად იცვლებოდა – იმატებდა ან იკლებდა – მაგრამ ცენტრალურ ხელისუფლებას ადგილობრივი ერთეულებისათვის არ გადაუცია შესაბამისი ფინანსური და ქონებრივი რესურსები, რის გამოც თვითმმართველობები კანონით მინიჭებულ კომპეტენციებს რეალურად ვერ ახორციელებდნენ.

- IV ეტაპი (2006-2012) – „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი. 2006 წლის თვითმმართველობის ტერიტორიული საფუძვლების რეორგანიზების შემდეგ, საქართველოში გამოიკვეთა არა დეცენტრალიზაციის, არამედ ცენტრალიზაციის მზარდი ტენდენცია: გაუქმდა თვითმმართველობის ქვედა დონე იმ მოტივით, რომ რაიონულ დონეს, უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, მეტი ფინანსური რესურსი ჰქონოდა. თუმცა მოგვიანებით საჯარო ფინანსების ცენტრალიზაციის პროცესიც დაიწყო. ამავე დროს გაძლიერდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი ადგილობრივ თვითმმართველობებზე, რომლებმაც დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უფლება თითქმის დაკარგეს.

- V ეტაპი (2012-დან) – 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში მოსული ახალი პოლიტიკური ძალა დეცენტრალიზაციას თავის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ასახელებდა. ამ მიმართულებით გადაიდგა კიდეც რიგი პოზიტიური ნაბიჯები. თუმცა დაწყებული რეფორმის ტემპი შემდგომში შენელდა, განსაკუთრებით, 2015 წლიდან. დღეისათვის კვლავ ცენტრალიზებული მმართველობისაკენ დაბრუნების ტენდენცია შეინიშნება (თვითმმართველი ერთეულების გამსხვილება, დაფინანსების საკუთარი წყაროების მოცულობის შემცირება, ადგილობრივ თვითმმართველობათა ცენტრალური ხელისუფლების გადაჭარბებულ კონტროლქვეშ მოქცევის მცდელობა და ა.შ.).

ჯერ კიდევ გასული ათწლეულის მეორე ნახევარში თვითმმართველობის უფლებათა შეკვეცამ გამოიწვია საზოგადოების ჩართულობის ისედაც დაბალი ხარისხის მეტად შემცირება. ამავე დროს, ხშირ შემთვევაში, საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრალიზებული სისტემა ადგილობრივ მოთხოვნებს არაადეკვატურად პასუხობდა. შედეგად, თვითმმართველობათა პოლიტიზების ხარისხი გაიზარდა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ცენტრალურ დონეზე ხელისუფლების ცვლას (1992, 2003, 2012) მექანიკურად მოსდევს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მასობრივი გადასვლა ყოფილი მმართველი პარტიიდან ახალ მმართველ პარტიაში.

2.2. მდგომარეობა სფეროების მიხედვით

თვითმმართველობებში არსებული ზოგადი ტენდენციები ნათლად აისახება დეცენტრალიზაციის პროცესის ცალკეულ მიმართულებებში:

კანონმდებლობა. საკანონმდებლო ბაზა სერიოზულ დახვეწას მოითხოვს. ხშირად ცალკეული ნორმატიული აქტები ეწინააღმდეგება არა მარტო საქართველოს კონსტიტუციით, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიითა და საქართველოს ორგანული კანონით – ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით – აღიარებულ პრინციპებს, არამედ ერთმანეთსაც. მეტიც, ზოგჯერ ამა თუ იმ კანონის ცალკეული მუხლები ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს შეიცავენ. ხშირია კანონმდებლობის ცვლა. ორ ასეულამდე დარგობრივი კანონი შესაბამისობაშია მოსაყვანი ორგანულ კანონთან. 2015 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა 174 მოქმედ კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტი, რომელმაც პარლამენტში პირველი მოსმენის ეტაპი გაიარა, თუმცა დღეისათვის ეს პროცესი შეჩერებულია. ამავე დროს, აშკარაა, რომ კოდექსით მთავრობისათვის დაკისრებულ ვალდებულებათა დიდი ნაწილი (ზოგიერთი გადასახადის გამიჯვნა ადგილობრივ და ცენტრალურ დონეებს შორის; სახელმწიფოს ხელთ არსებული ქონების ინვენტარიზაცია და მათი დიდი ნაწილის თვითმმართველობებისათვის გადაცემის დაწყება; საქართველოს მთავრობის მიერ ტერიტორიული ოპტიმიზაციის შესახებ წინადადებების მომზადება; თვითმმართველობების უფლებამოსილებათა ზრდა და ა.შ.) ან დროულად ვერ განხორციელდა (უკეთეს შემთხვევაში), ან ხელისუფლება საერთოდ აღარ აკეთებს შესაბამის განცხადებებს.

ტერიტორიული ორგანიზება. 2006 წელს, თვითმმართველობის რესურსების უკეთ მობილიზების მიზნით, გაუქმდა თვითმმართველობის ქვედა დონე (1.000-ზე მეტი ერთეული) და ერთადერთ თვითმმართველ დონედ რაიონის ტერიტორიაზე ფორმირებული მუნიციპალიტეტები და 5 თვითმმართველი ქალაქი გამოცხადდა.

2014 წელს მიღებული ახალი ორგანული კანონით, არსებულ მუნიციპალიტეტთაგან რეგიონული ცენტრების ცალკე გამოყოფით გაიზარდა თვითმმართველ ქალაქთა ოდენობა (5-დან 12-მდე), თუმცა სხვა მუნიციპალიტეტების ტერიტორიული მოწყობა არ შეცვლილა. საქართველოს მთავრობამ ვალდებულება აიღო, ქვეყნის მასშტაბით შეემუშავებინა ტერიტორიული ოპტიმიზაციის მოდელები (მსხვილი მუნიციპალიტეტების ჰომოგენურ ერთეულებად დაშლის მიმართულებით) და 2016 წლის ოქტომბრამდე საქართველოს პარლამენტისათვის განსახილველად გადაეცა. კანონის ეს მოთხოვნა არც 2016 წელს და არც შემდეგ არ შესრულებულა. 2017 წელს, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ამ ერთეულთა ხელახალი გაერთიანების თაობაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად ჩატარდა კონსულტაციები შესაბამის საკრებულოებთან და 2017 წ. 26 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ შეტანილი იქნა ცვლილება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 151-ე მუხლში, რომლის საფუძველზეც მოხდა ქ. გორის, ქ. მცხეთის, ქ. თელავის, ქ. ამბროლაურის, ქ. ახალციხის, ქ. ზუგდიდის და ქ. ოზურგეთის გაერთიანება შესაბამის მუნიციპალიტეტებთან. შესაბამისად 2017 წ. ოქტომბერში არჩევნები სხვა თვითმმართველ ერთულებთან ერთად ჩატარდა ამ გაერთაინებულ მუნიციპალიტეტებში.

რეგიონული დონის შექმნის მიზანშეწონილობაზე ქვეყანაში 25 წელია კამათობენ. მიუხედავად ამისა, ეს საკითხი კვლავ დღის წესრიგში დგას. რეგიონებში (აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიათა და „ყოფილი სამხრეთი ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის“ გარდა, დე ფაქტო არსებული 9 მხარე) ცენტრალურ ხელისუფლებას მის მიერ დანიშნული რწმუნებული/გუბერნატორი წარმოადგენს, არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო კი არ არსებობს.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების შექმნასთან ერთად 2014-2015 წ.წ. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა შესაბამისი რეგიონების განვითარების პროგრამები, რომელთა განხორციელებაზე მონიტორინგი ევალებათ სა-

ხელმწიფო რწმუნებულ - გუბერნატორს საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად. რაც შეეხება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილებათა დეტალურ განსაზღვრას, ეს საკითხი დღემდე პრობლემატურად რჩება. განიხილება სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორისათვის მუნიციპალიტეტებზე სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების დაბრუნება (ეს უფლებამოსილება მათ გააჩნდათ 2007-2014 წ.წ.), ასევე ცენტრალური ხელისუფლებიდან ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირების საკითხები. თუმცა ჯერ-ჯერობით ამ მიმართულებით რაიმე კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგმულა.

თვითმმართველობის სტრუქტურების ფორმირება და საქმიანობა. თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო, ხოლო აღმასრულებელი - მერი.[1]

გასული საუკუნის 90-იან წლებში ადგილები პირდაპირ ცენტრიდან იმართებოდა. მოგვიანებით, 1998 წელს შექმნილ თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, და შემდეგაც, ცენტრალური ხელისუფლება ეგუებოდა ადგილებზე ოპოზიციური პარტიების წარმატებას, ვინაიდან თვითმმართველობას რეალური უფლებები არ ჰქონდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ფაქტობრივად ერთპარტიული სისტემა ჩამოაყალიბა ხელისუფლების ყველა დონეზე. 2010 წლის არჩევნების შედეგად, ყველაზე უფრო ერთპარტიული თვითმმართველობა შეიქმნა საქართველოს ისტორიაში, ყველა წინა ადგილობრივი არჩევნების (1919, 1991, 1998, 2002, 2006) შედეგად შექმნილ თვითმმართველობასთან შედარებით.

2014 წლის მუნიციპალურ არჩევნებში აღმასრულებელი ორგანოები - მერები და გამგებლები პირდაპირი წესით აირჩიეს. საკრებულოებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლების რაოდენობა. არჩევნების შემდეგ პერიოდში გაიზარდა პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს ცნობადობა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობა. პოზიტიურ ცვლებებთან ერთად, კვლავ შენარჩუნდა ცენტრალური ხელისუფლების თვითმმართველობებზე გავლენის შენარჩუნების მაღალი ხარისხი.

უფლებამოსილებანი. ადგილობრივი თვითმმართველობები, კანონმდებლობის თანახმად, საკუთარ და დელეგირებულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ. კანონითაა განსაზღვრული საკუთარ უფლებამოსილებათა ჩამონათვალიც (საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლი):

- ➔ ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვა;
- ➔ მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამის სფეროში ნორმებისა და წესების განსაზღვრა;
- ➔ ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცება;
- ➔ მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ➔ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება, ტერიტორიის გამწვანება, გარე განათების უზრუნველყოფა;
- ➔ მუნიციპალური ნარჩენების მართვა;
- ➔ წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა;

1 კვლევა ჩატარდა თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების შეტანადმე, შესაბამისად, იმ პერიოდისთვის, თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებს წარმოადგენდნენ: გამგებელი (მუნიციპალიტეტებში) და მერი (თვითმმართველ ქალაქებში).

- ადგილობრივი მნიშვნელობის სამელიორაციო სისტემის განვითარება;
- სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მართვა და საგზაო მოძრაობის ორგანიზება;
- ტრანსპორტის პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და შესაბამისი წესების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვების გაცემა;
- მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების ორგანიზება;
- გარე ვაჭრობის, გამოფენების, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების გამართვასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება;
- მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდება;
- გარე რეკლამის განთავსების რეგულირება;
- შინაურ და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა;
- სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა;
- ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება;
- ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია;
- მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შშმ პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია.

აღნიშნულის გარდა, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებაში არ შედის და არ იკრძალება კანონით. ასეთია ღონისძიებები შემდეგი მიზნებით: დასაქმების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხარდაჭერა და ტურიზმის განვითარება, სოციალური დახმარება და ჯანდაცვა, ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარება, მასობრივი სპორტის ხელშეწყობა, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი განათლება, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, ადგილობრივი მნიშვნელობის არქივის წარმოება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინვესტიციების მოზიდვა, ინოვაციური განვითარების მხარდაჭერა და სხვ.

ახალმა კანონმდებლობამ გაზარდა უფლებამოსილებათა ჩამონათვალი (წყალმომარაგება, შინაურ და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია მუნიციპალური კომპეტენცია გახდა). მუნიციპალიტეტები საკუთარ უფლებამოსილე-

ბათა გარკვეულ ნაწილს ჯერჯერობით ვერ ახორციელებენ შესაბამისი დარგობრივი კანონმდებლობისა და ინსტიტუციური ორგანიზების არარსებობის გამო, რაც მდგომარეობას ართულებს.

ამავე დროს, წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდის მსგავსად, არის უფლებამოსილებათა ცენტრალური ხელისუფლებისათვის გადაცემის შემთხვევებიც – სახანძრო და სამაშველო სამსახურების მართვა, კანონმდებლობის თანახმად, ცენტრალურ ხელისუფლებას (შსს) გადაეცა, თუმცა, კვლავ მუნიციპალიტეტებს დაევალათ ამ სამსახურების საკუთარი ბიუჯეტებიდან დაფინანსება.

ეკონომიკური საფუძვლები. 2012 წელთან შედარებით, თვითმმართველობათა შემოსავლებისა და გათანაბრებითი ტრანსფერების საერთო მოცულობა გარკვეულწილად გაიზარდა. მიუხედავად ამისა, თვითმმართველობებს კვლავ უჭირთ უფლებამოსილებათა სრულყოფილად განხორციელება. მართალია, თვითმმართველობათა ფინანსების ზრდის წინა ათწლეულში დაწყებული პოზიტიური ტენდენცია კვლავ გრძელდება, მაგრამ ეს, ძირითადად, კვლავ გათანაბრებითი ტრანსფერისა და რეგიონებში სახელმწიფო პროგრამების (*მუნიციპალური განვითარების ფონდი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი* და ა.შ.) ზრდის ხარჯზე ხდება (ყველა ეს თანხა საშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის 20%-ს შეადგენს).

შემოსულობების სფეროში პოზიტიურად უნდა შეფასდეს საშემოსავლო გადასახადის ზიარ გადასახადად ქცევა და მისი ნაწილის (მეწარმე ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადი) ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის დატოვება (2016 წლის იანვრიდან).

ამავე დროს, კვლავ გაურკვეველია ადგილებზე მიმართული სახელმწიფო თანხების მუნიციპალიტეტთა შემოსავლებში გადაყვანის პერსპექტივა. დასახვეწია გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების წესიც, რაც, ამავე დროს, საქართველოს ევროსაბჭოს წინაშე აღებული ერთ-ერთი ვალდებულებაა.

კვლავ პრობლემატურია მომსახურების შესყიდვების პოლიტიკა – არსებითად ყურადღება ფასის სიმცირეზე კეთდება და არა ხარისხზე.

თვითმმართველობებისათვის ქონების გადაცემა ფერხდება. ახალი კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს მთავრობას 2017 წლამდე უნდა მოეხდინა მის ხელთ არსებული მთელი ქონების ინვენტარიზაცია და დაეწყო მისი ნაწილის მუნიციპალიტეტთათვის გადაცემა. თუმცა, ეს დღემდე არ განხორციელებულა.

ბიუჯეტები და საბიუჯეტო პროცესი. ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების სტრუქტურა იცვლება, როგორც შემოსულობების, ისე გადასახდელების ნაწილში.

საშემოსავლო გადასახადის ნაწილის ადგილზე დატოვების სანაცვლოდ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ტრანსფერების საერთო მოცულობა შეამცირა. მაგალითისთვის, 2015-2016 წლებში ტრანსფერების მოცულობა 27,3%-ით – 336 მლნ. ლარით შემცირდა (მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერი – 235 მლნ. ლარით).
ამავე პერიოდში იცვლება ხარჯვითი ნაწილის განაწილების სქემაც.

- ➔ იზრდება: ეკონომიკურ საქმიანობაზე (14,4%-ით – 36,2 მლნ.), საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე (9,8%-ით – 20,8 მლნ.), ჯანდაცვასა (29,0%-ით – 10,3 მლნ.) და სკოლამდელ აღზრდაზე (13,1%-ით – 20,3 მლნ.) გაწეული ხარჯები.

- ➔ შემცირდა: გარემოს დაცვისათვის (5,7%-ით – 7,9 მლნ.) და, განსაკუთრებით, დასვენების, კულტურისა და რელიგიისათვის (33,7%-ით – 110,0 მლნ.) გამოყოფილი თანხების მოცულობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გაიზარდა (11,6%-ით – 19,5 მლნ. ლარი) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯი, მიუხედავად იმისა, რომ ამავე პერიოდში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხარჯების წილი მკვეთრად, თითქმის 100%-ით შემცირდა (47,2 მლნ-დან 146 ათას ლარამდე).

წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემატურია საბიუჯეტო პროცესის გაუმართაობა. ცენტრალური ბიუჯეტიდან თვითმმართველობებისათვის გამოყოფილი სახსრების ოდენობა საბიუჯეტო წლის დასაწყისში ბოლომდე გარკვეული არ არის. შესაბამისად, ახალი ტიპის დაფინანსების გაზრდის ან შემცირების შემთხვევაში საჭირო ხდება მიმდინარე წლის ადგილობრივი ბიუჯეტების კორექტირება, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის თვითმმართველობების მიერ სტაბილური, გრძელვადიანი პროგრამების დაგეგმვას.

საჯარო სამსახური. რეფორმის პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ადგილობრივი საჯარო სამსახურის ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებითაც:

- თვითმმართველობათა ბიუჯეტების სახელფასო ფონდის არანაკლებ 1% უკვე სავალდებულოდ უნდა წარიმართოს მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- შემუშავდა მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების სტრატეგია და დაიწყო მისი განხორციელების პროცესი;
- ადგილობრივ საჯარო მოხელეებს სამსახურში კონკურსების შედეგების საფუძველზე იყვანენ, რაც კანონმდებლობის მოთხოვნის მიუხედავად, 2010 წლიდან ჭიანურდებოდა.

2017 წლის 1 ივლისს ამოქმედდა ახალი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც რიგ პოზიტიურ დებულებებს შეიცავს. თუმცა, ჯერჯერობით, არ არსებობს ერთიანი, სისტემურად ჩამოყალიბებული მოხელეთა შეფასების მექანიზმები, კრიტერიუმები და ინდიკატორები. კვლავ დაბალია მოხელეთა კვალიფიკაციისა და მოტივაციის დონე.

2.3. საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების პრაქტიკა

საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება საქართველოში მაღალი ხარისხით საბჭოთა პერიოდშიც არ გამოირჩეოდა. სიტუაცია გაუარესდა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როცა სერვისების მიწოდება სრულიად მოიშალა.

დღეისათვის, რეგიონებში, მთელ რიგ პროექტებს ცენტრალური ხელისუფლება ცენტრალური ბიუჯეტის სახსრებით ახორციელებს. მომსახურების მიწოდებისას გაურკვევლობას იწვევს ის, რომ ესა თუ ის საზოგადოებრივი სიკეთე მოსახლეობის ყველა ფენისათვის თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის.

მიუხედავად ბოლო ათი წლის მანძილზე ადგილობრივი ბიუჯეტების რამდენიმეჯერ გაზრდისა, ცენტრალური ხელისუფლება დამატებით ახდენს თანხების ასიგნებებს რეგიონებში მთელი რიგი პროექტების განსახორციელებლად (2014 წელს ამ თანხებმა, მიზნობრივი ტრანსფერების და რეგიონული პროგრამების გარდა, 1,8 მლრდ. ლარზე მეტი შეადგინა, ამასთან, მომდევნო წლებში შეინიშნება ამ თანხების შემცირებაც – 2017 წელს მუნიციპალური ბიუჯეტები ჯამში 1.567 მლნ. ლარამდე შემცირდა).

სფეროში არსებული პრობლემები ჩანს ცალკეული მიმართულებების შეფასებისას:

წყალმომარაგება სოფლის თვითმმართველი ერთეულის მოვალეობაა. სახსრები (თვითმმართველობათა ბიუჯეტის 5-6%) აშკარად არასაკმარისია. როგორც წესი, წყლის ხარისხი არ კონტროლდება – ადრინდელი ხარისხის შემოწმების ლაბორატორიები თითქმის ყველგან დაიხურა. 2015 წლის მეორე ნახევარში დაიწყო მუშაობა შესამამისი ნორმატიული ბაზის შესაქმნელად, რათა დაძლეულიყო სასოფლო ზონებში სასმელი წყლით მომარაგების პრობლემები, მაგრამ 2016 წლიდან პროცესი ჯერ შენელდა და შემდეგ საერთოდ შეჩერდა.

ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია, ძირითადად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება. ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამები, უმთავრესად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (რგპფ) და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან" (2014 წლისათვის დაახლოებით 350 მლნ. ლარი) ფინანსდებოდა. აღსანიშნავია, რომ 2017 წლისათვის რგპფ ფონდის ოდენობა 260 მლნ. ლარამდე შემცირდა, ხოლო „სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა" საერთოდ გაუქმდა.

დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება ქალაქებში შედარებით მოწესრიგებულია, რასაც ვერ ვიტყვით სოფლებზე, სადაც ეს სერვისი ფაქტობრივად არ არსებობდა. აღსანიშნავია, რომ სოფლის ტიპის დასახლებებში აღნიშნული მომსახურება 2014 წლიდან მიეწოდება და ზოგიერთ სოფელში მუშაობს. ამ მხრივ, დღევანდელ ეტაპამდე მაინც, პოზიტიური ტენდენციაა.

მგზავრთა გადაყვანის რეჟიმის დადგენის უფლება ადრე მხოლოდ თვითმმართველ ქალაქებს ჰქონდათ. მართალია, ორგანული კანონით ეს უფლება ყველა მუნიციპალიტეტს აქვს მინიჭებული, მაგრამ დარგობრივ კანონმდებლობაში შესაბამი ცვლილებების გარეშე ამ უფლების რეალიზება ვერ ხერხდება.

სოციალური დახმარება და ჯანდაცვა თვითმმართველობის ნებაყოფლობითი უფლებამოსილებაა. სოციალურ დახმარებებზე იხარჯება ბიუჯეტების 5-7%, ხოლო საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე, როგორც მუნიციპალიტეტებზე დელეგირებულ უფლებამოსილებაზე – ბიუჯეტების მხოლოდ 1-2%.

საბავშვო ბაღები – 2014 წლამდე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე ადგილობრივი ბიუჯეტების 5-7% იხარჯებოდა. ეს დაფინანსება მხოლოდ ხარჯების 60-70%-ს ფარავდა, რის გამოც დანარჩენ თანხას მოსარგებლე ოჯახები იხდიდნენ. ხელისუფლების ახალი სტრატეგიის თანახმად, თვითმმართველობებს დაეკისრათ ამ სფეროს მოთხოვნების საკუთარი ხარჯებით სრულად დაფარვა, თუმცა ამისთვის მათ დამატებითი დაფინანსება არ მიუღიათ, რამაც ამ სერვისის მიწოდების ხარისხი გარკვეულწილად დააზარალა. მიმდინარეობს მუნიციპალური საბავშვო ბაღების მშენებლობა და ძველების რეაბილიტაცია. დღეისათვის ჯამში სკოლამდელ აღზრდაზე მუნიციპალური ბიუჯეტების ჯამურად 14% იხარჯება.

კულტურის ობიექტები – 2007 წლიდან ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაიწყო თვითმმართველობებისათვის რიგი ობიექტების (ბიბლიოთეკები და სხვ.) გადაცემა, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი სავალალო მდგომარეობაში იყო. ვინაიდან ადგილობრივ ბიუჯეტს საკმარისი თანხები არ ჰქონდა (ხარჯების მხოლოდ 3-5%), ამ ობიექტთა დიდი ნაწილი (უმეტესწილად, ბიბლიოთეკები) დაიხურა.

ნებართვები – 2005 წლიდან მოყოლებული, მოხდა ადმინისტრაციულ მომსახურებათა უმეტესობის ცენტრალიზაცია. დღეისათვის, ამ სფეროში თვითმმართველობებს მხოლოდ მშენებლობის ნებართვების გაცემის უფლება აქვთ. მნიშვნელოვანი ძვრები ამ მხრივ ჯერ არ ჩანს. წინა წლებისაგან განსხვავებით, ცენტრალური უწყებები აღარ აკეთებენ განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ იგეგმება რიგი სერვისების მუნიციპალიტეტებისათვის დელეგირების წესით გადაცემა.

2.4. საზოგადოების მონაწილეობა

2015 წლის ზაფხულში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში (მუხლები 85, 85[1], 85[2], 85[3], 85[4], 85[5], 86, 86[1], 87, 88) შევიდა რიგი ცვლილებები, რომელმაც დააკონკრეტა:

- ➔ პეტიციის წარდგენის წესი (პეტიციის წარდგენის უფლება მიიღო არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველთა 1%-მა, არამედ დასახლების საერთო კრებამაც);
- ➔ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ფორმატი;

- ადგილობრივი თვითმმართველობის პოლიტიკური თანამდებობის პირთა საზოგადოების წინაშე ანგარიშგების ფორმები და ა.შ.

მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით, სიახლეა დასახლების საერთო კრებები. თვითმმართველობები ვალდებულნი არიან, განიხილონ ამ კრებების გადაწყვეტილებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კოდექსი საკრებულოებს აძლევს უფლებას, დამატებითი უფლებამოსილებით აღჭურვონ დასახლების საერთო კრებები, მათი დებულების დამტკიცების გზით. ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, რამდენად გაღრმავდება ეს პროცესი ცენტრალურ ხელისუფლებაში უკვე გაისმის ხმები ამ კრებების უმოქმედობისა და მათი გაუქმების საჭიროების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზე საზოგადოებაში არსებული ნიჰილიზმის მიუხედავად, 2016 წლის მეორე ნახევრიდან დასახლების საერთო კრებების სწრაფი ფორმირების პროცესი დაიწყო. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2017 წლის იანვრისათვის დასახლების საერთო კრებები 272 სოფელში მოიწვიეს, ხოლო მხოლოდ 2016 წლის მანძილზე თვითმმართველობის ორგანოებისადმი მოქალაქეთა პეტიციების ოდენობამ 46 შეადგინა, რაც აღემატება გასული ათწლეულის მანძილზე პეტიციათა ჯამს, ერთად აღებულს.

მიუხედავად ამისა, ჩატარებული კვლევები აჩვენებენ საზოგადოებაში ფრუსტრაციის მაღალ დონეს (თვითმმართველობისათვის არასოდეს მიუმართავს მოქალაქეთა 80%-ზე მეტს). ამასთან, მიმართვები უმთავრესად მხოლოდ კომუნალურ საკითხებს, სოციალურ პრობლემებს და დოკუმენტაციის მიღებას უკავშირდებოდა. კიდევ უფრო ნაკლებია თვითმმართველობების საქმიანობის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხი.

3

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი და სამაგიდო კვლევის მეთოდები.

კვლევის ძირითადი მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობების მომსახურებით მოსახლეობის კმაყოფილების შეფასება. კვლევის კონკრეტული ამოცანები იყო:

- ➔ ადგილობრივ თვითმმართველობათა მიერ მოსახლეობისათვის მიწოდებული სერვისების მასშტაბის განსაზღვრა;
- ➔ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიწოდებული კონკრეტული სერვისებით მოსახლეობის კმაყოფილების დონის დადგენა;
- ➔ ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობით მოსახლეობის კმაყოფილების დონის დადგენა საზოგადოებრივი მომსახურების იმ სფეროებში, რომლებიც მომავალში, შესაძლოა, ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია გახდეს;
- ➔ მოსახლეობის კმაყოფილების დონის დადგენა ზოგიერთი საზოგადოებრივი სერვისის ფასით;
- ➔ მოსახლეობის კმაყოფილების დონის დადგენა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში ჩართულობით;
- ➔ ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელმძღვანელობის საქმიანობით მოსახლეობის კმაყოფილების დონის განსაზღვრა;
- ➔ საზოგადოებრივი სერვისებით კმაყოფილებისა და უკმაყოფილების ძირითადი მიზეზების დადგენა;
- ➔ ადგილობრივი და რეგიონული მმართველი ორგანოების საქმიანობის ზოგადი შეფასება.

3.1. ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვა მიზნად ისახავდა არსებული კვლევების შესწავლას, რომლებიც ეხებოდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისმიერგანხორციელებულისაზოგადოებრივიმომსახურების კუთხით არსებულ მდგომარეობას საქართველოში. კერძოდ:

- კვლევისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე არსებული ინფორმაციის მოძიებას და ამ პროცესში ყურადღების გამახვილებას მოძიებული კვლევებისა და მიგნებების შედარებადობაზე განსახორციელებელ კვლევასთან.

ლიტერატურის მიმოხილვა წარიმართა განსახორციელებელი კვლევის შემდეგი მთავარი კითხვების აქცენტირებით:

- რა მდგომარეობაა საქართველოში თვითმმართველობების კუთხით;
- როგორია მოსახლეობის თვითმმართველობის საკითხებში ჩართულობის ხარისხი;
- როგორ ფუნქციონირებს მუნიციპალური მომსახურებები;
- რა დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას მუნიციპალურ და სახელმწიფო მომსახურებებთან.

3.2. რაოდენობრივი კვლევა

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს ზრდასრული მოსახლეობა (18 წლის და უფროსი საქართველოს მაცხოვრებლები). კვლევამ, ოკუპირებული ტერიტორიების გარდა, საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა.

სულ კვლევის ფარგლებში 3400 პირისპირ ინტერვიუ ჩატარდა. ინტერვიუს ხანგრძლივობა, დაახლოებით, 45-50 წუთს შეადგენდა.

კვლევის ინსტრუმენტები და ანალიტიკური ნაწილი დაამუშავეს „ეისითი"-ს გუნდმა და მოწვეულმა ექსპერტმა, დავით ლოსაბერიძემ.

შერჩევის დიზაინისათვის გამოიყენეს ორსაფეხურიანი კლასტერული შერჩევა წინასწარი სტრატიფიკაციით. შერჩევა განხორციელდა 2014 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე.

თითოეულ პირველად შერჩევის წერტილზე 10 რესპონდენტი გამოიკითხა, ხოლო მეორად შერჩევის წერტილზე (შინამეურნეობაში) – ერთი რესპონდენტი. რესპონდენტი შინამეურნეობაში შეირჩა ბოლო დაბადების დღის პრინციპით.

შერჩევის მოცულობის განაწილება რეგიონების, ქალაქისა და სოფლის ტიპის დასახლებების მიხედვით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში **(იხ. ცხრილი 1)**.

ცხრილი # 1 – შერჩევის ზომა და განაწილება სტრატებში

შერჩევის ზომა	**ქალაქი**	**სოფელი**	**სულ**
	პროპორციული განაწილება	**პროპორციული განაწილება**	
თბილისი	400	0	**400**
კახეთი	70	230	**300**
შიდა ქართლი	120	180	**300**
ქვემო ქართლი	130	170	**300**
სამცხე-ჯავახეთი	100	200	**300**
აჭარა	130	170	**300**
გურია	80	220	**300**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	120	180	**300**
იმერეთი	140	160	**300**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	60	240	**300**
მცხეთა-მთიანეთი	70	230	**300**
სულ	**1460**	**1940**	**3400**

საერთო შერჩევითი ცდომილების გამოსათვლელად 95%-იანი სტატისტიკური მნიშვნელობა შეირჩა. 3400 ინტერვიუსთვის საერთო შერჩევითი ცდომილება 1.7%-1.8%-მდე მერყეობს. რეგიონებში შერჩევითი უზუსტობა არის 5.5%-6%, თბილისში – 4.5%-5%, ხოლო მაღალმთიანი ზონის დასახლებებში – 4%-4.5%.

3.3. თვისებრივი კვლევა

თვისებრივი კვლევის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით სულ ოთხი ფოკუს ჯგუფი ჩატარდა იმერეთსა და თბილისში.

ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ რესპონდენტები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან (გამგეობა, საკრებულო) ურთიერთობის გამოცდილებითაც და ამგვარი გამოცდილების გარეშეც.

ფოკუს ჯგუფი შედგებოდა 8 რესპონდენტისგან. მათი ასაკი 25-დან 50 წლამდე მერყეობდა.

ფოკუს ჯგუფები, დაახლოებით, 2.5 საათს გრძელდებოდა. შემდეგ მომზადდა დისკუსიის დეტალური ტრანსკრიპტები, რომლებიც კვლევის საბოლოო ანგარიშის მომზადებას მოხმარდა.

4

კვლევის შეზღუდვები

საზოგადოებრივი მომსახურებებით საქართველოს მოსახლეობის კმაყოფილების კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი და სამაგიდო კვლევის მეთოდების კომბინაცია. მიუხედავად მეთოდოლოგიური გამართულობისა, საკვლევი სახელმწიფოსა და მუნიციპალური სერვისების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში თითოეული სერვისი სიღრმისეულად ვერ გაანალიზდა. დაინტერესებულ მხარეებს კვლევა აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას საზოგადოებრივ მომსახურებათა ხელმისაწვდომობისა და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის შესახებ, თუმცა სასურველი იქნებოდა თითოეულ სერვისთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება. კერძოდ, რა პრობლემებს ხედავს მოსახლეობა კონკრეტული საზოგადოებრივი სერვისების გამოყენების თვალსაზრისით, როგორ გაუმჯობესდება აღნიშნული სერვისები და ა.შ.

კვლევის მოცულობა (3400 პირისპირ ინტერვიუ მთელი საქართველოს მასშტაბით) საკმარისია მონაცემების გასაანალიზებლად როგორც ეროვნულ დონეზე, ისე შემდეგი ჯგუფებისათვის: (1) თბილისი და ათი ადმინისტრაციული რეგიონი, (2) ქალაქები და სასოფლო დასახლებები, (3) მაღალმთიანი სოფლები და სხვა დასახლებები, (4) მომხმარებელთა ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლები. აღნიშნული ჯგუფების დონეზე მონაცემთა ანალიზი მნიშვნელოვან და სასარგებლო ინფორმაციას იძლევა სხვადასხვა საზოგადოებრივი მომსახურების განვითარების და, ზოგადად, ამ სფეროში პოლიტიკის დაგეგმვის თვალსაზრისით. თუმცა კვლევის ფარგლებში მუნიციპალიტეტების დონეზე მონაცემთა ანალიზი ვერ ხერხდება. მუნიციპალიტეტების ცალ-ცალკე დასახასიათებლად საჭირო იქნებოდა კვლევის შერჩევის მნიშვნელოვანი გაზრდა, რაც მოცემული საბიუჯეტო და დროის რესურსების გათვალისწინებით, ამ ეტაპზე, ვერ მოხერხდა.

კვლევის შერჩევაში არ ყოფილა გათვალისწინებული შერჩევის მოცულობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი შეზღუდვა – საქართველოში არსებული ყველა თვითმმართველი ქალაქის ინდივიდუალური დახასიათება, რაც ძალიან საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა ანალიზისთვის.

5

კვლევის შედეგები

მოცემულ თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები და დასკვნები. შედეგები გაანალიზებულია კვლევის ფარგლებში შესწავლილი ძირითადი საკითხების მიხედვით:

- სკოლამდელი, საშუალო და პროფესიული განათლება;
- სოციალური დახმარება;
- ჯანდაცვა;
- რეკრეაცია, დასვენება და ტურიზმი;
- კომუნალური ინფრასტრუქტურა;
- გზები;
- თვითმმართველობის მომსახურება;
- სხვადასხვა მომსახურებები.

ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის სიხშირული ანალიზი. ამასთან, მონაცემები გაანალიზებულია სხვადასხვა მაჩვენებლის, მაგალითად, დასახლების ტიპის, რეგიონის, სქესის და ა.შ. მიხედვით. წარმოდგენილია მაღალმთიანი[2] სოფლებისა და სხვა ზონების შედარებაც. 2017 წლის კვლევის შედეგები ასევე შედარებულია 2013 და 2015 წელს ჩატარებულ იმავე კვლევის შედეგებს.

კვლევის შედეგები შეწონილია, რამაც შესაძლებელი გახადა მათი განზოგადება საქართველოს მასშტაბით.

კვლევის შედეგად მოგროვებული ინფორმაცია დამუშავდა სტატისტიკური პროგრამის SPSS 23.0-ის მეშვეობით. საკვლევი ცვლადის მაჩვენებლის სიხშირეთა განაწილების სანდოობის დასადგენად გამოყენებულია პირსონის ხი-კვადრატი – Pearson Chi Square, ხოლო საშუალო მაჩვენებლების სხვაობის სანდოობის შესაფასებლად – One-way Anova.

2 „მაღალმთიან რეგიონად ითვლება დასახლებული ტერიტორია, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე და მის ზევით, მაგრამ სხვადასხვა პარამეტრის (მთის ფერდობების და ზეგნების დახრილობა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი გარემო, ეთნოგრაფიული და ეკონომიკური თავისებურებები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული ტევადობა, გამწვავებული მიგრაციული პროცესები, დაცლილი ტერიტორიების ეკონომიკური თვალსაზრისით დაკარგვის საფრთხე) გათვალისწინებით, მისი ქვედა ზღვარი კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე განლაგებულ რაიონებსა და აჭარა-გურიის მთიანეთში მცირდება 1000 მეტრამდე (გამონაკლის შემთხვევაში – 800 მეტრამდეც კი), ხოლო სამხრეთ საქართველოს მთიან რაიონებში რჩება 1500 მეტრი.“ – საქართველოს კანონი მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ.

ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც სტატისტიკური ტესტების გამოყენების შედეგად, 95%-იანი ალბათობით სანდო აღმოჩნდა.[3]

მონაცემების სიმრავლის გამო, ანგარიშში განხილულია მხოლოდ მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა მაჩვენებელს შორის, კვლევის შედეგების სრულად ნახვა კი ანგარიშის დანართშია შესაძლებელი **(იხ. დანართი 2)**.[4]

კვლევის შედეგებში ინტეგრირებულია თვისებრივი კვლევით მიღებული ინფორმაციაც. ფოკუს ჯგუფებში დისკუსიები ძირითადად ადგილობრივი თვითმმართველობის თემას შეეხო, ამიტომაც თვისებრივი კვლევის მონაცემები უმეტესად კონცენტრირებულია ქვეთავში – თვითმმართველობის ზოგადი შეფასება.

5.1. სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლება

კვლევის ფარგლებში შესწავლილია საჯარო სასწავლო დაწესებულებათა ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის კმაყოფილების დონე აღნიშნული სერვისებით.

5.1.1. მუნიციპალური საბავშვო ბაღები

2017 წლის კვლევის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით, მუნიციპალური ბაღები უმეტესად ხელმისაწვდომია (83%). როგორც კვლევის რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, უშუალოდ მათ დასახლებაში/უბანში ფუნქციონირებს მუნიციპალური ბაღი (80%), სახელმწიფო ბაღების დასახლებიდან/უბნიდან 2-5კმ-ში ან უფრო შორს ხელმისაწვდომობაზე მიუთითებს, შესაბამისად, რესპონდენტთა 12% და 8%.

ტრანსპორტთან დაკავშირებით რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა (59%) აღნიშნა, რომ უახლოეს საბავშვო ბაღამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი მიდის. რესპონდენტთა ნაწილი აცხადებს, რომ მათთვის ტრანსპორტით გადაადგილება ბაღამდე მისასვლელად აუცილებელი არ არის (28%). რაც შეეხება რესპონდენტთა 14%-ს, ისინი ამბობენ, რომ უახლოეს საბავშვო ბაღამდე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დადის.

გრაფიკი # 1 – მუნიციპალური საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა, მანძილი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა – 2017 წლის მონაცემები



3 სტატისტიკურად სანდო ნიშნავს სავარაუდო ჭეშმარიტებას (არა შემთხვევითობას). კვლევის დასკვნები შეიძლება იყოს ჭეშმარიტი, მაგრამ არა სანდო. როდესაც სტატისტიკოსი ამბობს, რომ შედეგი არის „სანდო“, იგულისხმება, რომ დიდი ალბათობით იგი სიმართლეს შეეფერება. აუცილებელი არ არის, რომ ამ დროს შედეგის მნიშვნელობაც იგულისხმებოდეს. მნიშვნელობის დონეები აჩვენებს, თუ რამდენად სავარაუდოა, რომ შედეგი შემთხვევითი იყოს. ყველაზე გავრცელებული დონე, რომელიც გულისხმობს, რომ რაღაც საკმაოდ სარწმუნოა, არის .95. ეს ნიშნავს, რომ დასკვნა 95%-ით სარწმუნოა. თუმცა, ეს მაჩვენებელი, შესაძლოა, შეცდომაში შემყვანიც აღმოჩნდეს. არც ერთი სტატისტიკური პაკეტი არ გაჩვენებთ „95%“-ს ან „.95“-ს ამ დონის საჩვენებლად. მის მაგივრად გამოყენებული იქნება „.05“, რაც ნიშნავს, რომ კვლევის დასკვნა ხუთ პროცენტიანი (.05) ალბათობით არის მცდარი, რაც 95%-იანი სარწმუნოობის ალბათობის საწინააღმდეგოა.

4 კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები (2017) სრულად არის წარმოდგენილი დანართში 2

როგორც კვლევის შედეგები მოწმობს, რესპონდენტები უმეტესად კმაყოფილნი არიან საბავშვო ბაღის სხვადასხვა პარამეტრით. ყველაზე მეტად გამოკითხულებს ინფრასტრუქტურა (78%), ყველაზე ნაკლებად კი – რეგისტრაციის პროცედურები (63%) აკმაყოფილებთ. აღსანიშნავია, რომ **ქალი/კაცის** ჭრილში, საბავშვო ბაღის ყველა პარამეტრით ქალები უფრო არიან კმაყოფილნი, ვიდრე კაცები.

ცხრილი #2 - სხვადასხვა პარამეტრით საბავშვო ბაღებით კმაყოფილების ხარისხი - 2017 წლის მონაცემები

	უკმაყოფილო	**კმაყოფილი**	**არ ვიცი**
ინფრასტრუქტურით	5%	**78%**	17%
მენეჯმენტით	2%	**71%**	27%
რეგისტრაციის პროცედურებით	6%	**63%**	31%
კვებით	2%	**70%**	28%
პედაგოგების მომზადებით	2%	**73%**	25%

ქალაქი/სოფლის ჭრილში გამოიკვეთა, რომ საბავშვო ბაღის არსებობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში (93%) ფიქსირდება. სხვა ქალაქებშიც საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა უფრო მაღალია (87%), ვიდრე სოფელში (74%). რაც შეეხება უშუალოდ დასახლებაში/უბანში ბაღების არსებობას, თბილისის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 92%-ის, სხვა ქალაქების შემთხვევაში – 85%, სოფლების შემთხვევაში კი – 67%-ია. როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ბაღამდე, უმეტეს შემთხვევაში, თბილისში მიდის (75%). სხვა ქალაქებსა და სოფლებში ბევრად განსხვავებული ვითარება არ გამოვლინდა, რადგან უახლოეს საბავშვო ბაღამდე ტრანსპორტით გადაადგილების შესაძლებლობა ქალაქებში რესპონდენტთა 54%, სოფლებში კი – 50% დაადასტურა.

მუნიციპალური საბავშვო ბაღებით კმაყოფილების თვალსაზრისით ქალაქებსა და სოფლებში არსებითი განსხვავება არ ფიქსირდება, ყველა საკვლევ სეგმენტში კმაყოფილების მაჩვენებელი 84%-ზე მაღალია.

გრაფიკი # 2 – მუნიციპალური საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა, მანძილი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა ქალაქი/სოფლის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



რეგიონის ჭრილში, მუნიციპალური საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება კახეთსა (97%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (95%). სახელმწიფო საბავშვო ბაღები დასახლებაში/უბანში ყველაზე ნაკლებად არის ქვემო ქართლსა (35%) და აჭარაში (34%).

გრაფიკი # 3 – საბავშვო ბაღების დასახლებაში/უბანში ხელმისაწვდომობა რეგიონების მიხედვით – 2017 წლის მონაცემები



რაც შეეხება მანძილს, უახლოესი მუნიციპალური საბავშვო ბაღები რეგიონებშიც, უმეტესად, უშუალოდ უბანში/დასახლებაშია განთავსებული. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია კახეთის რეგიონი, სადაც მუნიციპალური საბავშვო ბაღის უბანში/დასახლებაში არსებობას რესპონდენტთა 96% აღნიშნავს; ყველაზე მეტი მუნიციპალური ბაღი დასახლებიდან 2-5 კმ-ში შიდა ქართლშია (29%), უფრო შორ მანძილზე კი ყველაზე ხშირად – ქვემო ქართლში (33%).

გრაფიკი # 4 – მანძილი მუნიციპალურ საბავშვო ბაღებამდე რეგიონების ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



როგორც მოსალოდნელი იყო, უახლოეს მუნიციპალურ საბავშვო ბაღამდე გადასაადგილებლად საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველაზე მეტად ხელმისაწვდომია თბილისში (75%). მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ასევე აჭარასა (72%) და გურიაში (72%). ყველაზე მეტად პრობლემები საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით აღინიშნა სამცხე-ჯავახეთში (34%), ასევე მცხეთა-მთიანეთსა (32%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (26%). უახლოეს მუნიციპალურ საბავშვო ბაღამდე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა კი ყველაზე ნაკლებად აქტუალურია ქვემო ქართლისა (58%) და კახეთის (52%) რეგიონებისთვის.

გრაფიკი # 5 – საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა უახლოეს მუნიციპალურ საბავშვო ბაღამდე მისასვლელად რეგიონების ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



სახელმწიფო საბავშვო ბაღებით ზოგადი კმაყოფილების კუთხით, რეგიონებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება აჭარაში (94%), ყველაზე ნაკლები კი – შიდა ქართლში (77%%).

გრაფიკი # 6 – მუნიციპალური საბავშვო ბაღებით კმაყოფილება რეგიონების ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



როგორც კვლევის შედეგები მოწმობს, მაღალმთიან დასახლებათა თითქმის ნახევარში მუნიციპალური საბავშვო ბაღი არის (53%), ნახევარში კი – არა (47%). იქ, სადაც ბაღები ხელმისაწვდომია, საბავშვო ბაღების უბანში/დასახლებაში არსებობაზე მიუთითებს ყოველი მეორე რესპონდენტი (51%). ამ ტიპის დასახლებებში საბავშვო ბაღების 2-5კმ-ის მანძილზე არსებობას რესპონდენტთა 25% აღნიშნავს, კიდევ უფრო შორს კი გამოკითხულთა – 23%. **მაღალმთიან დასახლებებში** მუნიციპალური საბავშვო ბაღებით კმაყოფილებას რესპონდენტთა 86% გამოხატავს.

გრაფიკი # 7 – მუნიციპალური საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



გენდერის ჭრილში კვლევის შედეგების თანახმად, მუნიციპალურ საბავშვო ბაღებთან ხელმისაწვდომობას ქალების 85% და კაცების 82% ადასტურებს. კმაყოფილების თვალსაზრისით კი აღსანიშნავია, რომ ქალები უფრო არიან კმაყოფილნი საბავშვო ბაღებით (88%), ვიდრე კაცები (85%).

გრაფიკი # 8 – მუნიციპალური საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



რაც შეეხება მუნიციპალური საბავშვო ბაღებით ზოგად კმაყოფილებას, რესპონდენტა 88% კმაყოფილია მათ დასახლებაში/უბანში არსებული საბავშვო ბაღებით.

გრაფიკი # 9 – მუნიციპალური საბავშვო ბაღებით კმაყოფილება – 2017 წლის მონაცემები



5.1.2. საჯარო სკოლები

კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ საჯარო სკოლები ხელმისაწვდომია (96%). უშუალოდ უბანში/დასახლებაში საჯარო სკოლების არსებობა აღნიშნა კვლევის ყოველმა მეცხრე რესპონდენტმა (90%); დასახლებიდან/უბნიდან 2-5კმ-ში სკოლა ხელმისაწვდომია რესპონდენტთა 9%-ის, უფრო შორს კი – რესპონდენტთა მხოლოდ 1%-ისთვის. უახლოეს საჯარო სკოლამდე გადაადგილებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმისაწვდომია ათიდან ექვსი რესპონდენტისთვის (59%); გამოკითხულთა 9%-ის თქმით კი, სკოლამდე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტი ხელმისაწვდომი არ არის. ათიდან სამი რესპონდენტი აცხადებს, რომ სკოლამდე გადაადგილებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა არ სჭირდება (32%).

გრაფიკი # 10 – საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა, მანძილი, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა – 2017 წლის მონაცემები



კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 42%-მა იცის, 58%-მა კი – არა, თუ ვის უნდა მიმართოს სკოლაში რაიმე საკითხის გასაჩივრებასთან დაკავშირებით. რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას (94%) არასდროს გაუსაჩივრებია რაიმე საკითხი, ხოლო მათი უმრავლესობა, ვისაც სკოლაში რაიმე საკითხის გასაჩივრების პრაქტიკა აქვს (6%), უფრო კმაყოფილნი არიან გასაჩივრებაზე რეაგირებით (64%), ვიდრე უკმაყოფილონი (19%).

სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით კმაყოფილების კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტები, ძირითადად, კმაყოფილნი არიან სკოლის სხვადასხვა პარამეტრით. ყველაზე მეტად მოსწონთ საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა (81%), ყველაზე ნაკლებად კი – სამეურვეო საბჭოს საქმიანობა (60%). **გენდერის** ჭრილში აღსანიშნავია, რომ საჯარო სკოლის სხვადასხვა პარამეტრით ქალები უფრო კმაყოფილნი არიან, ვიდრე კაცები.

ცხრილი # 3 – უახლოესი საჯარო სკოლის სხვადასხვა პარამეტრით კმაყოფილების ხარისხი – 2017 წლის მონაცემები

	უკმაყოფილო	კმაყოფილი	არ ვიცი
ინფრასტრუქტურით	8%	**81%**	11%
მენეჯმენტით	4%	**73%**	23%
რეგისტრაციის პროცედურებით	3%	**70%**	27%
სამეურვეო საბჭოს საქმიანობით	2%	**60%**	38%
პედაგოგების მომზადებით	4%	**78%**	18%

ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა მაღალია ყველა ტიპის დასახლებაში. თბილისში სკოლების ხელმისაწვდომობა 98%-ია, ქალაქებში – 93%, სოფლებში კი – 96%. ყველგან საჯარო სკოლები, უმეტესად, უბანში/დასახლებაშია, თუმცა ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება (97%). სხვა ქალაქებში უბანში/დასახლებაში საჯარო სკოლების არსებობაზე რესპონდენტთა 89%, სოფლებში კი 87% მიუთითებს. რაც შეეხება საზოგადოებრივი ტრანსპორტით უახლოეს საჯარო სკოლამდე გადაადგილების შესაძლებლობას, ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში აღინიშნა (77%), სხვა ქალაქებსა და სოფლებში კი ეს მაჩვენებელი იდენტურია (52-52%). თუმცა, აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ უახლოეს საჯარო სკოლამდე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ არის საჭირო ათიდან ოთხი რესპონდენტისთვის როგორც სოფლის (40%), ასევე სხვა ქალაქების შემთხვევაში (39%).

საჯარო სკოლებით კმაყოფილების თვალსაზრისით, სოფლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (91%) ფიქსირდება, თბილისში კი – ყველაზე დაბალი (82%). სხვა ქალაქების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 89%-ის ტოლია.

გრაფიკი # 11 – საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



რეგიონის ჭრილში კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა რეგიონში საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 80%-ს აღემატება. სკოლების ხელმისაწვდომობა ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთში (82%). ყველა რეგიონში საჯარო სკოლები უმეტესად დასახლებაში/უბანშია. 2-5კმ-ის მანძილზე ყველაზე მეტი სკოლა მცხეთა-მთიანეთშია (21%), დასახლებიდან 5კმ-ზე უფრო შორ მანძილზე კი ყველაზე მეტი სკოლა რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონშია (6%). რეგიონებიდან საჯარო სკოლამდე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველაზე მეტად არ სჭირდება ქვემო ქართლისა (72%) და შიდა ქართლის (67%) მოსახლეობას. სკოლამდე გადასაადგილებლად საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობაზე ყველაზე მეტმა რესპონდენტმა სამცხე-ჯავახეთსა (25%) და მცხეთა-მთიანეთში (22%) აღნიშნა; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ყველაზე მაღალი ხელმისაწვდომობა კი დაფიქსირდა გურიაში (78%), თბილისსა (77%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (74%).

გათვითცნობიერებულობის დონე იმასთან დაკავშირებით, თუ ვის უნდა მიმართონ საჯარო სკოლაში რაიმე საკითხის გასაჩივრების მიზნით, ყველაზე მაღალია სამცხე-ჯავახეთში (71%). ამ საკითხთან დაკავშირებით გათვითცნობიერებულობის დონე 50% და მეტია აჭარაში (60%), იმერეთსა (54%) და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის (52%) რეგიონებში. რაც შეეხება უშუალოდ რაიმე საკითხის გასაჩივრებას, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ

გასაჩივრების შემთხვევები მხოლოდ 6%-ს აღწევს, მათგან უმრავლესობა კი თბილისში ფიქსირდება (15%).

კვლევის შედეგების თანახმად, **მაღალმთიან დასახლებებში** სახელმწიფო საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა მაღალია (93%). მათგან უმრავლესობა დასახლებაში/უბანშივეა (89%), 2-5 კმ-ის მანძილზეა სკოლები რესპონდენტთა 10%-ის თქმით, ხოლო უფრო შორ მანძილზე სკოლების ხელმისაწვდომობაზე მაღალმთიან დასახლებებში რესპონდენტთა 2% საუბრობს.

რაც შეეხება კმაყოფილებას საჯარო სკოლებით, ამ ტიპის დასახლებებში ათიდან შვიდი (71%) რესპონდენტია კმაყოფილი.

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ **გენდერის** ჭრილში საჯარო სკოლებთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით არავითარი განსხვავება არ არის, რადგან როგორც ქალების, ასევე კაცების 96% აცხადებს, რომ საჯარო სკოლა ხელმისაწვდომია. თითქმის მსგავსია საჯარო სკოლებით კმაყოფილების მაჩვენებელიც – ქალების 87% და კაცების 90%% კმაყოფილია მათი მუშაობით.

გრაფიკი # 12 – საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



რაც შეეხება საჯარო სკოლებით ზოგად კმაყოფილებას, ათიდან თითქმის ცხრა რესპონდენტი კმაყოფილია მათი მუშაობით (88%), უკმაყოფილებას კი გამოკითხულთა მხლოდ 2% გამოთქვამს.

გრაფიკი # 13 – საჯარო სკოლებით კმაყოფილება – 2017 წლის მონაცემები



5.1.3. პროფესიული სასწავლებლები

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 40%-ის თქმით, მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში არის პროფესიული სასწავლებელი. პროფესიული სასწავლებლების არარსებობაზე მიუთითებს რესპონდენტთა 27% და თითქმის იგივე რაოდენობა რესპონდენტების (28%) არ ფლობს ინფორმაციას ასეთის არსებობა/არარსებობის თაობაზე მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში. რაც შეეხება საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ის უმეტესად მიდის (81%) პროფესიულ სასწავლებლამდე.

გრაფიკი # 14 – პროფესიული სასწავლებლების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა – 2017 წლის მონაცემები



იმ რესპონდენტთა ნახევარი, ვის მუნიციპალიტეტში/რეგიონშიც არის პროფესიული სასწავლებელი, არ ფლობს ინფორმაციას სწავლის საფასურის შესახებ (54%); ხოლო იმ 13%-დან, ვისთვისაც საფასურის ოდენობა ცნობილია, იმ შემთხვევაში, თუ მათ ან მათი ოჯახის რომელიმე წევრი ისურვებს პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელებას, საფასური მისაღები (44%) ან მეტ-ნაკლებად მისაღებია (32%). რაც შეეხება ზოგად კმაყოფილებას პროფესიული სასწავლებლებით მუნიციპალიტეტში/რეგიონში, რესპონდენტთა 67% კმაყოფილი, 32% კი – მეტ-ნაკლებად კმაყოფილია.

გრაფიკი #15 – პროფესიული სასწავლებლებით კმაყოფილება – 2017 წლის მონაცემები



რაც შეეხება პროფესიებს, რომელთა პროფესიულ სასწავლებელში დაუფლებასაც პრიორიტეტულად მიიჩნევენ მათი დასახლების/ქალაქის მაცხოვრებლებისთვის, რესპონდენტები ასახელებენ მშენებლობას (43%) და სამედიცინო სფეროს, სადაც მედდისა და სანიტრის პროფესიებს შეიძლება დაეუფლონ (42%). პრიორიტეტულ სფეროებს შორის ასევე სახელდება ტურიზმი (37%) და სასოფლო-სამეურნეო სფერო (36%). ადმინისტრაციული საქმიანობის დაუფლებას პრიორიტეტად მიიჩნევს გამოკითხულ რესპონდენტთა 17%.

გრაფიკი # 16 – იმ სფეროს პროფესიები, რომელთა დაუფლებაც პრიორიტეტულია დასახლების/ქალაქის მაცხოვრებლებისათვის პროფესიულ (პროფტექნიკურ) სასწავლებელში – 2017 წლის მონაცემები



ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ პროფესიული სასწავლებლები უმეტესად ქვეყნის ურბანულ ნაწილშია (თბილისი – 37%, სხვა ქალაქები – 53%) წარმოდგენილი. სოფლების შემთხვევაში პროფესიული სასწავლებლების არსებობაზე რესპონდენტთა 34% მიუთითებს. უახლოეს პროფესიულ სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება ყველაზე მეტად ხელმისაწვდომია ქალაქებში (89%), ყველაზე ნაკლებად კი – თბილისში (69%). სოფლის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 83%-ის ტოლია. პროფესიული სასწავლებლებით ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით სხვა ქალაქებსა და სოფლებში მაჩვენებლები არ არის განსხვავებული (70%-70%), ხოლო თბილისის შემთხვევაში კმაყოფილებას 43% გამოთქვამს.

რეგიონის ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ პროფესიულ სასწავლებლებზე ყველაზე მეტად ხელი მიუწვდებათ კახეთსა (59%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (52%); ყველაზე ნაკლებად კი – მცხეთა-მთიანეთის რეგიონში (8%). საზოგადოებრივი ტრანსპორტი რეგიონებში პროფესიულ სასწავლებლამდე უმეტესად მიდის. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტი პრობლემა რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონშია, სადაც რესპონდენტთა 18% აცხადებს, რომ პროფესიულ სასწავლებლამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება ვერ ხერხდება. ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით კი, რეგიონები კმაყოფილები არიან მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში პროფესიული სასწავლებლებით. ყველაზე მეტ კმაყოფილებას აღნიშნული ფაქტით გურია (68%) გამოხატავს, ყველაზე ნაკლებს კი – თბილისი (9%). რაც შეეხება კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებს, სადაც პროფესიული სასწავლებლების ყველაზე მაღალი ხელმისაწვდომობა დაფიქსირდა, იქაც რესპონდენტები, ძირითადად, კმაყოფილებას გამოხატავენ, რაც კახეთის შემთხვევაში 38%-ის, სამეგრელო-ზემო სვანეთის შემთხვევაში კი – 36%-ის ტოლია.

გრაფიკი # 17 – პროფესიული (პროფტექნიკური) სასწავლებლის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებლებში დასაუფლებელ პრიორიტეტულ პროფესიებს, რეგიონების უმეტესობა (კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, ქვემო ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია) უპირატესობას *სასოფლო-სამეურნეო* სფეროსთვის საჭირო პროფესიებს ანიჭებს. *სამშენებლო სფეროს* მიიჩნევს პრიორიტეტულად თბილისი და იმერეთი, *სამედიცინო სფეროს* კი – სამეგრელო-ზემო სვანეთი და შიდა ქართლი. რაც შეეხება *ტურიზმს*, მას ყველაზე პრიორიტეტულ სფეროდ პროფესიულ სასწავლებლებში პროფესიების დასაუფლებლად აჭარა ასახელებს.

ცხრილი # 4 – პროფესიულ სასწავლებლებში დასაუფლებელი პროფესიებისთვის პრიორიტეტული სფეროები რეგიონის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები

	სამშენებლო	**სამედიცინო**	**ტურიზმი**	**სასოფლო სამეურნეო**	**ადმინის-ტრაციული**	**არ ვიცი/უარი პასუხზე**
თბილისი – N=400	**54%**	47%	50%	12%	28%	16%
აჭარა – N=300	43%	44%	**66%**	39%	19%	9%
გურია – N=300	36%	39%	32%	63%	10%	21%
იმერეთი – N=300	**69%**	53%	39%	62%	19%	8%
კახეთი – N=300	15%	27%	10%	**50%**	11%	29%
მცხეთა-მთიანეთი – N=300	21%	25%	16%	**52%**	6%	21%
ქვემო ქართლი – N=300	18%	25%	12%	**32%**	6%	46%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი N=300	52%	32%	48%	**79%**	12%	12%
სამცხე-ჯავახეთი – N=300	43%	50%	22%	**55%**	9%	19%
სამეგრელო-ზემო სვანეთი – N=300	42%	**46%**	40%	40%	15%	21%
შიდა ქართლი – N=300	33%	**39%**	21%	29%	6%	43%
ჯამური – N=3400	**43%**	42%	37%	36%	17%	21%

მაღალმთიან დასახლებებში პროფესიულ სასწავლებლებთან ხელმისაწვდომობაზე მიუთითა კვლევის რესპონდენტთა 29%-მა, 44%-ის თქმით კი, მათ დასახლებაში ამ ტიპის სასწავლებლები არ არის. რაც შეეხება პრიორიტეტულ პროფესიებს, რომელთაც შესაძლებელია ადგილობრივები დაეუფლონ პროფესიულ სასწავლებლებში, მაღალმთიანი დასახლებები უპირატესობას ანიჭებენ *სოფლის მეურნეობის* სფეროს პროფესიებს (69%). საინტერესოა, რომ **გენდერის** ჭრილის თანახმად, პრიორიტეტულ პროფესიებს შორის ქალები უმეტესად სამედიცინო (46%), კაცები კი – სამშენებლო სფეროს (48%) ასახელებენ.

გრაფიკი # 18 – პროფესიულ სასწავლებლებში დასაუფლებელი პროფესიებისთვის პრიორიტეტული სფეროები გენდერის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლება – 2013-2015-2017

მუნიციპალური საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა, კვლევის წინა რაუნდებთან შედარებით, გაზრდილია. თუ ბაღებთან ხელმისაწვდომობა 2013 და 2015 წელს იდენტური იყო (77%-77%), უკვე 2017 წელს უბანში/დასახლებაში მის ხელმისაწვდომობაზე გამოკითხულთა 83% მიუთითებს. რაც შეეხება მუნიციპალური საბავშვო ბაღებით ზოგად კმაყოფილებას, როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, მუნიციპალური ბაღებით ყველაზე მეტი რესპონდენტი 2015 წელს იყო კმაყოფილი (89%).

რეგიონების ჭრილში, 2015 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა თითქმის ყველგან გაზრდილია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი იმერეთში (86%) ყველაზე მაღალი იყო 2013 წელს. საბავშვო ბაღები უშუალოდ დასახლებაში/უბანში ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი იყო თბილისსა (100%) და შიდა ქართლში (78%) 2015 წელს. აჭარის შემთხვევაში 2015 და 2017 წლებში მდგომარეობა არ შეცვლილა (66%-66%). საბავშვო ბაღებით კმაყოფილების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ რეგიონთა უმრავლესობაში მუნიციპალური ბაღებით ყველაზე მეტად კმაყოფილნი იყვნენ 2015 წელს. რეალობა მცირედით, მაგრამ პოზიტიურობისკენაა შეცვლილი თბილისსა (85%) და სამეგრელო-ზემო სვანეთის (87%) შემთხვევაში, სადაც საბავშვო ბაღებით კმაყოფილების მაჩვენებელი 2017 წელს უფრო მაღალია, ვიდრე კვლევის წინა რაუნდებში.

ცხრილი # 5 – დასახლებაში/უბანში მუნიციპალური ბაღების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში – 2013-2015-2017 წლების მონაცემები

	ხელმისაწვდომობა			კმაყოფილი		
	2013	2015	2017	2013	2015	2017
თბილისი – N=400	89%	**100%**	93%	64%	82%	**84%**
აჭარა – N=300	52%	**66%**	**66%**	86%	**95%**	94%
გურია – N=300	72%	79%	**91%**	84%	**93%**	74%
იმერეთი – N=300	**86%**	72%	83%	94%	**95%**	92%
კახეთი – N=300	87%	93%	**97%**	73%	**96%**	92%
მცხეთა-მთიანეთი – N=300	66%	61%	**80%**	81%	**95%**	88%
ქვემო ქართლი – N=300	57%	38%	**65%**	43%	85%	**86%**
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი – N=300	43%	51%	**69%**	89%	**94%**	91%
სამცხე-ჯავახეთი – N=300	52%	43%	**72%**	**87%**	**87%**	85%
სამეგრელო-ზემო სვანეთი – N=300	89%	87%	**95%**	84%	85%	**87%**
შიდა ქართლი – N=300	59%	**78%**	70%	81%	**84%**	77%

მაღალმთიანი რეგიონის ჭრილში, სახელმწიფო საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა გაზრდილია (2013 – 35%, 2015 – 38%, 2017 – 53%). **ქალაქი/სოფლის** ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქში წლების მიხედვით ვითარება თითქმის უცვლელია და ათიდან ცხრა რესპონდენტის თქმით, მათ დასახლებაში/უბანში არის საბავშვო ბაღი. სოფელში კი ვითარება შეცვლილია და 2017 წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი წინა წლებთან შედარებით (2013 – 59%, 2015 – 59%, 2017 – 74%). საბავშვო ბაღებით ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით კი, აღსანიშნავია, რომ კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დასახლების ორივე ტიპში 2015 წელს ფიქსირდება (ქალაქი – 88%, სოფელი – 91%).

გენდერის ჭრილში აღსანიშნავია, რომ საბავშვო ბაღებით კმაყოფილების თვალსაზრისით, ქალების შემთხვევაში ზრდის ტენდენცია ფიქსირდება (2013 – 78%, 2015 – 87%, 2017 – 88%). კაცების შემთხვევაში კი, კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს დაფიქსირდა (91%).

გრაფიკი # 19 – მუნიციპალური საბავშვო ბაღებით კმაყოფილება გენდერის ჭრილში – 2013-2015-2017 წლების მონაცემები



საჯარო სკოლებთან ხელმისაწვდომობა, კვლევის სამი რაუნდის მონაცემების თანახმად, ქვეყანაში ყველაზე მაღალია 2017 წელს და გაზრდილია კვლევის წინა ტალღის მონაცემებთან შედარებით (2013 – 95%, 2015 – 88%, 2017 – 96%). საჯარო სკოლებით კმაყოფილების თვალსაზრისით კი, თუ 2013 წელს კმაყოფილებას ათიდან რვა რესპონდენტი (80%) გამოხატავდა, 2015 (89%) და 2017 (88%) წლებში საჯარო სკოლებით კმაყოფილი ათიდან ცხრა რესპონდენტია.

გრაფიკი # 20 – საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება – 2013-2015-2017 წლების მონაცემები



რეგიონის ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ 2015 წელთან შედარებით 2017 წელს საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობის ზრდა ფიქსირდება თითქმის ყველა რეგიონში. აღსანიშნავია, რომ აჭარაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში აბსოლუტური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2013 წელს, თბილისში კი - 2015 წელს. კმაყოფილების თვალსაზრისით კი, მაჩვენებელი ყველაზე დაბალი ყველა რეგიონში 2013 წელს იყო. კვლევის ბოლო ორი რაუნდის შედარებისას, კმაყოფილების მაჩვენებელი გაზრდილია თბილისში (81%-82%), აჭარაში (94%-97%), კახეთში (89%-93%), ქვემო ქართლსა (80%-87%) და სამცხე-ჯავახეთში (90%-92%). სხვა რეგიონებში კი კმაყოფილების მაჩვენებელი, 2015 წელთან შედარებით, შემცირებულია.

ცხრილი # 6 – საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში – 2013-2015-2017 წლების მონაცემები

	ხელმისაწვდომობა			**კმაყოფილება**		
	2013	**2015**	**2017**	**2013**	**2015**	**2017**
თბილისი – N=400	98%	**100%**	98%	71%	81%	**82%**
აჭარა – N=300	**100%**	75%	86%	80%	94%	**97%**
გურია – N=300	88%	87%	**97%**	84%	**93%**	76%
იმერეთი – N=300	90%	79%	**95%**	94%	**98%**	92%
კახეთი – N=300	94%	96%	**97%**	79%	89%	**93%**
მცხეთა-მთიანეთი – N=300	83%	78%	**89%**	81%	**93%**	87%
ქვემო ქართლი – N=300	**100%**	79%	97%	63%	80%	**87%**
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი – N=300	75%	61%	**82%**	90%	**96%**	90%
სამცხე-ჯავახეთი – N=300	**100%**	84%	91%	84%	90%	**92%**
სამეგრელო-ზემო სვანეთი – N=300	93%	96%	**99%**	91%	**93%**	91%
შიდა ქართლი – N=300	90%	87%	**97%**	82%	**92%**	87%

საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა გაზრდილია **მაღალმთიან დასახლებებშიც** (2013 – 88%, 2015 – 74%, 2017 – 93%). რაც შეეხება ზოგად კმაყოფილებას, ყველაზე მეტი რესპონდენტი ამ ტიპის დასახლებებში საჯარო სკოლებით კმაყოფილებას კვლევის ბოლო რაუნდისას აფიქსირებს (2013 – 80%, 2015 – 88%, 2017 – 90%).

ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევის შედეგები მოწმობს, რომ საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა სოფელში გაზრდილია და წელს ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია (2013 – 95%, 2015 – 88%, 2017 – 96%). ქალაქის ტიპის დასახლებებში კი ყველაზე მაღალი შედეგი 2013 წელს (99%) ფიქსირდება. საჯარო სკოლებით კმაყოფილების მაჩვენებელი კვლევის სამივე რაუნდის შედეგად სოფელში უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქში.

საჯარო სკოლებით კმაყოფილება თითქმის იდენტურია **გენდერის** ჭრილში: ორივე სქესისთვის ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი 2013 წელს იყო, 2015 და 2017 წლებში კი, ათიდან ცხრა ქალი და კაცია კმაყოფილი სკოლებით.

გრაფიკი # 21 – საჯარო სკოლებით კმაყოფილება გენდერის ჭრილში – 2013-2015-2017 წლების მონაცემები



პროფესიულ სასწავლებლებთან დაკავშირებით კვლევის სამივე რაუნდის შედეგთა შედარებით გამოვლინდა, რომ რესპონდენტები მუნიციპალიტეტში/რეგიონში ასეთი სასწავლებლების ხელმისაწვდომობის ზრდაზე მიანიშნებენ – ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2017 წელს ფიქსირდება (40%). პროფესიული სასწავლებლებით კმაყოფილებას ყველა რაუნდისას ათიდან თითქმის შვიდი რესპონდენტი გამოხატავს.

გრაფიკი # 22 – მუნიციპალიტეტში/რეგიონში პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება – 2013-2015-2017 წლების მონაცემები



კვლევამ აჩვენა, რომ **რეგიონთა** უმრავლესობაში პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს დაფიქსირდა. კვლევის ბოლო რაუნდისთვის პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობის ზრდა გამოვლინდა თბილისის, გურიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის შემთხვევაში. ასევე, ამ ტიპის სასწავლებლების ზრდა შეინიშნება მცხეთა-მთიანეთში, სადაც, ზოგადად, ყველაზე დაბალია პროფესიულ სასწავლებელთა ხელმისაწვდომობა. სასწავლებლებით კმაყოფილების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ თბილისის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის შემთხვევაში, კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2013 წელს. გურიის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 2015 წელს. აჭარის, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის შემთხვევაში კი – 2017 წელს.

ცხრილი # 7 – მუნიციპალიტეტში/რეგიონში პროფესიული სასწავლებლების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში – 2013-2015-2017 წლების მონაცემები

	ხელმისაწვდომობა			**კმაყოფილება**		
	2013	**2015**	**2017**	**2013**	**2015**	**2017**
თბილისი – N=400	21%	20%	**37%**	**60%**	39%	43%
აჭარა – N=300	47%	**52%**	43%	75%	76%	**95%**
გურია – N=300	36%	34%	**44%**	81%	**93%**	80%
იმერეთი – N=300	37%	**50%**	42%	74%	**87%**	73%
კახეთი – N=300	**68%**	47%	59%	**69%**	60%	57%
მცხეთა-მთიანეთი – N=300	5%	3%	**8%**	71%	100%	73%
ქვემო ქართლი – N=300	14%	**33%**	28%	44%	**72%**	57%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი – N=300	13%	**45%**	33%	**90%**	86%	77%
სამცხე-ჯავახეთი – N=300	27%	**59%**	49%	53%	70%	**82%**
სამეგრელო-ზემო სვანეთი – N=300	39%	36%	**52%**	**63%**	44%	61%
შიდა ქართლი – N=300	15%	**47%**	33%	32%	39%	**65%**

მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ 2017 წელს საკუთარ მუნიციპალიტეტში/რეგიონში პროფესიული სასწავლებლების ფუნქციონირებაზე მიანიშნებს რესპონდენტთა 27%. ეს მაჩვენებელი 2013 წელსაც 27%-ს შეადგენდა, 2015 წელს კი – 42%-ს. რაც შეეხება პროფესიული სასწავლებლებით კმაყოფილებას მაღალმთიან დასახლებებში, მცირედი ცვლილებებით, მაგრამ აქაც ათიდან შვიდი რესპონდენტი გამოხატავს კმაყოფილებას (2013 – 74%, 2015 – 68%, 2017 – 72%).

ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პროფესიულ სასწავლებელთა ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ზრდის ტენდენციაა როგორც ქალაქში, ასევე სოფელში, თუმცა, თუ სოფელში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს (35%) დაფიქსირდა, ქალაქში კი – 2017 წელს (45%). პროფესიული სასწავლებლებით კმაყოფილება უფრო მაღალია სოფელში, ვიდრე ქალაქში. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღმოჩნდა 2015 წელს როგორც ქალაქში (68%), ასევე სოფელში (72%).

გენდერის ჭრილში პროფესიული სასწავლებლებით კმაყოფილების თვალსაზრისით კვლევამ აჩვენა, რომ მათ შორის, ვინც აცხადებს, რომ მათ რაიონში/რეგიონში არის პროფესიული სასწავლებელი, ბოლო ორი რაუნდის მონაცემებით, კაცების შემთხვევაში კმაყოფილების მაჩვენებელი შემცირდა (2015 – 74%, 2017 – 63%), ქალების – გაიზარდა (2015 – 67%, 2017 – 71%).

რაც შეეხება პრიორიტეტულ სფეროებს, რომელთა დაუფლებასაც პროფესიულ სასწავლებლებში რესპონდენტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საკუთარი დასახლების/ქალაქის მაცხოვრებლებისათვის, კვლევის სამივე რაუნდში განსხვავებული სფეროები დასახელდა. კერძოდ, თუ 2013 წელს ყველაზე პრიორიტეტულად სასოფლო-სამეურნეო სფერო ითვლებოდა (51%), 2015 წელს რესპოდნენტებმა უპირატესობა სამედიცინო სფეროს (44%) მიანიჭეს, 2017 წელს კი – სამშენებლო სფეროს (43%).

გრაფიკი # 23 – პროფესიულ სასწავლებლებში დასაუფლებელ პროფესიათა პრიორიტეტული სფეროები – 2013-2015-2017 წლების მონაცემები



აღსანიშნავია, რომ პროფესიულ სასწავლებლებში დასაუფლებელ პროფესიებს შორის **ქალაქში** უპირატესობას სამშენებლო, სოფელში კი – **სოფლის** მეურნეობის სფეროს ანიჭებენ.

გრაფიკი # 24 – პროფესიულ სასწავლებლებში დასაუფლებელ პროფესიათა პრიორიტეტული სფეროები ქალაქი/სოფლის ჭრილში – 2013-2015-2017 წლების მონაცემები



გენდერის ჭრილში კვლევის სამივე რაუნდის შედეგების თანახმად, ქალები პრიორიტეტულად სამედიცინო სფეროს ასახელებენ. კაცები 2013 წელს უპირატესობას სოფლის მეურნეობას ანიჭებდნენ, შემდეგი ორი ტალღისას კი – სამშენებლო სფეროს.

გრაფიკი # 25 – პროფესიულ სასწავლებლებში დასაუფლებელ პროფესიათა პრიორიტეტული სფეროები გენდერის ჭრილში – 2013-2015-2017 წლების მონაცემები



თვისებრივი კვლევის შედეგები – განათლება

განათლების საკითხებთან დაკავშირებით ფოკუს ჯგუფებში გამოვლინდა პრობლემები რამდენიმე მიმართულებით. კერძოდ, *მუნიციპალური საბავშვო ბაღების* შემთხვევაში პრობლემაა ჯგუფების არასაკმარისი რაოდენობა და გადატვირთული ბაღები, რაც სერიოზულ სირთულეს უქმნის პერსონალს მათზე დაკისრებულ მოვალეობათა ადეკვატურად შესრულებაში. თუმცა, აქვე ცალსახად პოზიტიურადაა შეფასებული კვების ხარისხის გაუმჯობესება ბაღებში.

„12-ჯგუფიანი ბაღი გადაკეთებულია 18-იანად.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„რაოდენობაა დიდი ჯგუფში. 40 ბავშვი რომ არის ერთ ჯგუფში და 35-ს არ აძინებს... ერთ ჯგუფშია 40 პატარა ბავშვი, რომელიც დამოუკიდებლად ვერაფერს აკეთებს, იქ ორი ადამიანი [ძიძა, აღმზრდელი] არ არის საკმარისი.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„კვება ძალიან კარგია. თევზიც აქვთ, საქონლის ხორციც, ხილიც.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

პრობლემად დასახელდა ასევე რეგისტრაციის საკითხი როგორც მუნიციპალური საბავშვო ბაღების, ასევე სკოლების შემთხვევაში. აღინიშნა ისიც, რომ მართალია, ბავშვების ონლაინ რეგისტრაცია შეიძლება ამარტივებდეს პროცესს, მაგრამ რეალურად, ის უფრო მეტ სირთულეს ქმნის, რადგან რეგისტრაციისთვის დრო შეზღუდულია, ასევე პრობლემურია ადგილების რაოდენობა სასურველ სკოლაში.

„ინტერნეტით დარეგისტრირებას არ ვემხრობი, იქვე მივალ და დამარეგისტრიროს.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„მე შარშან დავარეგისტრირე ჩემი შვილი და გლდანიდან უნდა ვატარო ვარკეთილში.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

დედაქალაქში, კონკრეტულ უბანში პრობლემად დასახელდა საჯარო სკოლების სიმწირეც *(„დიდ დიღომში არის ერთი საჯარო სკოლა“).*

საჯარო სკოლასთან მიმართებით პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა სანიტარული ნორმების დაუცველობა. ასევე, გაუმართავი ინფრასტრუქტურა და არათანმიმდევრულობა სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას. კერძოდ, საჯარო სკოლები სათანადოდ არ სუფთავდება, დამლაგებლების რაოდენობა არასაკმარისია; აგრეთვე, მოუწესრიგებელია საპირფარეშოები, რადგან ზოგჯერ გოგოებისა და ბიჭების, ასევე დაბალი და მაღალი კლასის მოსწავლეების საპირფარეშოები ერთ სივრცეშია მოწყობილი.

„[სკოლაში] არის პრობლემა... მთელ სკოლაში არის ტუალეტის სუნი, პირველკლასელი

შვილი მყავს და იმდენად აქვს ზიზღი, რომ ტუალეტში ვერ დადის; დამლაგებელი არ არის სკოლებში, სკოლები არ სუფთავდება... საპონი არ არის, ბიჭების და გოგონების ტუალეტი ერთადაა, პირველი კლასის ბავშვი და მე-12 კლასის კაცი შედის ერთ ტუალეტში.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„სკოლაში რომ მიხვიდეთ, აღმოაჩენთ, რომ მასწავლებელი გვის კლასს. ძველი სკოლაა და გარედან რომ შეხედავ, ციხე გეგონება... პირველი სართული გაკეთებულია, მეორე სართულზე კი იატაკი აყრილია, რადიატორებია ძველი და მიდებულია კედელზე, დამაგრებულიც არ არის, რომ ბავშვს არ დაეცეს.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

5.2. სხვადასხვა სოციალური მომსახურება

5.2.1. სოციალური დახმარება

აღნიშნულმა კვლევამ მოიცვა სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული საკითხებიც. კითხვაზე, იღებს თუ არა რაიმე სოციალურ დახმარებას *თავად რესპონდენტი ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი*, გამოკითხულთა 28%-მა განაცხადა, რომ სახელმწიფოსგან არანაირ დახმარებას არ იღებს. ამავდროულად, თითქმის რესპონდენტთა 48% ფლობს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევას, 38% კი სახელმწიფოსგან ასაკობრივ პენსიას იღებს.

გრაფიკი # 26 – სხვადასხვა სოციალური დახმარებით სარგებლობა – 2017 წლის მონაცემები



მათმა უმრავლესობამ, ვინც ფლობს *სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევას*, მარტივად გაიარა რეგისტრაციის პროცედურები აღნიშნული სერვისის მისაღებად (88%). ასევე უმრავლესობა დროულად იღებს აღნიშნულ სერვისს (79%). რაც შეეხება *ასაკობრივ პენსიას*, აქაც აბსოლუტურმა უმრავლესობამ მარტივად ან ძალიან მარტივად გაიარა რეგისტრაციის პროცედურები (94%) და თითქმის ყველა დროულად იღებს აღნიშნულ სერვისს (99%).

ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევის თანახმად, სოფელში უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით (51%), ვიდრე თბილისსა (45%) ან სხვა ქალაქებში (46%). ასევეა ასაკობრივი პენსიის შემთხვევაშიც: ამ სერვისით სოფელში გამოკითხულთა 47% სარგებლობს, თბილისსა და სხვა ქალაქებში კი აღნიშნულ მომსახურებას ათიდან სამი გამოკითხული იღებს (32%-32%). ორივე სერვისით სარგებლობისთვის რეგისტრაციის პროცედურას მარტივად გადიან როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებში. რაც შეეხება სერვისებით დროულად სარგებლობას, ამ შემთხვევაშიც, ქალაქებშიც და სოფლებშიც რესპონდენტები აცხადებენ, რომ სერვისებს დროულად იღებენ.

რეგიონის ჭრილში გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით ყველაზე მეტად კახეთი (89%) სარგებლობს, ასაკობრივი პენსიით კი – რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი (57%). კვლევის შედეგების თანახმად, რეგიონებში გამოვლინდა როგორც ორივე ყველაზე გავრცელებული სერვისით (*სახელმწიფო სამედიცინო*

დაზღვევა, ასაკობრივი პენსია) სარგებლობით კმაყოფილება, ასევე სერვისების მისაღებად აუცილებელი რეგისტრაციის პროცედურების სიმარტივე. რაც შეეხება **მაღალმთიან დასახლებებს,** კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნულ ორ სერვისს შორის ამ ტიპის დასახლებებში უმეტესად ასაკობრივი პენსიით (47%) სარგებლობენ. სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით მაღალმთიან დასახლებებში სარგებლობს გამოკითხულთა 35%. რეგიონების მსგავსად, მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაშიც, გამოკითხულები მიუთითებენ რეგისტრაციის პროცედურების სიმარტივესა და სერვისების დროულად მიღებაზე.

გენდერის ჭრილში კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე გავრცელებული სოციალური დახმარებებიდან ორივეთი უფრო მეტი ქალი სარგებლობს, ვიდრე კაცი.

გრაფიკი # 27 – სხვადასხვა სოციალური დახმარებით სარგებლობა გენდერის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



5.2.2. უფასო სახელმწიფო სასადილო

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობამ (66%) არ იცის მათი სახლიდან რა მანძილზეა *უფასო სახელმწიფო სასადილო.* მათმა უმრავლესობამ, ვინც იცის უფასო სასადილოს არსებობის შესახებ, არ იცის, საკმარისია თუ არა სასადილოში კაცზე გამოყოფილი საჭმლის ულუფა (64%). უფასო სახელმწიფო სასადილოში კაცზე გამოყოფილ ულუფას საკმარისად მიიჩნევს 21%, 15%-ის აზრით კი ულუფა საკმარისი არ არის. რაც შეეხება უფასო სახელმწიფო სასადილოებში კვების ხარისხს, მას დადებითად აფასებს გამოკითხულთა 68%.

გრაფიკი # 28 – უფასო სახელმწიფო სასადილოს ხელმისაწვდომობა, ულუფები, კვების ხარისხი – 2017 წლის მონაცემები



ქალაქი/სოფლის ჭრილში, კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცის უფასო სახელმწიფო სასადილოს შესახებ, თუმცა, ასეთ რესპონდენტთა რიცხვი სოფელში მეტია (74%), ვიდრე თბილისსა (70%) ან სხვა ქალაქებში (50%). აქვე აღსანიშნავია, რომ უფასო სახელმწიფო სასადილო უბანში/დასახლებაში მეტად ხელმისაწვდომია ქალაქებში (25%), ვიდრე თბილისში (17%). სოფლების შემთხვევაში კი ყველაზე მაღალია უბნიდან/დასახლებიდან 10კმ-ზე უფრო შორ მანძილზე დაშორებულ უფასო სახელმწიფო სასადილოთა ხელმისაწვდომობა (12%).

გრაფიკი # 29 – უფასო სახელმწიფო სასადილოების ხელმისაწვდომობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



რაც შეეხება უფასო სახელმწიფო სასადილოში კაცზე გამოყოფილ ულუფას, მათ შორის, ვინც იცის ულუფის ოდენობის შესახებ, ქალაქებში უმეტესად თვლიან, რომ გამოყოფილი ულუფა საკმარისია (24%); დაახლოებით ამდენივე რესპონდენტი ანალოგიურად ფიქრობს თბილისში (22%), სოფლებში კი ულუფა საკმარისად მიაჩნია რესპონდენტთა 15%-ს.

რეგიონების ჭრილში კვლევამ უჩვენა, რომ უბანში/დასახლებაში უფასო სასადილოებთან ხელმისაწვდომობა ყველაზე მაღალია ქვემო ქართლსა (22%) და თბილისში (17%). 10კმ-ის მანძილზე უფასო სახელმწიფო სასადილო ხელმისაწვდომია ყველაზე მეტად აჭარასა (27%) და იმერეთში (25%); რაც შეეხება სასადილოს ხელმისაწვდომობას 10კმ-იდან უფრო შორ მანძილზე, აქ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონში ფიქსირდება (20%). უფასო სასადილოებში კაცზე გამოყოფილ ულუფებთან დაკავშირებით გამოკითხულთა უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას, თუმცა, მათგან, ვისაც ეს ინფორმაცია აქვს, ულუფას საკმარისად ყველაზე მეტად რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში მიიჩნევენ (43%), ულუფის არასაკმარის ოდენობაზე კი ყველაზე მეტად ქვემო ქართლში მიუთითებენ (38%). რაც შეეხება კვების ხარისხს, რეგიონებში უფასო სახელმწიფო სასადილოებში არსებული კვების ხარისხით უმეტესად კმაყოფილნი არიან.

კვლევის შედეგების თანახმად, **მაღალმთიან დასახლებებში** უმეტესად არ იციან უფასო სახელმწიფო სასადილოს შესახებ (68%). ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით კი კვლევამ გამოავლინა, რომ ამ დასახლებებში სასადილოები უმეტესად დასახლებიდან 10კმ-ში (13%) ან უფრო შორსაა (18%). **გენდერის** ჭრილში კვლევამ ცხადყო, რომ უფასო სახელმწიფო სასადილოების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს ქალების 65% და კაცების 68%. თუმცა მათგან, ვინც ფლობს სასდილოების შესახებ ინფორმაციას, იქ კვების ხარისხს პოზიტიურად უფრო მეტი კაცი აფასებს (58%), ვიდრე ქალი (48%).

გრაფიკი # 30 – უფასო სახელმწიფო სასადილოების ხელმისაწვდომობა, კვების ხარისხის შეფასება გენდერის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



5.2.3. სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური მომსახურების შეფასება

კვლევის ფარგლებში შეფასდა სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური მომსახურებით მოსახლეობის ზოგადი კმაყოფილება. კვლევამ გამოავლინა, რომ ყველაზე პოზიტიურად რესპონდენტები აფასებენ სახელმწიფოს ზრუნვას მოხუცთა სამედიცინო დაზღვევაზე, ყველაზე ნეგატიური შეფასება კი სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების ხელშეწყობას აქვს. ამ უკანასკნელის გარდა, კვლევის რესპონდენტები სახელმწიფოს მხრიდან ყველა სხვა სფეროზე ზრუნვას პოზიტიურად აფასებენ.

ცხრილი # 8 – სხვადასხვა სოციალური მომსახურების შეფასება „კარგი/მეტ-ნაკლებად კარგი“ – 2017

მოხუცთა თავშესაფრები	76% (N=1898)
მოხუცთა სამედიცინო დაზღვევა	83% (N=2332)
შშმ პირებზე ზრუნვა	78% (N=2082)
ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობა	85% (N=1738)
იგპ-თათვის სპეციალური სერვისების შეთავაზება	84% (N=1821)
სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების ხელშეწყობა	40% (N=2347)

სხვადასხვა სოციალური მომსახურება – 2013-2015-2017

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ ათიდან სამი გამოკითხული არცერთი **სოციალური დახმარებით** არ სარგებლობს. რაც შეეხება ორ ყველაზე გავრცელებულ სოციალურ დახმარებას – სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევასა და ასაკობრივ პენსიას – 2013 წელს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევით გამოკითხულთა 38% სარგებლობდა, 2015 წელს მათი წილი 72%-მდე გაიზარდა, 2017 წელს კი 48% შეადგინა. ასაკობრივ პენსიასთან დაკავშირებით, წლების მიხედვით ცვლილებები არ გამოიკვეთა, რადგან კვლევის ყველა რაუნდისთვის ასაკობრივ პენსიას ათიდან ოთხი გამოკითხული იღებს.

ცხრილი # 9 – სხვადასხვა სოციალური დახმარებით სარგებლობა რეგიონის ჭრილში – 2013-2015-2017 წლების მონაცემები

	2013			2015			2017		
	არცერთი	სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა	ასაკობრივი პენსია	არცერთი	სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა	ასაკობრივი პენსია	არცერთი	სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა	ასაკობრივი პენსია
თბილისი – N=400	28%	45%	31%	14%	74%	28%	31%	46%	32%
აჭარა – N=300	32%	31%	43%	13%	81%	37%	36%	31%	37%
გურია – N=300	17%	48%	54%	3%	95%	55%	13%	72%	52%
იმერეთი – N=300	32%	31%	46%	1%	98%	48%	13%	82%	41%
კახეთი – N=300	12%	71%	37%	1%	95%	45%	29%	89%	52%
მცხეთა-მთიანეთი – N=300	38%	36%	45%	14%	79%	39%	15%	66%	46%
ქვემო ქართლი – N=300	23%	47%	35%	20%	63%	40%	44%	12%	34%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი – N=300	20%	40%	56%	2%	94%	57%	3%	87%	57%
სამცხე-ჯავახეთი – N=300	37%	28%	45%	41%	18%	42%	49%	1%	45%
სამეგრელო-ზემო სვანეთი – N=300	25%	29%	47%	23%	42%	43%	17%	49%	42%
შიდა ქართლი – N=300	38%	0%	40%	28%	41%	45%	53%	19%	32%
ჯამური – N=3400	28%	38%	40%	14%%	**72%**	40%	29%	48%	38%

რესპონდენტთა უმრავლესობა, როგორც წესი, არ ფლობს ინფორმაციას **უფასო სახელმწიფო სასადილოების შესახებ.** თუმცა, ასეთ რესპონდენტთა რაოდენობა, კვლევის პირველ რაუნდთან შედარებით, მცირდება (2013 – 74%, 2015 – 65%, 2017 – 66%). რაც შეეხება უფასო სასადილოების ხელმისაწვდომობას უშუალოდ უბანში/დასახლებაში, პირველ რაუნდთან შედარებით, გაზრდილია (2013 – 10%, 2015 – 14%, 2017 – 14%).

გრაფიკი # 31 – უფასო სახელმწიფო სასადილოების ხელმისაწვდომობა – 2013-2015-2017 წლების მონაცემები



რეგიონების მიხედვით, უბანში/დასახლებაში უფასო სასადილოების ხელმისაწვდომობა გაზრდილია და 2017 წელს მათი ყველაზე მაღალი ხელმისაწვდომობა ფიქსირდება გურიაში (9%), ქვემო ქართლში (22%), რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთსა (13%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (17%). რაც შეეხება შიდა ქართლს, კვლევის პირველი ორი რაუნდისას არცერთი რესპონდენტი არ აცხადებდა, რომ უბანში/დასახლებაში ხელმისაწვდომია უფასო სასადილო, 2017 წელს კი ამაზე რესპონდენტთა 10%-მა მიუთითა.

ცხრილი # 10 – უფასო სახელმწიფო სასადილოების ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში – 2013-2015-2017 წლების მონაცემები

	2013				2015				2017			
	დასახლებაში	**დასახლებიდან 10 კმ**	**უფრო შორს**	**არ ვიცი**	**დასახლებაში**	**დასახლებიდან 10 კმ**	**უფრო შორს**	**არ ვიცი**	**დასახლებაში**	**დასახლებიდან 10 კმ**	**უფრო შორს**	**არ ვიცი**
თბილისი – N=400	14%	9%	4%	73%	23%	6%	3%	68%	17%	10%	3%	70%
აჭარა – N=300	4%	14%	3%	80%	17%	30%	6%	47%	5%	27%	15%	54%
გურია – N=300	4%	12%	5%	80%	8%	24%	15%	54%	9%	9%	9%	73%
იმერეთი – N=300	17%	15%	23%	45%	16%	28%	14%	42%	12%	25%	15%	49%
კახეთი – N=300	15%	13%	4%	69%	16%	7%	7%	70%	11%	11%	9%	69%
მცხეთა-მთიანეთი – N=300	10%	6%	3%	80%	11%	6%	9%	74%	9%	8%	11%	71%
ქვემო ქართლი – N=300	8%	6%	5%	81%	4%	10%	11%	75%	22%	7%	9%	61%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი – N=300	6%	4%	8%	82%	10%	31%	10%	49%	13%	11%	20%	57%
სამცხე-ჯავახეთი – N=300	4%	5%	4%	87%	6%	8%	15%	71%	1%	3%	7%	89%
სამეგრელო-ზემო სვანეთი – N=300	2%	6%	6%	86%	14%	6%	5%	76%	17%	8%	4%	72%
შიდა ქართლი – N=300	0%	4%	2%	94%	0%	4%	12%	83%	10%	3%	3%	85%

ქალაქი/სოფლის, ასევე მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში კვლევამ ცხადყო, რომ უფასო სახელმწიფო სასადილოები, უმეტესად, დასახლებიდან/უბნიდან 10კმ-ის ან უფრო შორ მანძილზეა და ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი არსებითად არ არის შეცვლილი. რაც შეეხება სასადილოებში კვების ხარისხის შეფასებას, ის პოზიტიურადაა შეფასებული ჭრილებისა და კვლევის ყველა რაუნდის შედეგების მიხედვით.

კვლევა სხვადასხვა სახელმწიფო სოციალური მომსახურების შეფასების თვალსაზრისით აჩვენებს, რომ წინასწარი სიით შეთავაზებული ყველა სოციალური მომსახურების ყველაზე პოზიტიური შეფასებები 2017 წელს დაფიქსირდა.

ცხრილი # 11 – სხვადასხვა სოციალური მომსახურების შეფასება „კარგი“ – 2013-2015-2017 წლების მონაცემები

	2013	2015	2017
მოხუცთა თავშესაფრები	71% (N=2410)	68% (N=2687)	76% (N=1898)
მოხუცთა სამედიცინო დაზღვევა	77% (N=2724)	76% (N=2973)	83% (N=2332)
შშმ პირებზე ზრუნვა	67% (N=2308)	67% (N=2663)	78% (N=2082)
ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის ხელშეწყობა	74% (N=1923)	70% (N=2270)	85% (N=1738)
იგპ-თათვის სპეციალური სერვისების შეთავაზება	71% (N=1948)	70% (N=2236)	84% (N=1821)
სახელმწიფოს მხრიდან დასაქმების ხელშეწყობა	31% (N=2636)	34% (N=2850)	40% (N=2347)

თვისებრივი კვლევის შედეგები – სხვადასხვა სოციალური მომსახურება

ფოკუს ჯგუფების დისკუსიის მონაწილეები სხვადასხვა სოციალურ დახმარებაზე საუბრისას ყურადღებას სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევაზე ამახვილებდნენ. სწორედ ეს არის ის სერვისი, რომლის მისაღებადაც ყველაზე ხშირად მიმართავდნენ დისკუსანტები ან მათი ახლობლები ადგილობრივ თვითმმართველობებს და კმაყოფილებას გამოხატავდნენ გაწეული მომსახურებისთვის. თუმცა, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ნეგატიურად შეაფასეს ცვლილებები პროგრამაში, რის შედეგადაც სამედიცინო დაზღვევა ყველასთვის ხელმისაწვდომი აღარ არის. საუბრის ერთ-ერთი მთავარი დასკვნა სწორედ ის ვარაუდია, რომ საყოველთაო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის პროგრამაში შეზღუდვები სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის მოსახლეობას.

„სასწრაფომ წაიყვანა ჩემი შვილი საავადმყოფოში და მეც გავყევი. შესული არ ვიყავი საავადმყოფოში, არც კი შეუხედავს ბავშვისთვის, ისე მითხრა, რომ 100 ლარი იქნებოდა გადასახდელი. რომ ვიკითხე საყოველთაო დაზღვევაზე, მითხრეს, 1 მარტიდან აღარ ფინანსდებაო. სავარაუდოდ დასჭირდება ანალიზები და ამისთვისაა საჭირო 100 ლარიო.“ [კაცი, მაღალშემოსავლიანი, თბილისი]

„ანევრიზმა“ აქვს გამსკდარი პაციენტს, ოპერაცია გაუკეთეს და სჭირდება კიდევ ერთი ოპერაცია. ცუდად რომ გახდა, სასწრაფო გამოიძახეს და კი მოასულიერეს, მაგრამ ვერ გადაჰყავთ საავადმყოფოში, რადგან ძალიან გაჭირვებულები არიან და გამოკვლევებსაც ვერ ჩაიტარებს... ასეთი ადამიანებისთვის ძალიან კარგი იყო გადაყვანიდან 3 დღე უფასო გამოკვლევის ჩატარება. [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

ფოკუს ჯგუფის წევრები ასევე აღნიშნავდნენ, რომ სმენიათ უფასო სახელმწიფო სასადილოების არსებობის შესახებ, რომლითაც სოციალურად დაუცველებთან ერთად, ხანდაზმულებიც სარგებლობენ.

„ერთი ჩემი მეზობელი დადის [უფასო სასადილოში], ერთისთვის სახლში მოაქვთ და ძალიან კმაყოფილნი არიან. საღდგომოდ ბევრი საჩუქარიც მიუციათ და კმაყოფილები იყვნენ. ზოგჯერ იქ არ სადილობს და სახლში მოაქვს.“[ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ვიცი, რომ ჰყოფნით [ულუფები]. ძირითადად მიდიან მოხუცები. ზოგი იქ ჭამს, ზოგს სახლში მიაქვს.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

5.3. ჯანდაცვა

5.3.1. ავადმყოფობის დროს სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობა

საავადმყოფო

კვლევამ აჩვენა, რომ ათიდან თითქმის ყოველმა მეოთხე რესპონდენტმა ან მათი ოჯახის წევრმა ერთხელ მაინც მიმართა საავადმყოფოს ბოლო ერთი წლის მანძილზე ავადმყოფობის გამო (37%). ყოველი მეორე რესპონდენტის თქმით, უახლოესი საავადმყოფო მათი დასახლებიდან/უბნიდან 5კმ-ზე უფრო შორ მანძილზეა (50%), თუმცა, საავადმყოფომდე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტი თითქმის სრულადაა უზრუნველყოფილი (93%). რაც შეეხება ზოგად კმაყოფილებას, კვლევის შედეგების თანახმად, ათიდან ცხრა რესპონდენტი კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია საავადმყოფოებით (88%).

გრაფიკი # 32 – საავადმყოფოებში მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება – 2017 წლის მონაცემები



ქალაქი/სოფლის შემთხვევაში გამოიკვეთა, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე საავადმყოფოს ყველაზე მეტად სოფლებში მიმართეს (40%). ეს მაჩვენებელი თბილისში 32%-ია, სხვა ქალაქებში კი – 36%. საავადმყოფოები უბანში/დასახლებაში ყველაზე ხშირად ქალაქებში გვხვდება (42%), თბილისში საავადმყოფოები, უმეტესად, უბნიდან 5კმ-ის მანძილზეა (47%), სოფლების შემთხვევაში კი საავადმყოფოები უფრო ხშირად 5კმ-ზე შორ მანძილზეა (74%). საზოგადოებრივი ტრანსპორტი საავადმყოფოებამდე მისასვლელად თითქმის თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა ტიპის დასახლებაში. საავადმყოფოებით მოსახლეობა კმაყოფილია როგორც სოფელში (88%), ასევე თბილისსა (88%) და სხვა ქალაქებში (86%).

გრაფიკი # 33 – საავადმყოფოებში მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



კვლევამ აჩვენა, რომ **რეგიონის** შემთხვევაში ბოლო ერთი წლის მანძილზე საავადმყოფოში მიმართვიანობის ყველაზე მაღალი სიხშირე მცხეთა-მთიანეთში (51%), ყველაზე დაბალი კი – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (16%) ფიქსირდება. ყველაზე მეტი საავადმყოფო დასახლებაში/უბანში სამეგრელო-ზემო სვანეთშია (26%), დასახლებიდან/უბნიდან 5კმ-ის მანძილზე – თბილისსა (47%) და აჭარაშია (43%); უფრო შორ მანძილზე კი – რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთშია (80%). თუმცა, აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში საზოგადოებრივი ტრანსპორტით საავადმყოფომდე მისვლა ხელმისაწვდომია (95%). ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისითაც, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში ფიქსირდება (95%). **მაღალმთიან დასახლებებში** ყოველი მეორე გამოკითხული აცხადებს, რომ მას ან მისი ოჯახის წევრს მიუმართავთ საავადმყოფოსთვის ბოლო ერთი წლის მანძილზე (49%). საავადმყოფოები უმეტესად 5კმ-ზე შორ მანძილზეა (76%) და 90% აცხადებს, რომ საავადმყოფომდე მიდის საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით კი, რეგიონების მსგავსად, საავადმყოფოებით კმაყოფილების მაჩვენებელი აქაც მაღალია – მაღალმთიანი დასახლებების რესპონდენტთა 89% კმაყოფილია აღნიშნული სამედიცინო დაწესებულების სერვისით.

გენდერის ჭრილში კვლევამ ცხადყო, რომ საავადმყოფოს ბოლო ერთი წლის მანძილზე თანაბარი რაოდენობით ქალმა და კაცმა მიმართა (37%-37%). არსებითი განსხვავება არ გამოიკვეთა კმაყოფილების თვალსაზრისით: საავადმყოფოების მომსახურებით კმაყოფილია მოსარგებლე მამაკაცების 89% და ქალების 86%.

გრაფიკი # 34 – საავადმყოფოებში მიმართვიანობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



პოლიკლინიკა

კვლევის მონაცემების თანახმად, ბოლო ერთი წლის მანძილზე პოლიკლინიკას მიაკითხა ათიდან სამმა რესპონდენტმა ან მათი ოჯახის წევრმა (31%). ათიდან ექვსი რესპონდენტის თქმით, უახლოესი პოლიკლინიკა მათ დასახლებაში/უბანშია (57%) და ამ სამედიცინო დაწესებულებამდე მისასვლელად საზოგადოებრივი ტრანსპორტი თითქმის სრულადაა უზრუნველყოფილი (93%). რაც შეეხება ზოგად კმაყოფილებას, კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა კმაყოფილია პოლიკლინიკით (88%).

გრაფიკი # 35 – პოლიკლინიკაში მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება – 2017 წლის მონაცემები



ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე პოლიკლინიკას ავადმყოფობის გამო ყველაზე ნაკლებმა რესპონდენტმა სოფელში მიმართა (16%). თბილისში პოლიკლინიკაშიმიმართვიანობამ45%შეადგინა, სხვა ქალაქებში კი – 40%. თბილისსა და სხვა ქალაქებში უახლოესი პოლიკლინიკა უმეტესად უბანში/დასახლებაშია (67%-66%), სოფლებში კი პოლიკლინიკები უმეტესად 5კმ-ზე შორ მანძილზეა (45%). უახლოეს პოლიკლინიკამდე გადაადგილებისთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ნაკლებად სოფლებშია ხელმისაწვდომი (87%). თბილისში ეს მაჩვენებელი 95%-ის, სხვა ქალაქებში კი – 94%-ის ტოლია. რაც შეეხება ზოგად კმაყოფილებას, ის ქალაქებსა და სოფლებში თანაბრად მაღალია.

გრაფიკი # 36 – პოლიკლინიკაში მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



რეგიონების ჭრილში ყველაზე ხშირად პოლიკლინიკას ბოლო ერთი წლის მანძილზე თბილისსა (45%) და ქვემო ქართლში (41%), ყველაზე იშვიათად კი – სამცხე-ჯავახეთში (6%) მიმართეს. ყველაზე მეტად უბანში/დასახლებაში პოლიკლინიკა გვხვდება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში (86%); 5კმ-ის მანძილზე პოლიკლინიკები ყველაზე ხშირია აჭარაში (43%), უფრო შორ მანძილზე კი – მცხეთა-მთიანეთში (53%). საზოგადოებრივი ტრანსპორტით პოლიკლინიკამდე მისვლა თითქმის ყველა რეგიონში ხელმისაწვდომი სერვისია; ამ მხრივ, ყველაზე მეტი პრობლემა სამცხე-ჯავახეთში ფიქსირდება, სადაც ათიდან ოთხი რესპონდენტი ამბობს, რომ პოლიკლინიკამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მიდის (37%). რაც შეეხება ზოგად კმაყოფილებას, პოლიკლინიკებით ყველაზე ნაკლებად კმაყოფილია შიდა ქართლი (23%), ყველაზე კმაყოფილი კი – რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი (98%).

მაღალმთიან დასახლებებში პოლიკლინიკები უმეტესად დასახლებიდან/უბნიდან 5კმ-ის (35%) ან უფრო შორ (49%) მანძილზეა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიკლინიკამდე საზოგადოებრივი ტრანსპორტი უმეტესად მიდის (75%), ბოლო ერთი წლის მანძილზე ამ სერვისით რესპონდენტების ან მათი ოჯახის წევრების უმრავლესობას (90%) არ უსარგებლია. **გენდერის** ჭრილში კვლევამ გამოავლინა, რომ პოლიკლინიკების სერვისით ბოლო ერთი წლის მანძილზე ქალებმა მეტად ისარგებლეს (35%), ვიდრე კაცებმა (27%). თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებით კმაყოფილებას, პოლიკლინიკის სერვისით მოსარგებლე ქალები და მამაკაცები თითქმის ერთნაირად აფასებენ (კაცი – 89%, ქალი – 87%).

გრაფიკი # 37 – პოლიკლინიკაში მიმართვიანობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



ამბულატორია / მედპუნქტი

კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტებს ან მათი ოჯახის წევრების უმრავლესობას ბოლო ერთი წლის მანძილზე ავადმყოფობის გამო ამბულატორიისთვის არ მიუმართავს (90%). ამბულატორიები უმეტესად დასახლებაში/უბანშია (73%) და მათთან საზოგადოებრივი ტრანსპორტიც, ძირითადად, მიდის (71%). კვლევის რესპონდენტები, რომელთაც ისარგებლეს ამბულატორიის მომსახურებით, კმაყოფილები არიან სერვისით, რომელიც ამ ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში მიიღეს (93%).

გრაფიკი # 38 – ამბულატორიაში მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება – 2017 წლის მონაცემები



ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ თბილისის გარდა სხვა ქალაქებში ბოლო ერთი წლის მანძილზე ამბულატორიას მიმართა გამოკითხულთა მხოლოდ 5%-მა, სოფლებში კი ეს მაჩვენებელი 20%-ის ტოლია. ამბულატორიები, უმეტესად, უბანში/დასახლებაშია როგორც სოფლებში (74%), ასევე ქალაქებში (70%). საზოგადოებრივი ტრანსპორტის ამბულატორიამდე ხელმისაწვდომობისა და კმაყოფილების თვალსაზრისით, არსებითი სხვაობები არ ფიქსირდება, რადგან ტრანსპორტი, უმეტესად, ამბულატორიამდე მიდის ორივე ტიპის დასახლებაში და კმაყოფილებაც მაღალია.

გრაფიკი # 39 – ამბულატორიაში მიმართვიანობა, მანძილი, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



კვლევის შედეგების თანახმად, **მაღალმთიან დასახლებებში** ამბულატორიები თითქმის თანაბრადაა ხელმისაწვდომი უშუალოდ დასახლებაში/უბანში (42%) და 5კმ-ის მანძილზე (46%). გამოკითხულთა 12% მიუთითებს, რომ ამბულატორიები უფრო შორ მანძილზეა. გამოკითხულთა 15%-მა აღნიშნა, რომ მიმართა ამ ტიპის სამედიცინო დაწესებულებას ბოლო ერთი წლის მანძილზე. **რეგიონის** ჭრილში, ამბულატორიაში ყველაზე ხშირი მიმართვიანობა ბოლო ერთი წლის მანძილზე კახეთში (28%) დაფიქსირდა, ყველაზე იშვიათი კი – სამცხე-ჯავახეთში (4%). რეგიონებშიც ამბულატორიები, უმეტესად, დასახლებაში/უბანშია; 5კმ-ის მანძილზე ამბულატორიების ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონში ვლინდება (32%). რაც შეეხება ზოგად კმაყოფილებას, რეგიონები ძირითადად კმაყოფილნი არიან ამბულატორიებში მიღებული სერვისით.

გენდერის ჭრილში აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, ამბულატორიაში მიმართვიანობის მაჩვენებელი დაბალია როგორც ქალების (11%), ასევე კაცების (9%) შემთხვევაში და არსებითი განსხვავება კმაყოფილების თვალსაზრისით, მათ შორის, ვინც მიმართა ამბულატორიას, არ ფიქსირდება (კაცი – 94%, ქალი 92%).

გრაფიკი # 40 – ამბულატორიაში მიმართვიანობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



სამივე სამედიცინო დაწესებულებაში (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია) *სერვისების საფასურის ხელმისაწვდომობასთან* მიმართებით კვლევამ აჩვენა, რომ რომელიმე ამ სამედიცინო დაწესებულებაში მისულთაგან 40%-თვის სერვისების საფასური მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია, 38%-თვის კი – აბსოლუტურად ხელმისაწვდომი.

გრაფიკი # 41 – სამედიცინო დაწესებულებებში (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია) არსებული მომსახურების საფასურის ხელმისაწვდომობა – 2017 წლის მონაცემები



5.3.2. სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვიანობა პროფილაქტიკის მიზნით

კვლევის შედეგების თანახმად, პროფილაქტიკური გამოკვლევებისთვის ბოლო ერთი წლის მანძილზე ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა პოლიკლინიკას (15%), ყველაზე იშვიათად კი ამბულატორიას (2%) მიმართეს. კვლევის რესპონდენტები, უმეტესად, კმაყოფილები არიან როგორც საავადმყოფოს, ასევე ამბულატორიისა და პოლიკლინიკის მომსახურებით. სერვისის საფასურს აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებებში გამოკითხულები, მეტწილად, მისაღებად მიიჩნევენ სამივე სამედიცინო დაწესებულების შემთხვევაში.

გრაფიკი #42 - პროფილაქტიკური გამოკვლევებისთვის სამედიცინო დაწესებულებებში (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია) მიმართვიანობა, კმაყოფილება და სერვისის საფასური - 2017 წლის მონაცემები



გენდერის ჭრილში კვლევამ გამოავლინა, რომ პროფილაქტიკური გამოკვლევებისთვის თანაბარი რაოდენობით ქალმა და კაცმა მიმართა საავადმყოფოსა და ამბულატორიას, პოლიკლინიკას კი ოდნავ მეტმა ქალმა მიმართა ბოლო ერთი წლის მაძილზე (17%), ვიდრე კაცმა (12%).

გრაფიკი #43 - პროფილაქტიკური გამოკვლევებისთვის სამედიცინო დაწესებულებებში (საავადმყოფო, პოლიკლინიკა, ამბულატორია) მიმართთვიანობა, კმაყოფილება და სერვისის საფასური გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.3.3. სასწრაფო სამედიცინო დახმარება

გამოკითხული რესპონდენტებიდან, დაახლოებით, ათიდან ოთხმა ისარგებლა ბოლო ერთი წლის მანძილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისით (37%). მათი უმრავლესობის თქმით, სასწრაფო სამედიცინო დახმარება დროულად მივიდა გამოძახების ადგილზე (86%). მომხმარებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, ზოგადად, კმაყოფილია გაწეული მომსახურებით (93%).

გრაფიკი #44 - სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვიანობა, კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები



ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარებით თბილისსა და სხვა ქალაქებში ათიდან ოთხმა, სოფლებში კი ათიდან სამმა გამოკითხულმა ისარგებლა. ოპერატიულობის თვალსაზრისით საუკეთესო შეფასებები სოფლის მოსახლეობაში გამოვლინდა: სოფლად მცხოვრები სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომხმარებელთა 93% თვლის, რომ ბრიგადა ოპერატიულად მივიდა გამოძახების ადგილზე, მაშინ როცა ამ მოსაზრებას თბილისში მომხარებელთა 80% და სხვა ქალაქებში მომხმარებელთა 85% იზიარებს.

გრაფიკი #45 - სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვიანობა, ოპერატიულობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ სასწრაფო სამედიცინო სერვისით გამოკითხულთა 34%-მა ისარგებლა. მათი აბსოლუტური უმრავლესობის თქმით, სასწრაფო დახმარება ოპერატიულად მივიდა გამოძახების ადგილზე (95%), კმაყოფილების მაჩვენებელი კი 97%-ს შეადგენს. რაც შეეხება **რეგიონის** ჭრილს, აქ აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხშირად სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისით ბოლო ერთი წლის მანძილზე მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის (47%-47%), ყველაზე იშვიათად კი - სამეგრელო-ზემო სვანეთის (23%) რეგიონებმა ისარგებლეს. **გენდერის** თვალსაზრისით კი, არსებითი სხვაობა არ ვლინდება, რადგან აღნიშნული სერვისით ქალების 38%-მა და კაცების 35%-მა ისარგებლა. განსხვავება თითქმის არაა არც კმაყოფილების თვალსაზრისით: მათ შორის, ვინც ისარგებლა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისით, კმაყოფილებას ქალების 93% და კაცების 91% გამოხატავს.

გრაფიკი #46 - სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისით სარგებლობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.3.4. მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრები

კვლევამ გამოავლინა, რომ ათიდან შვიდ რესპონდენტს აქვს ინფორმაცია მოსახლეობისათვის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამით ჩატარების შესახებ (70%). ბოლო ერთი წლის მანძილზე პროფილაქტიკური აცრები გამოკითხული რესპონდენტების (ან მათი ოჯახის წევრების) 27%-მა ჩაიტარა. მათ 92%-ს აღნიშნული სერვისისთვის არავითარი თანხა არ გადაუხდია. გაწეული მომსახურებისთვის საფასურის გადამხდელთაგან გამოკითხულთა 61% თანხას მისაღებად მიიჩნევს, 11% კი იაფად თვლის. რესპონდენტთა უმრავლესობა, ვინც ისარგებლა პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის სერვისით, კმაყოფილია (98%).

გრაფიკი #47 - მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა, კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები



ქალაქი/სოფლის ჭრილში აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამით მოსახლეობისათვის აცრების ჩატარების შესახებ ყველაზე ნაკლებად არიან ინფორმირებულნი თბილისში (57%), ვიდრე სხვა ქალაქებსა (72%) თუ სოფლებში (77%). ყველაზე მეტად აღნიშნული პროგრამის სერვისით ისარგებლეს სხვა ქალაქებში (30%). მოსახლეობის აცრების სახელმწიფო პროგრამით თითქმის თანაბარი რაოდენობის რესპონდენტმა ისარგებლა თბილისსა (27%) და სოფლებში (26%). მათი უმრავლესობა კი, ვინც აღნიშნული პროგრამით ისარგებლა, თითქმის თანაბრად კმაყოფილია როგორც თბილისში (96%), ასევე სხვა ქალაქებსა (98%) და სოფლებში (97%).

მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობისთვის აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმაციას გამოკითხულთა 77% ფლობს. მათგან პროგრამის სერვისით რესპონდენტთა 29%-მა ისარგებლა და მათი აბსოლუტური უმრავლესობა კმაყოფილია მომსახურებით (98%). **რეგიონის** შემთხვევაში, მოსახლეობისთვის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ყველაზე ინფორმირებულია იმერეთი (90%), ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული კი - სამცხე-ჯავახეთი (10%) აღმოჩნდა. ბოლო ერთი წლის მანძილზე სახელმწიფო პროგრამით პროფილაქტიკური აცრა ყველაზე მეტმა რესპონდენტმა ქვემო-ქართლში ჩაიტარა (41%), ყველაზე ნაკლებმა - რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში (18%). ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით კი, ყველა რეგიონში აღნიშნული პროგრამის სერვისით კმაყოფილება იკვეთება.

ცხრილი #12 - მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა, პროგრამის სერვისით სარგებლობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები

	ინფორმირებულობა				სარგებლობა				კმაყოფილება			
	დიახ	ოდნ	არ ვიცი	N	დიახ	ოდნ	არ ვიცი	N	ნაწილობრივ	ისაბსოლუტურ	ან ვიცი/არ ეხებოდა	N
თბილისი	57%	11%	32%	400	27%	73%	1%	240	3%	96%	1%	65
აჭარა	83%	6%	11%	300	33%	65%	2%	252	1%	99%	0%	84
გურია	82%	2%	16%	300	21%	78%	1%	244	0%	98%	2%	46
იმერეთი	**90%**	3%	7%	300	21%	78%	0%	275	0%	100%	0%	57
კახეთი	80%	5%	15%	300	24%	75%	0%	243	0%	100%	0%	62
მცხეთა-მთიანეთი	63%	14%	24%	300	30%	69%	1%	179	1%	99%	0%	50
ქვემო ქართლი	63%	8%	28%	300	**41%**	58%	1%	180	0%	97%	3%	67
რაჭა, სვანეთი	85%	5%	10%	300	**18%**	82%	1%	259	2%	98%	0%	49
სამცხე-ჯავახეთი	56%	**10%**	34%	300	38%	59%	2%	165	3%	97%	0%	63
სამეგრელო, ზემო სვანეთი	62%	9%	28%	300	24%	74%	2%	187	6%	90%	4%	46
შიდა ქართლი	76%	5%	19%	300	24%	75%	1%	224	4%	96%	0%	51
ჯამური	70%	8%	22%	3400	27%	72%	1%	2448	2%	97%	1%	640

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამით მოსახლეობისთვის პროფილაქტიკური აცრების ჩატარების თაობაზე **ქალები** მეტად არიან ინფორმირებულნი (73%), ვიდრე **კაცები** (66%). ასევე, პროგრამით ოდნავ მეტმა ქალმა ისარგებლა (29%), ვიდრე კაცმა (25%). კმაყოფილების თვალსაზრისით კი, აღნიშნული სერვისით მოსარგებლექალებისა და კაცების მოსაზრებები არ განსხვავდება (98%-97%).

გრაფიკი #48 - მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორ-მირებულობა, სერვისით სარგებლობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.3.5. პირუტყვის/შინაური ცხოველების პროფილაქტიკური აცრები

კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 61% ინფორმირებულია სახელმწიფო პროგ-რამით პირუტყვისთვის/შინაური ცხოველისთვის პროფილაქტიკური აცრების ჩატარების თაობაზე. აღნიშნული სერვისით ბოლო ერთი წლის მანძილზე უსარგებლია გამოკითხულთა 40%-ს და მათ უმრავლესობას ამ მომსახურებისთვის საფასური არ გადაუხდია (93%). ხოლო მათი უმრავლესობა, ვინც აღნიშნულ სერვისში სა-ფასური გადაიხადა, ამ უკანასკნელს მისაღე-ბად (39%) ან იაფად (26%) მიიჩნევს. ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით კი, რესპონ-დენტთა უმრავლესობა კმაყოფილია პირუტყვის-თვის/შინაური ცხოველისთვის/ფრინველისთვის აცრების ჩატარების სერვისით (93%).

ქალაქი/სოფლის ჭრილში, როგორც მოსალო-დნელი იყო, პირუტყვისთვის/შინაური ცხოვე-ლისთვის პროფილაქტიკური აცრების სახელ-მწიფო პროგრამის შესახებ სოფლად (87%) უფრო არიან ინფორმირებულნი, ვიდრე თბი-ლისსა (36%) ან სხვა ქალაქებში (48%). ასევე, უფრო მეტმა რესპონდენტმა სოფლად ისარგებლა აღნიშნული სერვისით ბოლო ერთი წლის მანძილზე (58%), ვიდრე თბილისსა (7%) თუ სხვა ქალაქებში (15%). ამასთან, სოფელში უფრო მეტმა ისარგებლა მომსახურებით სა-ფასურის გადახდის გარეშე (95%), ვიდრე თბილისსა (33%) ან სხვა ქალაქებში (89%). აღნიშნული პროგრამით რესპონდენტები კმა-ყოფილები არიან როგორც თბილისში (92%), ასევე სოფლებში (93%), თუმცა, კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სხვა ქალაქებში ფიქსირდება (98%).

გრაფიკი #49 - პირუტყვისთვის/შინაური ცხოველისთვის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა, მომსახურების საფასურის გადახდა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



რეგიონის შემთხვევაში, პირუტყვისთვის/შინაური ცხოველისთვის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელი ყველაზე მაღალი რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში (97%), ყველაზე დაბალი კი - თბილისში (36%) ფიქსირდება. ბოლო ერთი წლის მანძილზე სერვისით ყველაზე ხშირად სამცხე-ჯავახეთში (65%), ყველაზე იშვიათად კი - თბილისში (7%) ისარგებლეს. რეგიონებში პირუტყვისთვის/შინაური ცხოველისთვის პროფილაქტიკური აცრების საფასური თითქმის არ გადაუხდიათ. რაც შეეხება კმაყოფილებას, რესპონდენტები აღნიშნული პროგრამის სერვისით კმაყოფილები არიან.

მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში კვლევამ გამოავლინა, რომ აქ გამოკითხულ რესპონდენტთა 90% ინფორმირებულია სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რომელიც პირუტყვისთვის/შინაური ცხოველისთვის პროფილაქტიკური აცრების ჩატარებას გულისხმობს. ამ დასახლებებში აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმირებული ათი რესპონდენტიდან შვიდმა ისარგებლა სერვისით ბოლო ერთი წლის მანძილზე (69%) და მათი უმრავლესობა კმაყოფილია გაწეული მომსახურებით (97%). რაც შეეხება **გენდერის** ჭრილს, აღსანიშნავია, რომ პირუტყვისთვის/შინაური ცხოველებისთვის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ უფრო მეტად კაცებმა იციან (65%), ვიდრე ქალებმა (57%). პროგრამის სერვისით თანაბარი რაოდენობის ქალმა და კაცმა ისარგებლა (40%-40%), კმაყოფილების ხარისხის თვალსაზრისით კი არსებითი სხვაობა არ გამოკვეთილა.

გრაფიკი #50 - პირუტყვისთვის/შინაური ცხოველისთვის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობა, სერვისით სარგებლობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.3.6. ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები

თითქმის ყოველ მეოთხე რესპონდენტს სმენია ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ (39%), თუმცა მათ უმრავლესობას სხვა სერვისებით არ უსარგებლია (80%). **ქალაქი/სოფლის ჭრილში** კვლევამ აჩვენა, რომ სოფლის შემთხვევაში, ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ უფრო ნაკლებ ადამიანს აქვს ინფორმაცია (31%), ვიდრე თბილისსა (51%) ან სხვა ქალაქებში (39%). სხვა სერვისებით სარგებლობასთან მიმართებით, აღმოჩნდა, რომ თბილისსა და სოფლებში ინფორმირებულ რესპონდენტთა თითქმის იდენტურმა წილმა ისარგებლა (21%-20%) ამ პროგრამებით, სხვა ქალაქებში კი ყველაზე ნაკლებმა რესპონდენტმა გამოიყენა ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამები (17%).

გრაფიკი #51 - ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა, მიმართვიანობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



რეგიონის ჭრილში კვლევის შედეგების თანახმად, ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ყველაზე ინფორმირებულია შიდა ქართლი (77%), ყველაზე ნაკლებ ინფორმირებული - სამცხე-ჯავახეთი (14%), ყველაზე მეტმა რესპონდენტმა კი სხვა პროგრამის სერვისით მცხეთა-მთიანეთში ისარგებლა (30%). **მაღალმთიანი დასახლებების** შემთხვევაში, ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ სმენია რესპონდენტთა 22%-ს და მათმა 29%-მა ისარგებლა რომელიმე სხვა პროგრამით. **გენდერის** ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ ოდნავ მეტ ქალს სმენია ასეთი პროგრამების შესახებ (42%), ვიდრე კაცს (36%). სერვისით სარგებლობის თვალსაზრისით კი მაჩვენებელი მსგავსია (კაცი - 21%, ქალი - 19%).

გრაფიკი #52 - ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა, მიმართვიანობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.3.7. ზოგადი კმაყოფილება ჯანდაცვის სისტემით

კვლევის შედეგების თანახმად, ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის მუშაობით ათიდან ექვსი გამოკითხულია კმაყოფილი (62%). სისტემით უკმაყოფილო რესპონდენტები ამის მთავარ მიზეზად *საფასურს* ასახელებენ (61%). უკმაყოფილების მიზეზებს შორის შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს ასევე *ხელმისაწვდომობას* (31%), *დაზღვევის სისტემასა* (29%) და *ექიმების პროფესიონალიზმის დონეს* (28%).

გრაფიკი # 53 - ჯანდაცვის სისტემით კმაყოფილება, უკმაყოფილების მიზეზი - 2017 წლის მონაცემები



რეგიონის ჭრილში, ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის მუშაობით კმაყოფილებას ყველაზე მეტად რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი (77%) გამოხატავს, ყველაზე ნაკლებად კი - მცხეთა-მთიანეთი (51%). **მაღალმთიან დასახლებებში** ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის მუშაობით კმაყოფილია გამოკითხულ რესპონდენტთა 65%. **გენდერის** ჭრილში კვლევის თანახმად, ჯანდაცვის სისტემის მუშაობით კაცები უფრო კმაყოფილნი არიან (62%), ვიდრე ქალები (56%). ასევე, სისტემის მუშაობით კმაყოფილების უფრო მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება **სოფლად** (75%), ვიდრე **თბილისსა** (53%) ან **სხვა ქალაქებში** (54%).

ჯანდაცვა - 2013-2015-2017

საავადმყოფოებში ავადმყოფობის გამო მიმართვიანობის თვალსაზრისით, კვლევის სამივე რაუნდის მონაცემებში არსებითი განსხვავებები არ არის, რადგან სამივე კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე საავადმყოფოს ავადმყოფობის გამო ათიდან ოთხმა რესპონდენტმა მიმართა (2013 – 40%, 2015 – 43%, 2017 – 37%). **რეგიონების** მონაცემების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ 2017 წელს, 2015 წელთან შედარებით, საავადმყოფოში მიმართვიანობა უმეტესად შემცირებულია, თუმცა, მიმართვიანობის ზრდის განსაკუთრებულად მაღალი ტენდენცია დაფიქსირდა კახეთში (2015 – 33%, 2017 – 50%) და მეტ-ნაკლებად მზარდი ტენდენცია გამოვლინდა რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთისა (2015 – 44%, 2017 – 48%) და მცხეთა-მთიანეთის (2015 – 47%, 2017 – 51%) რეგიონებში. რაუნდების მიხედვით კმაყოფილების მაჩვენებელი გაიზარდა ასევე უმეტეს რეგიონებში. **ქალაქი/სოფლის** ჭრილში აღმოჩნდა, რომ დასახლების ორივე ტიპში საავადმყოფოებში მიმართვიანობა შემცირებულია. კერძოდ, თუ 2013 და 2015 წლებში ქალაქებში საავადმყოფოებს ბოლო ერთი წლის მანძილზე ათიდან ოთხმა რესპონდენტმა მიმართა (41%-42%), 2017 წელს მიმართვიანობამ 34% შეადგინა. სოფლების შემთხვევაში, 2015 წელს საავადმყოფოებში მიმართვიანობა იყო 43%, 2013 და 2017 წლებში კი - 40%-40%. საავადმყოფოებით კმაყოფილების კუთხით, არსებითი სხვაობები არ ვლინდება და ორივე ტიპის დასახლებაში შეფასება პოზიტიურისკენ ცვლილების ტენდენციას გვიჩვენებს (ქალაქი: 2013 – 83%, 2015 – 86%, 2017 – 87%. სოფელი: 2013 – 84%, 2015 – 89%, 2017 – 88%).

მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში კვლევის თანახმად, საავადმყოფოების ხელმისაწვდომობა, 2013 წელთან შედარებით, გაზრდილია, თუმცა, შემცირებულია 2015 წელთან შედარებით (2013 – 37%, 2015 – 53%, 2017 – 50%). კმაყოფილების თვალსაზრისით, ზრდის ტენდენცია შეინიშნება და 2017 წელს საავადმყოფოებით კმაყოფილების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია (2013 – 82%, 2015 – 88%, 2017 – 89%). **გენდერის** ჭრილში კი, ქალები და კაცები თითქმის თანაბარი რაოდენობით მიმართავენ საავადმყოფოს. ერთადერთი გამონაკლისი იყო 2015 წელი, როდესაც ავადმყოფობის გამო საავადმყოფოს უფრო მეტმა ქალმა (45%) მიმართა, ვიდრე - კაცმა (40%). საავადმყოფოს სერვისით მოსარგებლეთა შორისკი კაცები უფრო კმაყოფილები არიან, ვიდრე ქალები.

კმაყოფილების თვალსაზრისით, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საავადმყოფოებით ზოგადი კმაყოფილება კვლევის პირველ რაუნდთან შედარებით გაზრდილია (2013 – 83%, 2015 – 88%, 2017 – 88%).

გრაფიკი #54 - ავადმყოფობის გამო საავადმყოფოში მიმართვიანობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები



ავადმყოფობის გამო პოლიკლინიკაში მიმართვიანობის მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად სტაბილურია 2013, 2015, 2017 წლებში (შესაბამისად: 29%, 33%, 31%). **ქალაქი/სოფლის** ჭრილში აღმოჩნდა, რომ პოლკლინიკაში მიმართვიანობა სოფელში ყველაზე მაღალი იყო 2015 წელს (22%). 2013 წელს პოლიკლინიკას სოფელში რესპონდენტთა 19%-მა, 2017 წელს კი - 16%-მა მიმართა. პოლიკლინიკით კმაყოფილების თვალსაზრისით, სოფელში მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია შეინიშნება (2013 – 80%, 2015 – 92%, 2017 – 93%). ქალაქში პოლიკლინიკაში მიმართვიანობა გაზრდილია 2013 წელთან შედარებით (37%), მაგრამ 2015-თან მიმართებით 2017 წელს ეს მაჩვენებელი არ შეცვლილა (43%-43%). კმაყოფილების მაჩვენებლის თვალსაზრისით, ქალაქში პოლიკლინიკის სერვისით კმაყოფილებას რესპონდენტთა უმრავლესობა აფიქსირებს (2013 - 83%, 2015 – 86%, 2017 – 87%).

მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში კვლევის მონაცემების თანახმად, პოლიკლინიკაში მიმართვიანობა ყველაზე მაღალი იყო 2015 წელს (18%), 2013 და 2017 წელს კი ეს მაჩვენებელი შემცირდა (11%-10%). კმაყოფილების კუთხით, ზრდის ტენდენცია შეინიშნება. 2013 წელს პოლიკლინიკით კმაყოფილი ამ სერვისის მომხმარებელთა 80% იყო, 2015 წელს - 92%, 2017 წელს კი - 93%. აღსანიშნავია, რომ კვლევის წინა რაუნდთან შედარებით, 2017 წელს პოლიკლინიკაში მიმართვიანობა ავადმყოფობის გამო შემცირებულია **რეგიონების** უმრავლესობაში. **გენდერის** ჭრილში კი აღმოჩნდა, რომ პოლიკლინიკას ავადმყოფობის გამო უფრო მეტმა ქალმა (2013 – 31%, 2015 – 37%, 2017 – 35%) მიმართა, ვიდრე კაცმა (2013 – 26%, 2015 – 28%, 2017 – 27%). რაც შეეხება პოლიკლინიკით ზოგად კმაყოფილებას, არსებითი განსხვავება გენდერის თვალსაზრისით არ გამოკვეთილა. ზოგადი კმაყოფილება კი პოლიკლინიკის მომსახურებით კვლევის სამივე რაუნდში მაღალია.

გრაფიკი #55 - ავადმყოფობის გამო პოლიკლინიკაში მიმართვიანობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები



ავადმყოფობის გამო ამბულატორიას/მედ-პუნქტს ყველაზე ხშირად გამოკითხულმა რესპონ-დენტებმა 2015 წელს მიმართეს (19%). 2013 წელს ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 14% შეადგინა, 2017 წელს კი - 10%. როგორც მოსალოდნელი იყო, ამბულატორიებს, უმეტესწილად, **სოფლებში** მიმართავენ, ვიდრე **ქალაქში** და ყველაზე მაღალი მიმართვიანობა ამ ტიპის სამედიცინო დაწესებულებისთვის ორივე ტიპის დასახლებაში 2015 წელს დაფიქსირდა. კერძოდ, სოფელში ამბულატორიას 2013 წელს გამოკითხულთა 19%-მა, 2015 წელს - 28%, 2017 წელს კი - 20%-მა მიმართა. რაც შეეხება ქალაქს, აქ მიმართვიანობა 2013 წელს - 9%, 2015 წელს - 11%, 2017 წელს კი - 3% იყო. ამბულატორიებით კმაყოფილების თვალსაზრისით, ქალაქში კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2017 წელს (93%), სოფელში კი - 2015 წელს (97%) დაფიქსირდა.

მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მეტმა რესპონდენტმა ამ ტიპის დასახლებაში ამბულატორიას 2015 წელს მიმართა (28%); 2013 წელს ამ მაჩვენებელმა 12%, 2017 წელს კი - 15% შეადგინა. რაც შეეხება ამბულატორიებით კმაყოფილებას მაღალმთიან დასახლებებში, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 93% იყო, 2015 წელს - 97%, 2017 წელს კი - 96%. წინა რაუნდთან შედარებით 2017 წელს ამბულატორიაში მიმართვიანობა შემცირებულია რეგიონთა უმრავლესობაში. **გენდერის** ჭრილში აღმოჩნდა, რომ 2017 წელს, წინა რაუნდთან შედარებით, ამბულატორიაში მიმართვიანობა შემცირებულია როგორც ქალის (2013 – 14%, 2015 – 18%, 2017 – 11%), ასევე კაცის (2013 – 14%, 2015 – 20%, 2017 – 9%) შემთხვევაში.

ამბულატორიის მომხმარებელთა ზოგადი კმაყო-ფილების თვალსაზრისით კვლევის ბოლო ორი რაუნდის მონაცემები თითქმის არ შეცვლილა. ეს მაჩვენებელი გაზრდილია 2013 წლის მონაცემებთან შედარებით (2013 - 88%, 2015 – 93%, 2017 – 93%).

გრაფიკი #56 - ამბულატორიაში მიმართვიანობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლის მონაცემები



პროფილაქტიკის მიზნით სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვიანობის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, ეს მაჩვენებელი დაბალია და მონაცემები არსებითად არ განსხვავდება წლებისა თუ ჭრილების მიხედვით, მათ შორის, არც გენდერის ჭრილში.

ცხრილი #13 - პროფილაქტიკის მიზნით სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობა გენდერის ჭრილში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები

	2013			2015			2017		
	ქალი	კაცი	ჯამი	ქალი	კაცი	ჯამი	ქალი	კაცი	ჯამი
საავადმყოფო	14%	10%	12%	15%	17%	16%	10%	10%	10%
პოლიკლინიკა	13%	11%	12%	19%	13%	16%	17%	12%	15%
ამბულატორია	4%	4%	4%	7%	7%	3%	2%	3%	2%

სასწრაფო სამედიცინო დახმარებით ყველაზე მეტმა რესპონდენტმა 2015 წელს ისარგებლა (42%). 2013 წელს ეს სერვისი გამოკითხულთა 39%-მა გამოიყენა, 2017 წელს კი - 37%-მა.

ქალაქი/სოფლის ჭრილში არსებული მონაცემების თანახმად აღმოჩნდა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისით ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა 2015 წელს ისარგებლეს როგორც ქალაქში (2015 – 43%, 2015 - 44%, 2017 – 41%), ასევე სოფელში (2015 – 34%, 2015 - 39%, 2017 – 31%). აღნიშნული სერვისით კმაყოფილების ყველაზე დაბალი მაჩვენებელიც სწორედ 2015 წელს ფიქსირდება, როგორც ქალაქში (2013 – 90%, 2015 - 88%, 2017 – 90%), ასევე სოფელში (2013 - 92%, 2015 – 90%, 2017 – 95%). **მაღალმთიანი დასახლებების** ჭრილში გამოირკვა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარებით სარგებლობის კუთხით, რეალობა მცირედ შეიცვალა კვლევის პირველ რაუნდთან შედარებით (2013 – 31%, 2015 – 35%, 2017 – 34%). **გენდერის** თვალსაზრისით კი აღსანიშნავია, რომ 2017 წელს, კვლევის წინა რაუნდთან შედარებით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისით სარგებლობა შემცირებულია როგორც ქალის (2013 – 39%, 2015 – 42%, 2017 – 38%), ასევე კაცის (2013 – 37%, 2015 – 41%, 2017 – 35%) შემთხვევაში.

გრაფიკი #57 - სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვიანობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლის მონაცემები



კვლევის შედეგები მოწმობს, რომ გაზრდილია იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვინც არ იცის სახელმწიფო პროგრამით **მოსახლეობისთვის პროფილაქტიკური აცრების** ჩატარების შესახებ (2013 – 16%, 2015 – 14%, 2017 – 21%). მათი რაოდენობა, ვინც ჩაიტარა პროფილაქტიკური აცრები, კვლევის რაუნდების მიხედვით თითქმის არ შეცვლილა (2013- 27%, 2015 – 28%, 2017 – 27%). რეგიონების მიხედვით აღმოჩნდა, რომ იმერეთისა და კახეთის გარდა, ყველა რეგიონში გაზრდილია იმ რესპონდენტთა რიცხვი, რომელთაც არ იციან სახელმწიფო პროგრამით მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების შესახებ. **გენდერის** ჭრილში კვლევამ გამოავლინა, რომ ყველა რაუნდში ქალები უფრო ინფორმირებულნი იყვნენ მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ, ვიდრე კაცები. **ქალაქი/სოფლის** ჭრილში აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის დონე სოფელში უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქში. რაუნდების მიხედვით ქალაქში ინფორმირებულობა 2013 წელს - 72%, 2015- 65%, 2017 წელს - 65% იყო. სოფელში კი მონაცემები ასე გადანაწილდა: 2013 – 76%, 2015 – 80%, 2017 – 77%. მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამით ქალაქსა და სოფელში რესპონდენტთა თითქმის თანაბარმა რაოდენობამ ისარგებლა. აღნიშნული სერვისით კმაყოფილების თვალსაზრისით არსებითი განსხვავებები ქალაქსა და სოფელს შორის არ მჟღავნდება, კვლევის რაუნდებს შორის კი კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2017 წელს ფიქსირდება დასახლების ორივე ტიპში (ქალაქი: 2013 – 93%, 2015 – 95%, 2017 – 97%; სოფელი: 2013 – 96%, 2015 – 94%, 2017 – 97%).

რაც შეეხება **მაღალმთიან დასახლებებს**, აქ ყველაზე მეტი რესპონდენტი ინფორმაციას სახელმწიფო პროგრამით მოსახლეობის აცრების შესახებ 2015 წელს ფლობდა (2013 - 71%, 2015 - 81%, 2017 - 77%), თუმცა, სარგებლობის თვალსაზრისით, ყველაზე ნაკლებმა რესპონდენტმა სერვისით სწორედ 2015 წელს ისარგებლა (2013 – 32%, 2015 – 25%, 2017 – 29%). კმაყოფილების თვალსაზრისით, ამ ტიპის დასახლებებში ზრდის ტენდენცია შეინიშნება (2013 – 92%, 2015 – 97%, 2017 – 98%).

გრაფიკი #58 - მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა, კმაყოფილება მაღალმთიან დასახლებებში - 2013-2015-2017 წლების მონაცემები



პირუტყვის/შინაური ცხოველების პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირებულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს ფიქსირდება (2013 – 49%, 2015 – 67%, 2017 – 30%). აღნიშნული სერვისით ყველაზე დიდმა წილმა 2013 წელს ისარგებლა (50%); ამ მაჩვენებელმა 2015 წელს - 47%, 2017 წელს კი - 40% შეადგინა.

კვლევის ბოლო ორი რაუნდის შედარებისას, ინფორმირებულთა შორის ოდნავ შემცირებულია პირუტყვის/შინაური ცხოველების პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა **მაღალმთიან დასახლებებში** (2013 – 71%, 2015 – 74%, 2017 – 69%). **ქალაქი/სოფლის** ჭრილში, უფრო მეტი რესპონდენტი სოფელშია ინფორმირებული აღნიშნული

პროგრამის შესახებ (2013 – 72%, 2015 – 91%, 2017 – 87%), ვიდრე ქალაქში (2013 – 28%, 2015 – 46%, 2017 – 41%). ყველაზე ნაკლებმა რესპონდენტმა პროგრამით 2017 წელს ისარგებლა დასახლების ორივე ტიპში (ქალაქი - 11%, სოფელი - 58%). ქალაქში 2013 წელს გამოკითხულთა 11%-მა, 2015 წელს კი - 18%-მა ისარგებლა აღნიშნული სერვისით. რაც შეეხება სოფელს, 2013 წელს ეს მაჩვენებელი 59%, 2015 წელს კი – 64% იყო. გენდერის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ პირუტყვის/შინაური ცხოველების პროფილაქტიკური აცრების სახელმწიფო პროგრამით ყველაზე ხშირად რესპონდენტებმა 2015 წელს ისარგებლეს როგორც ქალის (2013 – 47%, 2015 – 66%, 2017 – 57%), ასევე კაცის შემთხვევაში (2013 – 50%, 2015 – 68%, 2017 – 65%). აღსანიშნავია, რომ კვლევის ყველა რაუნდის შედეგების თანახმად, მათი უმრავლესობა, ვინც სერვისით ისარგებლა, ყველა ჭრილში უმეტესად კმაყოფილია სერვისით.

ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამის შესახებ ყველაზე ნაკლებ რესპონდენტს 2017 წელს (39%) სმენია; 2013 წელს ეს მაჩვენებელი 45%-ს, 2015 წელს კი - 49%-ს შეადგენდა. რაიმე სხვა პროგრამით სარგებლობის თვალსაზრისით კვლევის სამივე რაუნდის მონაცემები თითქმის იდენტურია (2013 – 19%, 2015 – 18%, 2017 – 19%). რაც შეეხება ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამებით ზოგად კმაყოფილებას, კვლევის რესპონდენტები ყველაზე ნაკლებად პროგრამებით კმაყოფილნი იყვნენ 2013 (81%); 2015 და 2017 წლებში კი კმაყოფილებამ 93%-93% შეადგინა.

რეგიონების ჭრილში აღსანიშნავია, რომ 2013 წელს ჯანდაცვის სისტემით ყველაზე კმაყოფილი იყო შიდა ქართლი (62%), 2015 წელს კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა კახეთსა (71%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (72%), ასევე აჭარასა (71%) და გურიაში (70%). 2017 წლის შედეგების მიხედვით კი სისტემით ყველაზე მეტად კმაყოფილნი არიან რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონში (79%).

ცხრილი #14 - ჯანდაცვის სისტემით ზოგადი კმაყოფილება რეგიონების ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები

	2013			2015			2017		
	უკმაყოფილო	კმაყოფილი	ნეიტრალური	უკმაყოფილო	კმაყოფილი	ნეიტრალური	უკმაყოფილო	კმაყოფილი	ნეიტრალური
თბილისი - N=400	34%	24%	42%	10%	58%	32%	10%	53%	36%
აჭარა - N=300	16%	38%	47%	9%	**71%**	20%	4%	68%	28%
გურია - N=300	18%	37%	45%	8%	**70%**	22%	5%	61%	35%
იმერეთი - N=300	13%	40%	47%	6%	68%	26%	3%	72%	26%
კახეთი - N=300	14%	44%	43%	9%	**72%**	19%	3%	58%	38%
მცხეთა-მთიანეთი - N=300	24%	36%	40%	13%	63%	24%	12%	55%	34%
ქვემო ქართლი - N=300	26%	27%	47%	10%	50%	40%	10%	61%	29%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი - N=300	15%	42%	43%	8%	67%	25%	2%	**79%**	19%
სამცხე-ჯავახეთი - N=300	23%	37%	40%	8%	52%	40%	5%	71%	24%
სამეგრელო-ზემო სვანეთი -N=300	17%	54%	29%	2%	**72%**	25%	5%	71%	25%
შიდა ქართლი - N=300	9%	**62%**	29%	3%	69%	28%	5%	68%	28%

ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე მეტი რესპონდენტი ქალაქში ინფორმაციას ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამის შესახებ 2015 წელს (57%), სოფელში კი - 2013 წელს (47%) ფლობდა. ჯანდაცვის სისტემით ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით კი აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი სოფელში უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქში სამივე რაუნდის შედეგების მიხედვით (ქალაქი: 2013 - 30%, 2015 – 58%, 2017 – 52%; სოფელი: 2013 – 38%, 2015 – 65%, 2017 – 68%). **გენდერის** ჭრილში აღმოჩნდა, რომ უფრო მეტ ქალს სმენია ჯანდაცვის სხვა პროგრამის შესახებ, ვიდრე მამაკაცს კვლევის სამივე რაუნდის შედეგების მიხედვით. კმაყოფილების თვალსაზრისით კი, თუ კაცების შემთხვევაში კვლევის ბოლო ორი რაუნდისას შეფასება არ შეცვლილა, ქალების შემთხვევაში, ჯანდაცვის სისტემით კმაყოფილების დონე ყველაზე მაღალი იყო 2015 წელს (66%).

გრაფიკი #59 - ჯანდაცვის სისტემით ზოგადი კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლის მონაცემები



თვისებრივი კვლევის შედეგები - ჯანდაცვა

ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ისაუბრეს, როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ მხარეებზე. პოზიტიურ მხარეებში, ძირითადად, მოიაზრებდნენ ჯანდაცვის საყოველთაო პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობას.

რეგიონში ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავდნენ პრობლემებს: *ექიმების არაპროფესიონალიზმი, არაოპერატიული მუშაობა და ნაცნობობის ფაქტორის მნიშვნელობა ექიმთან კონსულტაციის გასავლელად.* აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეები რეგიონში, უმეტესად, ექიმების არაპროფესიონალიზმზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რაც მათთვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ყველა მეტნაკლებად სერიოზული პრობლემის გამო თბილისში ექიმთან ვიზიტის აუცილებლობას იწვევს.

„თავში ავარდნილი ექიმები გვყავს ბევრი, წარმატებულ ექიმებს აქვს თავში ავარდნილი თავისი მდგომარეობა და როგორ ხასიათზეც არიან, ისე მიგიღებენ. ეს ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან, თუ ვიღაც არ გყავს ნაცნობი, რომელიც ეტყვის, რომ ახლობელია და მიგიღოს, მაშინ გიღებენ, როცა სურთ. თუკი ვინმე გყავს ნაცნობი, გეფოფინებიან...“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„პოლიკლინიკაშიც პრობლემებია: 10:00 საათზე უნდა დაიწყოს მუშაობა, მაგრამ 11:00 საათამდე არ მოდის.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

გარდა ამისა, აღინიშნა საავადმყოფოებში მომსახურების განსხვავებული სტანდარტები რეგიონსა და დედაქალაქში. კერძოდ, რეგიონის მოსახლეობა დედაქალაქში სამედიცინო დაწესებულებებში მაღალ მიმართვიანობას ხსნის, ერთი მხრივ, ადგილობრივი ექიმების არაპროფესიონალიზმით; მეორე მხრივ კი, თბილისში სამედიცინო დაწესებულებებში არსებული უკეთესი სერვისით.

„ნდობა გაქვს დაკარგული ექიმის, რადგან გგონია სხვის ანალიზს გატანს (ცდომილებებია მაღალი).“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„[ექიმების არაპროფესიონალიზმის გამო] 90% თბილისში მიდის.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„თავიც რომ წამოგტკივდეს, თბილისში უნდა გაიქცე, რადგან პროფესიონალი კადრების სიმცირეა; ხან აპარატურა არ აქვთ ან აქვთ, მაგრამ ვერ იყენებენ.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„მაქვს შეხება [თბილისში საავადმყოფოებთან], დავრეკავ, ჩავეწერები და თავის დროზე ჩემი ნომრით შევდივარ ექიმთან.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ცალკე აღნიშნავდნენ **სასწრაფო სამედიცინო დახმარების** სერვისთან დაკავშირებულ საკითხებს. დედაქალაქში ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ხაზს უსვამდნენ სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამართულ მუშაობას და იქ კადრების დაკომპლექტებასაც, ასევე პოზიტიურად აფასებდნენ აუცილებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფას. ნეგატიურ ასპექტებზე საუბრისას გამოიკვეთა დაგვიანებით მოსვლის ფაქტიც, თუმცა, დისკუსანტები განსაკუთრებულად მოსახლეობის მიერ აღნიშნული სერვისით არაკეთილსინდისიერ გამოყენებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რადგან არააუცილებელი გამოძახებების გამო რეალურად ფერხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუშაობა.

„ხშირად ყოფილა, რომ კომპეტენტური ყოფილა და უკეთესი რჩევა მოუცია [სასწრაფო სამედიცინო დამხარების ექიმს], ვიდრე საავადმყოფოს ექიმს.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„რა თქმა უნდა, სპეცმედიკამენტები ვერ ექნება სასწრაფოს. რაც საჭიროა, ის აქვთ. კარდიოგრამის აპარატი აქვთ, შაქრის საზომი აქვთ...“[კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„ჩვენ ქვეყანაში სასწრაფოს გამოძახებას რაც უქმნის პრობლემას, ეს არის უაზრო ზარები, მაგალითად, წნევის გაზომვის გამო რეკავენ. ახლა არ არის იმდენი გამოძახება, მაგრამ ოქტომბრის ბოლოდან და მარტის დასაწყისში ძალიან ბევრი გამოძახებაა გაციებასთან და ვირუსებთან დაკავშირებით, ამ სიტუაციაში არის ფაქტები, რომ სასწრაფო გირეკავს და გეუბნებიან, რომ ვერ მოვლენ დროულად და დასჭიდებათ მაგალითად 40 წუთი...“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

რაც შეეხება რეგიონს, იქ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს პრეტენზიები არ ჰქონიათ სასწრაფო სამედიცინო დახმარების პერსონალთან, მაგრამ აღინიშნა მანქანების სიმწირე და, განსაკუთრებულ პრობლემად დასახელდა არაოპერატიული მომსახურება, რასაც კონკრეტული მიზეზით ხსნიდნენ. კერძოდ, ძირითადი მსჯელობის თანახმად, პრობლემას ქმნის 112-ის, როგორც მთავარი რგოლის არსებობა, რადგან პროცესი ცენტრალიზებულად (112) იმართება, რაც, დისკუსიის მონაწილეთა თქმით, ძალიან არაეფექტიანია. ამის მიზეზი ისაა, რომ 112-ის ოპერატორები არ იცნობენ რეგიონს, ქალაქს და ხშირია გაუგებრობები მისამართთან დაკავშირებით. სწორედ ამ უკანასკნელის გარკვევაში იხარჯება ძალიან დიდი დრო, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ავადმყოფებს და სერვისის პოტენციურ მომხმარებლებს.

„მოვიდა სასწრაფო 45 წუთში გამოძახებიდან... მერე გადავრეკე და ვიკითხე, რა ხდებოდა. მითხრეს, რომ 10 მანქანაა სულ ქუთაისში (რაც ძალიან ცოტაა), მივედით პაციენტთან და ხომ არ გავიქცევითო?!“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„სასწრაფოში რომ დარეკო, ჯერ თბილისში უნდა დარეკო, მერე მათ აქ უნდა დარეკონ და ნახევარი საათის მერე მოვა; ცუდად თუ ხარ, მოკვდები.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„კარგად მუშაობს, მაგრამ დაგვიანებით მუშაობს... თბილისს უნდა დაურეკო, თბილისი ურეკავს რეგიონებს და დრო იკარგება. რადგან ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ეხება საქმე, დიდია ეს დრო და უნდა გამოსწორდეს ეს პრობლემა.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„იქ [112] არიან ოპერატორები, რომლებიც არ იცნობენ ქუთაისს, მის უბნებს. რეკავ და უბანს ეუბნები, ქალაქს მერე გეკითხება, მერე რეგიონს. ჯერ თვითონ უნდა გაერკვიოს, მერე გადასცემს ქუთაისს, მერე ქუთაისი ისევ აკონკრეტებინებს და ამაში გადის დრო... კარგავ სულ მცირე 10 წუთს.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

ყურადღება გამახვილდა ასევე იმაზე, რომ მიუხედავად უშუალოდ სასწრაფო დახმარების უფასო მომსახურებისა, ეს და სხვა სერვისები, რომელთაც 112-ის სამსახური სთავაზობს მოსახლეობას, სრულიად უფასო არ არის, რადგან თითოეული განხორციელებული ზარისთვის მოქალაქე იხდის გარკვეულ თანხას.

„ხომ უფასოა, მაგრამ არის 112 უფასო?.. კომპანიებს 50 თეთრი ეჭრებათ მობილურიდან, ფიზიკურ პირებს 20 თეთრი გვეჭრება ზარისთვის. ეს არის ძალიან დიდი თანხა... არ უნდა ერქვას ამას უფასო, იმიტომ, რომ თანხას მოსახლეობა იხდის.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

5.4. რეკრეაცია, დასვენება და კულტურა

კვლევის შედეგების თანახმად, გასართობი/დასასვენებელი ადგილებიდან ყველაზე ხშირად დასახლებებში/ქალაქებში სპორტული მოედნები გვხვდება (73%); სპორტული მოედნებსვე მიიჩნევს რესპონდენტთა უმრავლესობა პრიორიტეტულ დასასვენებელ/გასართობ ადგილად (62%), მუზეუმი კი ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტულად სახელდება (10%). გასართობი/დასასვენებელი ობიექტების მდგომარეობას, რესპონდენტთა უმეტესობა აფასებს როგორც საშუალოს ან კარგს.

ცხრილი #15 - დასახლებაში/ქალაქში არსებული გასართობი/დასასვენებელი ადგილები, მათი მდგომარეობა და პრიორიტეტულად მიჩნეული ადგილები - 2017 წლის მონაცემები

	არსებული გასართობი/ დასასვენებელი ადგილები	**მდგომარეობის შეფასება**			**პრიორიტეტული გასართობი/ დასასვენებელი ადგილები**
		ცუდი	**საშუალო**	**კარგი**	
თეატრი	46%	4%	44%	52%	26%
მუზეუმი	46%	4%	48%	48%	10%
ბიბლიოთეკა	56%	5%	54%	41%	32%
საჯარო პარკი	55%	6%	49%	45%	52%
სპორტული მოედანი	**73%**	7%	**53%**	40%	**62%**
კულტურის სახლი/სოფლის კლუბი	27%	9%	56%	36%	30%
არცერთი	17%				2%

გენდერისა და მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში არსებითი განსხვავებები არ ფიქსირდება. თითოეული მათგანის მიხედვით, სპორტული მოედნები სჭარბობს ყველა სხვა დასასვენებელ/გასართობ ადგილს და ისევე ითვლება პრიორიტეტულად. **ქალაქი/სოფლის** ჭრილში კი აღმოჩნდა, რომ მართალია, აქაც ყველგან სპორტული მოედნები სჭარბობს, მაგრამ განსხვავებულია პრიორიტეტულობა. კერძოდ, თუ სოფლად საუკეთესო გასართობ/დასასვენებელ ადგილად სპორტულ მოედნებს მიიჩნევენ (61%), თბილისსა და სხვა ქალაქებში საჯარო პარკებს ანიჭებენ უპირატესობას (73%-58%).

რეგიონების ჭრილში აღსანიშნავია, რომ იქაც უმეტესად ყველაზე გავრცელებული გასართობ/დასასვენებელი ადგილი სპორტული მოედანია. მათ მდგომარეობას, უმეტესად, აფასებენ როგორც საშუალოს. პრიორიტეტულობის თვალსაზრისით კი რეგიონის მოსახლეობა, უმეტესად, უპირატესობას სპორტულ მოედნებს ანიჭებს. თუმცა, აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ თუ თბილისში საჯარო პარკებს ამჯობინებენ, აჭარისათვის თანაბრად მნიშვნელოვანია საჯარო პარკები და სპორტული მოედნები; სამეგრელო-ზემო სვანეთის შემთხვევაში კი, ყველაზე პრიორიტეტულ გასართობ/დასასვენებელ ადგილად ბიბლიოთეკა დასახელდა (42%).

ცხრილი #16 - დასახლებისთვის პრიორიტეტული გასართობი/დასასვენებელი ადგილები რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები

	თეატრი	**მუზეუმი**	**ბიბლი-ოთეკა**	**საჯარო პარკი**	**სპორტული მოედანი**	**კულტურის სახლი/ სოფლის კლუბი**	**არც ერთი**	**მიჭირს პასუხის გაცემა**
თბილისი - N=400	40%	15%	28%	**73%**	67%	4%	1%	4%
აჭარა - N=300	16%	8%	25%	**63%**	**63%**	26%	4%	4%
გურია - N=300	13%	10%	34%	20%	**48%**	42%	7%	9%
იმერეთი - N=300	21%	8%	59%	38%	**72%**	52%	0%	1%
კახეთი - N=300	15%	15%	32%	50%	**66%**	64%	0%	0%
მცხეთა-მთიანეთი - N=300	18%	9%	24%	29%	**43%**	35%	6%	14%
ქვემო ქართლი - N=300	25%	1%	18%	49%	**56%**	24%	7%	7%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი - N=300	19%	8%	55%	12%	**66%**	64%	3%	3%
სამცხე-ჯავახეთი - N=300	19%	11%	28%	51%	**60%**	45%	1%	4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი - N=300	27%	10%	**42%**	33%	41%	39%	5%	13%
შიდა ქართლი - N=300	13%	7%	14%	43%	**54%**	37%	1%	13%

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ დასასვენე-ბელი/გასართობი ადგილების კუთხით 2013-2015-2017 წლების მონაცემებით რეალობა ნაკლებად იცვლება: სამივე რაუნდისას ყველაზე ხელმისაწვდომია და პრიორიტეტულ ადგილა-დაც ითვლება სპორტული მოედნები.

ცხრილი #17 - დასახლებისთვის პრიორიტეტული გასართობი/დასასვენებელი ადგილები - 2013-2015-2017 წლების მონაცემები

	მოქმედი			**პრიორიტეტული**		
	2013	**2015**	**2017**	**2013**	**2015**	**2017**
თეატრი	47%	48%	46%	28%	28%	25%
მუზეუმი	48%	47%	46%	14%	16%	10%
ბიბლიოთეკა	59%	55%	56%	35%	34%	31%
საჯარო პარკი	49%	53%	55%	47%	44%	**51%**
სპორტული მოედანი	**71%**	**72%**	**73%**	**52%**	**60%**	**67%**
კულტურის სახლი / სოფლის კლუბი	40%	43%	27%	38%	38%	32%
არცერთი	16%	20%	17%	3%	2%	2%

თვისებრივი კვლევის შედეგები - რეკრეაცია, დასვენება, კულტურა

ქუთაისში ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს რეკრეაციულ ადგილებზე და ამ თვალსაზრისით ქალაქში არსებული რეალობა ნეგატიურად შეაფასეს. როგორც დისკუსიებზე გამოიკვეთა, არის სულ რამდენიმე დასასვენებელი ადგილი, მაგრამ არც ისინია გამართული. აღინიშნა ისიც, რომ სპორტული მოედნები, სხვა რეკრეაციულ ობიექტებთან შედარებით, მეტია, მაგრამ მათი რაოდენობაც მცირდება და თან განახლებას საჭიროებს. გართობისა და დასვენების თვალსაზრისით, ქუთაისში ყველაზე სერიოზულ პრობლემად კინოს არარსებობა დასახელდა. ამ კონტექსტში გამოკვეთილად აღინიშნა, რომ ქალაქში თაობები გაიზარდა, რომელთაც არ იციან ამ ტიპის დასასვენებელ ობიექტში მოქცევის წესებიც კი. აქვე აღინიშნა, რომ სახელმწიფო მეტ ყურადღებას უთმობს ცენტრს (თბილისი) და უგულებელყოფს პერიფერიების (ქუთაისი) ინტერესებს.

„კომუნისტებისდროინდელი ატრაქციონია ერთი და მგონი ისიც საშიშია...“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„კინო არ აქვთ ქუთაისელებს... მარტო შენობაა.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„სპორტული მოედნები ძალიან ბევრგან აღარ არის, გაფუჭდა.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„მუზეუმები მუშაობს მეტ-ნაკლებად და თეატრიც.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„კინო წლებია ქუთაისს არ ღირსებია.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„[კინო] სამი დღე მუშაობდა სატესტო რეჟიმში, შემდეგ ვეღარ გააგრძელა ფუნქციონირება მაყურებლის სიმცირის გამო კი არა, არამედ იმის გამო, რომ იქ მისულმა მოსახლეობამ ისიც არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო დარბაზში...“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„მაყურებლის კულტურა უნდა ჩამოყალიბდეს. რომ მივიდოდა რამდენიმეჯერ, კულტურაც ჩამოყალიბდებოდა, მაგრამ თვლიან, რომ ყველაფერი კარგი არის თბილისში, ქუთაისს კი არაფერი არ სჭირდება; ქუთაისს არ სჭირდება კარგი მაღაზია, არც კინო სჭირდება...“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

5.5. კომუნალური ინფრასტრუქტურა

კვლევის ფარგლებში შესწავლილია კომუნალური ინფრასტრუქტურის ისეთი საკითხები, როგორიცაა წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემა, ელექტროენერგიით და ბუნებრივი გაზით მომარაგება, ნარჩენების გატანა და დასუფთავება.

5.5.1. წყალმომარაგება

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას აქვს ცენტრალური წყალმომარაგება (72%). მათი უმრავლესობა, ვინც აღნიშნული სერვისით სარგებლობს, აცხადებს, რომ ცენტრალიზებულად მიწოდებული წყალი ვარგისია (88%). სიხშირის თვალსაზრისით, მომხმარებელთა უმრავლესობას ცენტრალიზებული წყალი მიეწოდება თითქმის უწყვეტად (79%) ან ყოველდღე გარკვეული დროით (17%); უმრავლესობა ასევე აცხადებს, რომ მიწოდებული წყლის რაოდენობა საკმარისია მათი საყოფაცხოვრებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (87%). რაც შეეხება წყლის საფასურს, კვლევამ გამოავლინა, რომ წყლის გადასახადი, უმეტესად, იანგარიშება ოჯახის წევრების რაოდენობის მიხედვით (48%), 37% კი მრიცხველის მიხედვით იხდის. წყლის საფასურს ათიდან შვიდი რესპონდენტი ხელმისაწვდომად მიიჩნევს (71%). ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით, მომხმარებელთა უმრავლესობა კმაყოფილია წყალმომარაგებით (80%).

გრაფიკი #60 - წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2017 წლის მონაცემები



ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ ცხადყო, რომ ცენტრალიზებული წყალმომარაგება ყველაზე ნაკლებად ხელმისაწვდომია სოფელში (42%). თბილისში ცენტრალიზებულ წყალმომარაგებასთან ხელი გამოკითხულთა 99%-ს მიუწვდება, სხვა ქალაქებში კი - 89%-ს. სასმელად ვარგისი წყალი ყველაზე მეტად თბილისში მოდის (96%), ყველაზე ნაკლებად კი - სხვა ქალაქებში (79%). სოფლებში წყალი სასმელად ვარგისია გამოკითხულთა 87%-ის თქმით. დასახლების ტიპის მიუხედავად, წყალი, ძირითადად, თითქმის უწყვეტად მოდის და წყალმომარაგებაც დამაკმაყოფილებელია. ასევე აღსანიშნავია, რომ საყოფაცხოვრებო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მიწოდებული წყალი დასახლების ყველა ტიპისთვის, უმეტესად, საკმარისია. რაც შეეხება ზოგადად წყალმომარაგებით კმაყოფილებას, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში ფიქსირდება (94%). სხვა ქალაქების შემთხვევაში წყალმომარაგებით ზოგად კმაყოფილებას გამოკითხულ მომხმარებელთა 75%, სოფლებში კი - 63% აფიქსირებს.

გრაფიკი #61 - წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



კვლევის შედეგების თანახმად, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით წყლის საფასურს, უპირატესად, თბილისში იხდიან (74%), მრიცხველის მიხედვით კი ყველაზე ხშირად - სხვა ქალაქებში (63%). სოფლებში წყლის საფასური სულადობის მიხედვით მომხმარებელთა 27%-ის შემთხვევაში დგინდება, მრიცხველის მიხედვით კი - 23%-ის.

რეგიონის ჭრილში, თბილისს გარდა, რეგიონებიდან ყველაზე მაღალი ხელმისაწვდომობა წყალმომარაგებასთან ქვემო ქართლში (89%), ყველაზე დაბალი კი - გურიაში (27%) ფიქსირდება. ცენტრალიზებულად მიწოდებული წყალი ყველა რეგიონში სასმელად ვარგისია. რაც შეეხება მიწოდების სიხშირეს, რეგიონების უმე-

ტესობას წყალი უწყვეტად მიეწოდება, თუმცა იმერეთსა (66%) და შიდა ქართლში (46%) წყალი ყოველდღე, გარკვეული პერიოდით მოდის. რეგიონებში აღნიშნავენ, რომ მიწოდებული წყალი საკმარისია მათი საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნით წყლის არასაკმარის რაოდენობაზე იმერეთში რესპონდენტთა 37%, შიდა ქართლში კი - 47% მიუთითებს. რეგიონებშიც უმეტესად სულადობის ან მრიცხველის მიხედვით იხდიან წყლის საფასურს. გადასახადი უმრავლესობას ხელმისაწვდომად მიაჩნია. თუმცა, აქ აღსანიშნავია მცხეთა-მთიანეთისა (39%) და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის (28%) რეგიონები, სადაც რესპონდენტების უმრავლესობა აცხადებს, რომ არ იხდის წყლის საფასურს. ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით, წყლის მიწოდების სერვისით კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა (94%) და გურიაში (91%) ფიქსირდება, ყველაზე დაბალი კი - შიდა ქართლში (49%).

გრაფიკი #62 - წყალმომარაგებით კმაყოფილება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში კვლევამ გამოავლინა, რომ იქ გამოკითხულ რესპონდენტთა 36%-ს მიუწვდება ხელი ცენტრალურ წყალმომარაგებასთან და ათიდან შვიდი მომხმარებელი კმაყოფილია სერვისით (70%). აღსანიშნავია ისიც, რომ მათგან, ვისაც მიეწოდება ცენტრალური წყალი მაღალმთიან დასახლებებში, 43% სულადობის მიხედვით იხდის, 31% კი - საერთოდ არ იხდის წყლის საფასურს. **გენდერის** თვალსაზრისით, წყალმომარაგების ხელმისაწვდომობაზე რესპონდენტი ქალების 74% და კაცების 70% მიანიშნებს. არსებითი განსხვავება არ მჟღავნდება არც კმაყოფილების თვალსაზრისით რადგან მათ შორის, ვისთვისაც ხელმისაწვდომია აღნიშნული სერვისი, ქალებიც (81%) და კაცებიც (79%) წყალმომარაგებას თითქმის ყოველთვის დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ.

გრაფიკი #63 - წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.5.2. საკანალიზაციო სისტემა

კვლევამ აჩვენა, რომ ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა გამოკითხულ რესპონდენტთა დასახლებების მხოლოდ ნახევარშია (51%). მათგან უშუალო წვდომა საკანალიზაციო სისტემასთან აქვს გამოკითხულთა 97%-ს და ამ უკანასკნელთა უმრავლესობა (97%) სისტემის მუშაობას გამართულს უწოდებს.

ქალაქი/სოფლის ჭრილში, როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა თბილისში გამოკითხულთაგან თითქმის ყველასთვის ხელმისაწვდომია (97%); სხვა ქალაქებში - გამოკითხულთა 75%-თვის, მაშინ როდესაც სოფელში ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა ხელმისაწვდომია გამოკითხულთა მხოლოდ 4%-თვის. **მაღალმთიან დასახლებებშიც** მოსახლეობის თითქმის უმრავლესობას არ მიუწვდება ხელი აღნიშნულ სისტემასთან (93%). **რეგიონის** ჭრილში, როგორც მოსალოდნელი იყო, ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან ყველაზე მაღალი ხელმისაწვდომობა თბილისში ფიქსირდება. ყველაზე დაბალი ხელმისაწვდომობის კუთხით, აღსანიშნავია გურია და კახეთი, სადაც რესპონდენტთა 14% აცხადებს, რომ მათ დასახლებაში ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა არ არის. რაც შეეხება სისტემის გამართულობას, ყველაზე მაღალი შეფასება ცენტრალიზებულ საკანალიზაციო სისტემას აქვს რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონში (98%), ყველაზე დაბალი კი - სამეგრელო-ზემო სვანეთში (38%).

გრაფიკი #64 - ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემასთან ხელმისაწვდომობა, სისტემის გამართულობა რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.5.3. ელექტროენერგია

კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოს მთელ მოსახლეობას (98%) ელექტროენერგია უწყვეტად მიეწოდება. ამ თვალსაზრისით, მონაცემებში პრაქტიკულად არანაირი სხვაობა არ ვლინდება დასახლების ტიპის ან რეგიონების მიხედვით, რადგან ყველა რეგიონში, ქალაქსა თუ სოფელში აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ ელექტროენერგიით ფაქტობრივად 24 საათის განმავლობაში მარაგდებიან. გამოკითხულთა უმეტესობა ასევე კმაყოფილია მიწოდებული ელექტროენერგიის ხარისხით (ძაბვით) როგორც ზამთარში (97%), ასევე სხვა სეზონებზე (98%). რაც შეეხება ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კმაყოფილებას, რესპონდენტთა 97% პოზიტიურად აფასებს აღნიშნულ სერვისთან დაკავშირებულ პრობლემათა მოგვარების ოპერატულობას. ამ თვალსაზრისითაც, მონაცემებში პრაქტიკულად არანაირი სხვაობა არ ვლინდება დასახლების ტიპის ან რეგიონის მიხედვით.

5.5.4. გაზმომარაგების ცენტრალური სისტემა

კვლევამ გამოავლინა, რომ ათიდან რვა რესპონდენტის დასახლებაში გაზმომარაგების ცენტრალური სისტემა შეყვანილია (81%), უშუალოდ სისტემასთან ხელმისაწვდომობას კი მათი 94% აფიქსირებს. უმრავლესობა, ვინც სარგებლობს ცენტრალური გაზმომარაგებით, კმაყოფილია როგორც გაზის ხარისხით (87%), ასევე გაზმომარაგების სერვისით (97%).

ქალაქი/სოფლის ჭრილში გაზმომარაგების ცენტრალურ სისტემასთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსხვავებული რეალობაა. კერძოდ, თბილისში აღნიშნულ სისტემასთან პრაქტიკულად ყველა (99%), სხვა ქალაქებში კი, თითქმის ყველა (95%) რესპონდენტს მიუწვდება ხელი. სოფლების შემთხვევაში ცენტრალური გაზმომარაგების სისტემასთან ხელმისაწვდომობაზე რესპონდენტთა 59% მიუთითებს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ სოფლებში,

სადაც გაზმომარაგების ცენტრალური სისტემა ხელმისაწვდომია, უშუალოდ ამ სერვისით სარგებლობას რესპონდენტთა 91% ადასტურებს. რაც შეეხება სოფელსა და ქალაქში გაზის ხარისხითა (წნევით) და გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებით კმაყოფილებას, აქ არსებითი განსხვავებები არ იკვეთება, რადგან მოსახლეობა ორივეგან კმაყოფილია.

მაღალმთიანი დასახლებების 44% უზრუნველყოფილია გაზმომარაგების ცენტრალური სისტემით. გაზის ხარისხითა და გაზმომარაგებასთან დაკავშირებული მომსახურებებით კმაყოფილების კუთხით, რეგიონებსა და მაღალმთიან დასახლებებს შორის არსებითი სხვაობა არ ვლინდება - ორივე პარამეტრით კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელია. თუმცა, რეალობა განსხვავებულია **რეგიონების** ჭრილში. კერძოდ, დედაქალაქის გარდა (99%), გაზსადენის ცენტრალური სისტემა რეგიონთაგან მეტად ხელმისაწვდომია კახეთსა და შიდა ქართლში (90%), ხოლო ნაკლებად უზრუნველყოფილია სამეგრელო/ზემო-სვანეთსა (45%) და გურიაში (38%); რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის შემთხვევაში კი, მოსახლეობის 95%-ს ცენტრალურ გაზმომარაგების სისტემასთან ხელი არ მიუწვდება. აქვე აღსანიშნავია, რომ თუ სერვისი ხელმისაწვდომია დასახლებებში, გაზი ცენტრალიზებული სისტემიდან მიეწოდება რესპონდენტთა უმრავლესობას ყველა რეგიონში.

გრაფიკი #65 - ცენტრალური გაზსადენის სისტემის ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.5.5. ნარჩენების გატანა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დასახლებიდან/უბნიდან ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის სერვისის არსებობაზე ათიდან რვა რესპონდენტი მიუთითებს (79%). სერვისის არსებობის შემთხვევაში, ნარჩენები, უპირატესად, ყოველდღიურად გააქვთ (58%), სერვისის საფასური კი მეტ-ნაკლებად (32%) ან სრულად (38%) ხელმისაწვდომია. რაც შეეხება ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის მომსახურებით ზოგად კმაყოფილებას, გამოკითხულთა 90% აღნიშნული სერვისით კმაყოფილია.

ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ გამოავლინა, რომ ცენტრალიზებულად ნარჩენების გატანის სერვის სრულად ხელმისაწვდომია თბილისში (100%); სხვა ქალაქებში აღნიშნულ სერვისთან ხელმისაწვდომობას აფიქსირებს

გამოკითხულთა 94%, სოფლებში კი - 54%. ყოველდღიურად ნარჩენების გატანა ყველაზე ხშირია თბილისსა (94%) და სხვა ქალაქებში (59%), სოფლებში კი ნარჩენები ყველაზე ხშირად კვირაში ერთხელ გააქვთ (53%). აღნიშნული მომსახურებით ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით, დასახლების ტიპის მიხედვით არსებითი განსხვავებები არ ფიქსირდება, რადგან რესპონდენტები როგორც სოფელში, ასევე ქალაქებში უმეტესად კმაყოფილნი არიან ნარჩენების გატანის სერვისით.

რეგიონების თვალსაზრისით, გარდა თბილისისა, სადაც ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანა სრულადაა უზრუნველყოფილი, ამ სერვისის ხელმისაწვდომობა ყველაზე მაღალია შიდა ქართლში (84%), ყველაზე დაბალი - რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში (37%). ნარჩენების გატანის სიხშირის თვალსაზრისით, თბილისში, აჭარაში, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში სერვისი, უმეტესად, ყოველდღიურადაა ხელმისაწვდომი. მცხეთა-მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმში/ქვემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში ნარჩენები, ძირითადად, ყოველ მეორე დღეს გააქვთ; გურიას, კახეთსა და შიდა ქართლში კი ეს სერვისი მხოლოდ კვირაში ერთხელაა ხელმისაწვდომი. რაც შეეხება სერვისის საფასურს, ის ყველა რეგიონისთვის ხელმისაწვდომია და აღნიშნული მომსახურებით კმაყოფილების მაჩვენებელიც ყველგან მაღლია.

გრაფიკი #66 - ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის სერვისის ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



მაღალმთიან დასახლებებში ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის სერვისზე ათიდან ოთხ გამოკითხულს მიუწვდება ხელი (38%). ამ ტიპის დასახლებებში, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა, ძირითადად, კვირაში ერთხელაა ხელმისაწვდომი (43%). სერვისის საფასური ხელმისაწვდომია მაღალმთიანი დასახლებებისთვის. რაც შეეხება ზოგად კმაყოფილებას ნარჩენების გატანის მომსახურებით, ის ამ ტიპის დასახლებებში 89%-ის ტოლია. **გენდერის** ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ უშუალოდ უბნიდან/დასახლებიდან ცენტრალიზებულად ნარჩენების გატანის სერვისის ხელმისაწვდომობას უფრო მეტი ქალი აფიქსირებს (81%), ვიდრე კაცი (76%). აღნიშნული სერვისით კმაყოფილების თვალსაზრისით არსებითი სხვაობები არ ფიქსირდება.

გრაფიკი #67 - ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის სერვისის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.5.6. დასუფთავება

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ დასახლებაში/უბანში ქუჩები სუფთავდება გამოკითხულთა 52%-ის თქმით. უმეტესად, ქუჩები სუფთავდება ყოველდღიურად (79%). დასუფთავების სამსახურის მუშაობით კმაყოფილებას რესპონდენტთა 92% გამოხატავს.

ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევის თანახმად, ქალაქების ქუჩების დასუფთავება, უმეტესად, უზრუნველყოფილია, სოფლებში კი ამ მხრივ ვითარება არც თუ სახარბიელოა. კერძოდ, თბილისში ქუჩების დასუფთავებას ადასტურებს გამოკითხულთა 99%, სხვა ქალაქებში კი - 65%. რაც შეეხება სოფლებს, იქ რესპონდენტთა მხოლოდ 12% აცხადებს, რომ მათი ქუჩები სუფთავდება. ქუჩები ყოველდღიურად სუფთავდება თბილისსა (94%) და სხვა ქალაქებში (69%), სოფლებში კი - კვირაში ერთხელ (34%). თითქმის ყველა რესპონდენტი კმაყოფილია აღნიშნული სერვისით თბილისსა (94%) და სოფლებში (93%), სხვა ქალაქებში კი დასუფთავებით ათიდან რვა რესპონდენტია კმაყოფილი (89%).

გრაფიკი #68 - დასახლებაში/უბანში ქუჩების დასუფთავების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში აღნიშნული სერვისი თითქმის არცერთი რესპონდენტისთვის არ არის ხელმისაწვდომი (97%). **რეგიონების** თვალსაზრისით კი, გარდა თბილისისა, სადაც ქუჩების დასუფთავების სერვისზე თითქმის ყველა რესპონდენტი მიუთითებს (99%), ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება სამეგრელო-ზემო სვანეთში (46%), ყველაზე დაბალი კი - გურიაში (7%). თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ იქ, სადაც ქუჩები სუფთავდება, ეს ყოველდღიურად ხდება.

გრაფიკი #69 - დასახლებაში/უბანში ქუჩების დასუფთავება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



უშუალოდ უბანში/დასახლებაში ქუჩების დასუფთავების ხელმისაწვდომობას **ქალების** 54% და **კაცების** 51% აღნიშნავს, ამათგან კი აღნიშნული სერვისით კმაყოფილებაზე ოდნავ მეტი კაცი მიანიშნებს (93%), ვიდრე ქალი (91%).

გრაფიკი #70 - დასახლებაში/უბანში ქუჩების დასუფთავება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



კომუნალური ინფრასტრუქტურა - 2013-2015-2017

როგორც კვლევამ აჩვენა, ცენტრალური **წყალმომარაგების** ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რეალობა მცირედით, თუმცა სტაბილურად უმჯობესდება: 2017 წელს ცენტრალური წყალმომარაგება ხელმისაწვდომი იყო მოსახლეობის 68%-თვის, 2015 წელს - 69%-თვის, 2017 წლის კვლევის შედეგების თანახმად კი მათმა წილმა 72% შეადგინა.

ცენტრალურ წყალმომარაგებასთან ხელმისაწვდომობა კვლევის რაუნდების მიხედვით არ შეცვლილა: **ქალაქში**, კვლევის სამივე რაუნდის შედეგად, ათიდან ცხრა რესპონდენტი ადასტურებდა ცენტრალური წყალმომარაგების ხელმისაწვდომობას, **სოფლის** შემთხვევაში იმავეს ათიდან ოთხი რესპონდენტი აცხადებდა. სასმელად წყლის ვარგისიანობის მაჩვენებელი გაზრდილია როგორც ქალაქში (2013 – 81%, 2015 – 84%, 2017 – 88%), ასევე სოფელში (2013 – 65%, 2015 – 67%, 2017 – 87%). წყალმომარაგებით კმაყოფილების თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქი უფროა კმაყოფილი, ვიდრე სოფელი, თუმცა, 2017 წელს კმაყოფილების მაჩვენებელი ორივე შემთხვევაში გაზრდილია.

გრაფიკი # 71 - ცენტრალური წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, სასმელი წყლის ვარგისიანობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები



რეგიონების შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში, 2015 წელთან შედარებით, ცენტრალურ წყალმომარაგებასთან ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (2015 – 18%, 2017 – 47%). კმაყოფილების თვალსაზრისითაც, რეგიონთა უმრავლესობაში კმაყოფილების მაჩვენებელი იგივეა ან გაზრდილია ბოლო ორი რაუნდის შედეგების თანახმად. თუმცა, გამონაკლისია რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთისა და შიდა ქართლის რეგიონები, სადაც წყალმომარაგებით კმაყოფილება შემცირებულია მომხმარებელთა შორის, მითუმეტეს, რომ შიდა ქართლში ხელმისაწვდომობის კუთხით 2015 წლის შემდეგ თითქმის არაფერი შეცვლილა, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის შემთხვევაში კი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.

ცხრილი #18 - ცენტრალური წყალმომარაგების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები

	ხელმისაწვდომობა			კმაყოფილება		
	2013	2015	2017	2013	2015	2017
თბილისი - N=400	99%	100%	99%	81%	92%	94%
აჭარა - N=300	64%	61%	55%	75%	80%	88%
გურია - N=300	32%	45%	27%	40%	67%	91%
იმერეთი - N=300	57%	51%	49%	44%	37%	52%
კახეთი - N=300	69%	67%	68%			
მცხეთა-მთიანეთი - N=300	49%	87%	76%	58%	66%	67%
ქვემო ქართლი - N=300	82%	73%	89%	56%	71%	73%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი - N=300	26%	18%	**47%**	78%	100%	**88%**
სამცხე-ჯავახეთი - N=300	45%	40%	57%	74%	73%	85%
სამეგრელო-ზემო სვანეთი - N=300	32%	53%	51%	90%	60%	87%
შიდა ქართლი - N=300	64%	65%	66%	62%	73%	**49%**
ჯამური - N=3400	68%	69%	**72%**	68%	72%	**80%**

მაღალმთიან დასახლებათა ჭრილში, ცენტრალურ წყალმომარაგებასთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ზრდის ტენდენცია შეინიშნება (2013 – 26%, 2015 – 32%, 2017 – 36%). იგივე შეიძლება ითქვას აღნიშნული სერვისით კმაყოფილების თვალსაზრისითაც (2013 – 43%, 2015 – 71%, 2017 – 70%). გენდერის ჭრილში თითქმის არანაირი განსხვავება არ ვლინდება. რაც შეეხება ზოგადად წყლით მომარაგებით კმაყოფილებას, აქ კვლევის ტალღების მიხედვით ზრდის ტენდენციაა და თუ 2013 წელს წყალმომარაგებით რესპონდენტთა 68% იყო კმაყოფილი, 2015 წელს მათმა რიცხვმა 72%, 2017 წელს კი - 80% შეადგინა.

კვლევამ აჩვენა, რომ ცენტრალური **საკანალიზაციო სისტემა** არის გამოკითხულ რესპონდენტთა დასახლებების ნახევარში და მათი უმრავლესობა სისტემის გამართულობაზე მიუთითებს კვლევის სამივე რაუნდის მიხედვით.

გრაფიკი #72 - არსებული საკანალიზაციო სისტემის ხელმისაწვდომობა, სისტემის გამართულობა - 2013-2015-2017 წლის მონაცემები



კვლევის თანახმად, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა უზრუნველყოფილია **ელექტროენერგიის** 24-საათიანი მიწოდებით (2013 – 94%, 2015 – 94%, 2017 – 98%). რეგიონებისა თუ დასახლების ტიპის მიხედვით, ამ თვალსაზრისით არსებითი განსხვავებები არ ვლინდება, რადგან რესპონდენტების უმრავლესობა ყველგან უზრუნველყოფილია 24-საათიანი ელექტრომომარაგებით. გამოკითხულთა უდიდესი რაოდენობა ასევე კმაყოფილია მიწოდებული ელექტროენერგიის ხარისხით (ძაბვით) როგორც ზამთარში (2013 - 92%, 2015 – 93%, 2017 -97%), ასევე დანარჩენ სეზონებზე (2013 – 95%, 2015 – 96%, 2017 – 98%).

გრაფიკი #73 - ელექტრომომარაგების ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები



კვლევის შედეგების თანახმად, დასახლებაში **გაზმომარაგების** ცენტრალურ სისტემასთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება: აღნიშნული სისტემის ხელმისაწვდომობას 2013 წელს რესპონდენტთა 69% აფიქსირებდა, 2015 წელს - 70%, 2017 წელს კი ამ მაჩვენებელმა 81% შეადგინა. ასევე, გაზმომარაგების ცენტრალური სისტემიდან გაზს კიდევ უფრო მეტი ოჯახი იღებს: თუ 2013 წელს სისტემიდან გაზის მიღების თაობაზე რესპონდენტთა 75% აცხადებდა, 2015 წელს ამ რიცხვმა 92%, 2017 წელს კი - 94% შეადგინა.

გაზმომარაგების ცენტრალური სისტემით **ქალაქები** თითქმის სრულადაა უზრუნველყოფილი (2013 – 89%, 2015 – 95%, 2017 – 97%), ხოლო **სოფლებში,** კვლევის ბოლო რაუნდის მიხედვით, გაზმომარაგების ცენტრალური სისტემის არსებობას ათიდან ექვსი რესპონდენტი ადასტურებს (2013 – 47%, 2015 – 42%, 2017 – 59%). იმ დასახლებათაგან, სადაც სისტემა ხელმისაწვდომია, ბოლო ორი რაუნდის მანძილზე, სერვისით სარგებლობის თვალსაზრისით, ვითარება არ შეცვლილა ქალაქებში (გაზი ცენტრალური სისტემიდან მიეწოდება რესპონდენტთა 95%-ს); სოფელში კი ზრდის ტენდენცია შეინიშნება - 2013 წელს ამ სერვისით რესპონდენტთა 49% სარგებლობდა, 2015 წელს - 84%, 2017 წელს კი - 91%.

რეგიონების შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა რეგიონში გაზრდილია სისტემის ხელმისაწვდომობა, გარდა რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთისა (2013 – 14%, 2015 – 10%, 2017 – 5%) და გურიისა (2013 – 53%, 2015 – 49%, 2017 – 38%). ასევე, რეგიონთა უმრავლესობაში გაზრდილია მათი წილი, ვინც გაზს ცენტრალური სისტემიდან იღებს. გაზმომარაგების ცენტრალური სისტემის ხელმისაწვდომობის ზრდის ტენდენცია შეინიშნება **მაღალმთიან დასახლებებშიც:** 2013 წელს 21%, 2015 წელს - 16%, 2017 წელს კი - 44% დაფიქსირდა. ამ ტიპის დასახლებებშიც, სადაც გაზმომარაგების ცენტრალური სისტემაა, რესპონდენტთა უმრავლესობა უშუალოდ სისტემიდან იღებს გაზს. გაზმომარაგებასთან დაკავშირებული სერვისით ზოგადი კმაყოფლების თვალსაზრისით კი მაჩვენებელი მაღალია კვლევის ყველა რაუნდისას (2013- 95%, 2015 – 98%, 2017 – 97%).

გრაფიკი #74 - ცენტრალური გაზსადენის სისტემის ხელმისაწვდომობა: ქვეყანა, სოფელი და მაღალმთიანი დასახლებები - 2013-2015-2017 წლების მონაცემები



კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დასახლებიდან/უბნიდან **ნარჩენების** ცენტრალიზებულად გატანის თვალსაზრისით ცვლილებების ტენდენცია პოზიტიურია: 2013 წელს ცენტრალიზებულად ნარჩენების გატანას რესპონდენტთა 59% აფიქსირებდა, 2015 წელს მათი რიცხვი 74%-მდე, 2017 წელს კი - 79%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება ზოგად კმაყოფილებას, ათიდან ცხრა რესპონდენტი იყო და არის კმაყოფილი აღნიშნული სერვისით (2013 – 86%, 2015 – 89%, 2017 – 90%).

კვლევის ყველა რაუნდის შედეგად, ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანაზე **ქალაქში** რესპონდენტთა 93%-ზე მეტი მიუთითებს, **სოფლის** შემთხვევაში კი, თუ 2013 წელს ამ სერვისის დასახლებაში არსებობაზე რესპონდენტთა 21% მიუთითებდა, 2015 წელს მათი რიცხვი 48%-მდე, 2017 წელს კი - 54%-მდე გაიზარდა. სერვისით კმაყოფილების თვალსაზრისით ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი სხვაობები არ ფიქსირდება, რადგან რესპონდენტთა უმრავლესობა დასახლების ორივე ტიპში კმაყოფილია მომსახურებით.

მართალია, ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის სერვისით უკმაყოფილოთა რიცხვი მცირეა, მაგრამ უკმაყოფილების მთავარ მიზეზად ნარჩენების გატანის რეგულარობა სახელდება. რაც შეეხება ნარჩენების გატანის საფასურს, რესპონდენტთა უმრავლესობისათვის, მომსახურების საფასური ხელმისაწვდომია (2013 – 69%, 2015 – 69%, 2017 – 71%).

გრაფიკი #75 - ნარჩენების ცენტრალიზებულად გატანის სისტემის ხელმისაწვდომობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები



კვლევის სამი რაუნდის შედეგების თანახმად, დასახლებაში/უბანში ქუჩების **დასუფთავების** თვალსაზრისით, რეალობა პოზიტიურად იცვლება. კერძოდ, თუ ქუჩების დასუფთავებაზე 2013 წელს ათიდან ოთხი რესპონდენტი მიანიშნებდა (40%), 2015 და 2017 წლებში მათი რიცხვი გაიზარდა (47%-52%). აღსანიშნავია, რომ ქუჩების დასუფთავების სერვისით, ძირითადად, **ქალაქის** მცხოვრებნი სარგებლობენ (2013 – 76%, 2015 – 84%, 2017 – 82%). **სოფელში** ქუჩების დასუფთავების სერვისის არარსებობაზე საუბრობდნენ რესპონდენტები 2013 წელს, თუმცა, რეალობა მცირედით შეიცვალა 2015 (6%) და 2017 (12%) წლებში.

კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა, ვინც იღებს აღნიშნულ მომსახურებას, აცხადებს, რომ ქუჩები ყოველდღიურად სუფთავდება (2013 – 79%, 2015 – 80%, 2017 – 79%). სერვისით ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით კი ტენდენცია მზარდია და თუ 2013 წელს დასუფთავების სერვისით კმაყოფილებას რესპონდენტთა 83% აფიქსირებდა, 2015 წელს ეს რიცხვი 87%-მდე, 2017 წელს კი - 92%-მდე გაიზარდა.

თვისებრივი კვლევის შედეგები - კომუნალური ინფრასტრუქტურა

აღსანიშნავია, რომ ქუთაისში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების მონაწილეები თავიანთ დასახლებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად **წყალმომარაგებას** ასახელებდნენ. როგორც მათ აღნიშნეს, მართალია, არის ცალკეული უბნები, სადაც 24-საათიანი წყალმომარგებაა უზრუნველყოფილი, თუმცა, ქალაქის დიდი ნაწილი წყალს შეზღუდვებით იღებს. დისკუსიის მონაწილეები აცხადებდნენ, რომ დანაპირები არ შესრულდა და სრულად წყალმომარაგება ქალაქს არ აქვს, მაგრამ, იქვე აღნიშნეს, რომ მათი ინფორმაციით, ამ მიმართულებით სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და მომავალი წლის ბოლოსთვის უკვე ქუთაისი სრულად იქნება უზრუნველყოფილი 24-საათიანი წყალმომარაგებით.

„გვპირდებიან, რომ იქნება წყალი მუდმივად, მაგრამ ჩემთან 4 საათი გვაქვს წყალი საღამოობით.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„გუშინწინ საერთოდ არ გვქონდა წყალი. მე მჯერა ამ მთავრობის და არ გავაკეთე ავზი, მაგრამ შევცდი.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„[პროექტის თანახმად] წყალი ჩაედინება ავზებში და იქიდან წყალი მოსახლეობაში წამოვა თვითდინებით, რაც ქალაქის 60%-თვის იქნება საკმარისი. [პროექტი] უნდა დამთავრებულიყო 2016 წელს; ავზს აშენებდა ესპანური კომპანია, ახლა შემოუშვეს სხვა და გვპირდებიან დასრულებას 2018 წლის სექტემბერ-ოქტომბრამდე.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„დროში გაიწელა, თორემ თანხაც გამოყოფილია და ქალაქის 24-საათიანი წყალმომარაგება უნდა იყოს ქუთაისში; იყო პროექტი ლეჩხუმიდან თვითდინებით წყლის წამოღებააზე.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

დისკუსიის მონაწილეებმა კომუნალური ინფრასტრუქტურის კონტექსტში გამოკვეთეს **დასუფთავებასთან** დაკავშირებული საკითხებიც. მართალია, აღინიშნა უკეთ მუშაობის შესაძლებლობაც, მაგრამ როგორც ქუთაისში, ასევე თბილისში ქუჩების დასუფთავებასთან დაკავშირებით შეფასებები უმეტესად პოზიტიური იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ პოზიტიურად შეფასდა ქუჩების დაბინძურებისთვის ამოქმედებული საჯარიმო რეგულაციებიც.

„არც იდელაური მდგომარეობაა, იდეალური არსად არ არის და არც საგანგაშოა.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„დილა-საღამოს სუფთავდება ქუჩები.“ [კაცი, საშუალომოსავლიანი, ქუთაისი]

„კონცერტები რომ სრულდება, გადაიხედავ და მალევე დასუფთავებულია.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ბოლო წლის განმავლობაში სისუფთავე უფრო დაფასდა, რაც ძალიან მომწონს. ჯარიმებიც მომწონს, თუნდაც ის 80-ლარიანი ჯარიმა სიგარეტის ნამწვავის გადაგდებისთვის.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

ორივე ქალაქში ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა საგანგებოდ აღნიშნეს გარევაჭრობა, როგორც პრობლემა. მართალია, აღინიშნა, რომ უმუშევრობა სერიზული პრობლემაა და გარემოვაჭრეებსაც რეგულაციების ამოქმედებით დის-

კომფორტი ექმნებათ, მაგრამ გარევაჭრობის აკრძალვა თბილისში ცალსახად დადებითად შეფასდა. აქვე აღინიშნა თავად მოქალაქეების პასუხისმგებლობის საკითხიც, რომელთაც არ უნდა ისარგებლონ გარემოვაჭრეთა სერვისით.

„დასუფთავება არის, მაგრამ მე უარყოფითად შევაფასებდი გარევაჭრობას. ის ჩვენს ქალაქში ძალიან შემაწუხებელია, რადგან ცენტრალურ ქუჩებზე ვერ გაივლი.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„თუ პრეტენზია გვაქვს იმის, რომ უნდა ვიყოთ ნატოს წევრი ქვეყანა, ინდოეთს არ უნდა გავდეს ქალაქი.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„მესმის, როცა შემოსავლის წყაროა, მაგრამ თვითონაც [გარემოვაჭრეები] არ უვლიან გარემოს.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„პრობლემა არის თვითონ ხალხის, რომ ჩვენ უნდა შევიდეთ დახურულ სივრცეში.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„გარემოვაჭრეები აღარ არიან ქუჩაში, აკრძალეს. სადაც მე ვცხოვრობ, იქ საშინელება იყო, ფეხით ვერ გაივლიდი.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„ქალაქი გასუფთავდა [გარევაჭრობის კარძალვის შედეგად].“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

5.6. საგზაო ინფრასტრუქტურა

მართალია, რესპონდენტთა დიდი ნაწილი დადებითად აფასებს როგორც უახლოეს ავტომაგისტრალს (89%), ასევე დასახლებასთან მისასვლელ გზებს (77%), თუმცა ასეთივე მაღალ შეფასებას არ აძლევს დასახლების შიგნით გადასაადგილებელ გზებს - რესპონდენტთა 44% აცხადებს, რომ დასახლების შიგნით გადასაადგილებელი გზები „ცუდია“.

კვლევისას გამოკითხულთა უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს როგორც საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირეს (81%), ასევე ამ ტიპის ტრანსპორტის ფასის ხელმისაწვდომობას (81%). საგზაო ნიშნებთან დაკავშირებით გამოკითხულთა 25% ამბობს, რომ საგზაო ნიშნები საერთოდ არ არის მათ დასახლებაში, 17% კი მათ ნეგატიურად აფასებს.

რესპონდენტთა 42% აცხადებს, რომ მათ დასახლებაში შუქნიშნები არაა, 12%-ის შეფასებით კი მათი მდგომარეობა „ცუდია“. რესპონდენტთა 38% ამბობს, რომ ქუჩებს ნუმერაცია არ აქვს, 13%-ის თქმით კი, დანომვრა „ცუდია“. აღსანიშნავია, რომ ქუჩების/დასახლების განათებას კვლევის რესპონდენტების უმრავლესობა პოზიტიურად აფასებს (76%).

ცხრილი #19 - საგზაო ნიშნების, სახლების ნუმერაციის, შუქნიშნების ფუნქციონირების და ქუჩის განათების მდგომარეობის შეფასება- 2017

	ცუდი	კარგი	არ არის
დასახლების შიგნით გადასაადგილებელი გზები	**43%**	57%	-
დასახლებასთან მისასვლელი გზები	23%	77%	-
უახლოესი ავტომაგისტრალი	10%	**89%**	1%
საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე	15%	81%	4%
საზოგადოებრივი ტრანსპორტის ფასის ხელმისაწვდომობა	18%	81%	1%
საგზაო ნიშნების საკმარისი რაოდენობა	17%	58%	25%
შუქნიშნების საჭირო რაოდენობა	12%	46%	**42%**
ქუჩების/დასახლების განათება	9%	76%	15%
ქუჩაზე სახლების ნუმერაცია	13%	49%	38%

ქალაქი/სოფლის ჭრილში აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა აზრით, დასახლების შიგნით გადასაადგილებელი გზები ქალაქში უმეტესად კარგია (73%), სოფელში კი - ცუდი (65%). სოფლებში აღნიშნავენ საგზაო ნიშნების (52%), ასევე, შუქნიშნების (85%) არასაკმარის რაოდენობას. აგრეთვე, კვლევის თანახმად, სოფლების 84%-ში არ არის ქუჩებზე სახლების ნუმერაცია. **რეგიონის** ჭრილში, *შიდა გზები* ყველაზე პოზიტიურად აჭარაში (60%), ყველაზე ნეგატიურად კი - გურიაში (77%) შეფასდა. *გარე გზები* ყველაზე მეტმა რესპონდენტმა პოზიტიურად შეაფასა თბილისში (86%), ნეგატიურად კი - რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში (41%). გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტმა თქვა, რომ *ავტომაგისტრალები* „კარგია“ შიდა ქართლში (99%), ხოლო გურიაში უმეტესობამ აღნიშნა, რომ „ცუდია“ (27%). საზოგადოებრივი ტრანსპორტი (87%) და მისი ღირებულება (96%) ყველაზე პოზიტიურად რესპონდენტებმა აჭარაში შეაფასეს.

ცხრილი #20 - ინფრასტრუქტურის (შიდა გზები, გარე გზები, ავტომაგისტრალი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტრანსპორტის ღირებულება) შეფასება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები

	შიდა გზები			**გარე გზები**			**ავტომაგისტრ.**			**საზოგადოებრ. ტრასპორტი**			**ტრანსპორტის ღირებულება**		
	ცუდი	**კარგი**	**არ არის**	**ცუდი**	**კარგი**	**არ არის**	**ცუდი**	**კარგი**	**არ არის**	**ცუდი**	**კარგი**	**არ არის**	**ცუდი**	**კარგი**	**არ არის**
თბილისი - N=400	19%	81%	0%	14%	**86%**	0%	6%	94%	0%	18%	82%	0%	33%	66%	1%
აჭარა - N=300	40%	**60%**	0%	26%	74%	0%	15%	85%	0%	10%	**87%**	3%	4%	**96%**	0%
გურია - N=300	**77%**	23%	0%	35%	65%	0%	**27%**	54%	19%	16%	68%	16%	19%	80%	0%
იმერეთი - N=300	49%	51%	0%	30%	70%	0%	4%	96%	0%	17%	82%	1%	7%	93%	0%
კახეთი - N=300	69%	31%	0%	28%	72%	0%	14%	86%	0%	13%	84%	3%	17%	82%	1%
მცხეთა-მთიანეთი - N=300	60%	40%	0%	22%	78%	0%	10%	90%	0%	17%	72%	11%	31%	63%	6%
ქვემო ქართლი - N=300	49%	51%	0%	24%	76%	0%	4%	96%	0%	18%	79%	3%	12%	86%	2%
რაჭა-ლეჩხუმი/ ქვემო სვანეთი - N=300	61%	39%	0%	**41%**	59%	0%	9%	91%	0%	**30%**	46%	**24%**	30%	65%	5%
სამცხე-ჯავახეთი - N=300	60%	39%	1%	36%	64%	0%	18%	69%	13%	26%	60%	13%	21%	75%	5%
სამეგრელო-ზემო სვანეთი -N=300	42%	58%	0%	32%	68%	0%	20%	80%	0%	12%	76%	13%	3%	**96%**	1%
შიდა ქართლი - N=300	68%	32%	0%	11%	88%	0%	1%	**99%**	0%	5%	93%	2%	9%	91%	1%
ჯამური - N=3400	43%	56%	0%	23%	77%	0%	10%	89%	1%	15%	81%	4%	18%	81%	1%

საგზაო ნიშნების არარსებობაზე ყველაზე მეტი რესპონდენტი რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის (57%) რეგიონში ჩივის, ყველაზე პოზიტიურ შეფასებას კი თბილისში (82%) აძლევენ. გურიაში რესპონდენტთა 99% აცხადებს, რომ შუქნიშნები საერთოდ არ არის. განათების არარსებობაზე ყველაზე მეტმა რესპონდენტმა რაჭა-ლეჩხუმი/ ქვემო სვანეთის (32%) რეგიონში მიუთითა. რაც შეეხება სახლების ნუმერაციას, რესპონდენტთა 87%-ის თქმით, გურიაში ის არ არსებობს, თბილისში კი ამ მხრივ ვითარება პოზიტიურადაა შეფასებული (86%).

ცხრილი #21 - ინფრასტრუქტურის (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, განათება, სახლების ნუმერაცია) შეფასება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები

	საგზაო ნიშნები			შუქნიშნები			განათება			სახლების ნუმერაცია		
	ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის	ცუდი	კარგი	არ არის
თბილისი - N=400	18%	**82%**	0%	15%	**85%**	0%	5%	**95%**	0%	13%	**86%**	2%
აჭარა - N=300	9%	45%	46%	11%	37%	52%	10%	63%	27%	4%	56%	40%
გურია - N=300	7%	62%	31%	0%	1%	**99%**	15%	52%	33%	7%	6%	**87%**
იმერეთი - N=300	19%	38%	43%	16%	27%	57%	11%	59%	30%	15%	36%	49%
კახეთი - N=300	16%	56%	28%	2%	18%	80%	4%	79%	16%	3%	21%	76%
მცხეთა-მთიანეთი - N=300	19%	29%	52%	10%	2%	88%	15%	70%	15%	12%	28%	60%
ქვემო ქართლი - N=300	13%	47%	40%	**19%**	38%	43%	12%	67%	22%	18%	38%	44%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი - N=300	11%	32%	**57%**	1%	2%	98%	9%	58%	**32%**	4%	13%	83%
სამცხე-ჯავახეთი - N=300	21%	37%	43%	6%	18%	76%	**19%**	72%	10%	10%	35%	55%
სამეგრელო-ზემო სვანეთი -N=300	16%	71%	14%	12%	46%	42%	12%	67%	22%	**34%**	26%	40%
შიდა ქართლი - N=300	**28%**	46%	26%	1%	35%	64%	14%	82%	4%	3%	38%	59%
ჯამური - N=3400	17%	58%	25%	12%	46%	42%	9%	76%	15%	13%	49%	38%

მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სერვისის ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. კერძოდ, ამ ტიპის დასახლებებში არ არის სახლების ნუმერაცია (88%), შუქნიშნები (95%), საგზაო ნიშნები (79%). შიდა გზებზე რესპონდენტთა უმრავლესობა (67%) ამბობს, რომ „ცუდია“, თუმცა, ავტომაგისტრალს (73%), საზოგადოებრივ ტრანსპორტსა (62%) და მის ღირებულებას (75%) გამოკითხულთა უმეტესობა პოზიტიურად აფასებს.

ცხრილი #22 - ინფრასტრუქტურის (შიდა გზები, გარე გზები, ავტომაგისტრალი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ტრანსპორტის ღირებულება, საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, განათება, სახლების ნუმერაცია) შეფასება მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში - 2017 წლის მონაცემები

	მაღალმთიანი რეგიონი		
	ცუდია	კარგია	არ არის
შიდა გზები	**67%**	33%	0%
გარე გზები	47%	53%	0%
ავტომაგისტრალი	24%	**73%**	3%
საზოგადოებრივი ტრანსპორტი	27%	**62%**	10%
ტრანსპორტის ღირებულება	21%	**75%**	4%
საგზაო ნიშნები	6%	15%	**79%**
შუქნიშნები	3%	2%	**95%**
განათება	18%	48%	34%
სახლების ნუმერაცია	6%	6%	**88%**

წლების მიხედვით კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით რეალობა პოზიტიურად იცვლება. კერძოდ, თუ საგზაო ნიშნების, შუქნიშნების, განათებისა და სახლების ნუმერაციის არარსებობის მაჩვენებელი 2013-ში ყველაზე მაღალი იყო, 2017 წლისთვის ყველა მაჩვენებელი შემცირებულია. ასევე, კვლევის ბოლო რაუნდისთვის საუკეთესოა შეფასებები შიდა გზების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და მისი ღირებულების, ასევე შუქნიშნების, განათებისა და სახლების ნუმერაციის თვალსაზრისით.

ცხრილი #23 - საგზაო ინფრასტრუქტურა - 2013-2015-2017 წლების მონაცემები

	2013			2015			2017		
	სრული	**ნაწილი**	**არსებული არ**	**სრული**	**ნაწილი**	**არსებული არ**	**სრული**	**ნაწილი**	**არსებული არ**
შიდა გზები	53%	47%	-	46%	54%	-	43%	**57%**	-
გარე გზები	28%	73%	-	19%	**80%**	-	23%	77%	-
ავტომაგისტრალები	8%	88%	4%	6%	**92%**	1%	10%	89%	1%
საზოგადოებრივი ტრასპორტი	22%	73%	6%	12%	82%	6%	15%	**87%**	4%
ტრანსპორტის ღირებულება	32%	66%	2%	20%	79%	1%	18%	**81%**	1%
საგზაო ნიშნები	14%	65%	**33%**	18%	64%	17%	17%	58%	25%
შუქნიშნები	11%	39%	**49%**	11%	41%	48%	12%	**46%**	42%
განათება	12%	62%	**26%**	11%	66%	22%	9%	**76%**	15%
სახლების ნუმერაცია	20%	42%	**38%**	14%	46%	39%	13%	**49%**	37%

თვისებრივი კვლევის შედეგები - საგზაო ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურასთან მიმართებით ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა რამდენიმე საკითხი გამოყვეს: გზების მდგომარეობა, პარკირება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, შუქნიშნები, სახლების ნუმერაცია.

გზების მდგომარეობასთან დაკავშირებით დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ მიმდინარეობს სამუშაო პროცესი და ამ ფაქტს პოზიტიურად აფასებდნენ. თუმცა, აქვე ითქვა, რომ პროცესი არათანმიმდევრულია და ეს არ არის მოსაწონი. ასევე გამოიკვეთა გზებზე თეთრი ხაზებისა და ქვეითთა გადასასვლელის (ე.წ. „ზებრა“) მონიშვნასთან, აგრეთვე, გაუმართავ მარეგულირებელ ნიშნებთან დაკავშირებული პრობლემები. ქვეითთა გადასასვლელებზე ისიც ითქვა, რომ აუცილებელია ქალაქში მათი რაოდენობის გაზრდა, რადგან არსებული გადასასვლელი ხიდებით ყველას არ შეუძლია სარგებლობა, მიწისქვეშა გადასასვლელები კი ყველგან მოწესრიგებული არ არის.

„გზას გადათხრიან, გააკეთებენ; ისევ გადათხრიან, ისევ გააკეთებენ. მაგალითად, გაიყვანეს წყლის მილები და გამართეს გზა, მერე აღმოჩნდება, რომ დაავიწყდათ რაღაცის ჩამატება და მეორედ გათხრიან... უკვე აგვერია სათვალავი, როდის რა მილებს ყრიან.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ღერძულა ხაზები არის წაშლილი, არ ჩანს.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„არ არის ბევრგან დახაზული. ვერ გაიგებ, რომელი არის შენი მხარე და რომელი არა.“[კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„გზებზე რომ არის სიჩქარის შემზღუდავი ნიშნები, ისინი ზიანდება პერიოდულად და არ ხდება მათი გამოცვლა; თუნდაც ე.წ.“ბუგაროკების“ (სიჩქარის შემანელებელი ბორცვები) შეკეთება. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა ქუჩებზე, სადაც ბავშვები მოძრაობენ.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„ე.წ. „ზებრა“ გადასასვლელები ცოტაა ქალაქში, უფრო მეტი უნდა იყოს, რომ ხალხმა იმოძრაოს; გადარბიან ქუჩაზე.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

სახლების **ნუმერაციის** პრობლემაზე ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ქუთაისში გაამახვილეს ყურადღება, სადაც აღინიშნა, რომ ქალაქის ბევრ უბანში ეს საკითხი სრულიად მოუგვარებელია.

„ჩვენი ძველი უბანია და კომუნისტების დროს რომ დაწერეს ნომრები, მას მერე არ შეცვლილა.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]
„არის ისეთი უბანიც, ნუმერაცია რომ არ აქვს საერთოდ...“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

საგზაო ინფრასტრუქტურის კონტექსტში ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად თბილისში **პარკირების** საკითხი აღინიშნა. როგორც დისკუსიის მონაწილეები ამბობდნენ, ამ თვალსაზრისით პრობლემაა როგორც ავტომობილების დიდი რაოდენობა ქალაქში, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის, პირველ რიგში სამარშრუტო ტაქსების არაკონტროლირებადი მოძრაობა, ასევე ქვეითთა სავალი ნაწილების მანქანის გასაჩერებლად გამოყენება, ველობილიკების არარსებობა. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს კონკრეტული წინადადებები ჰქონდათ პრობლემების მოსაგვარებლად. კერძოდ, საუბარი შეეხო გარკვეული შეზღუდვების დაწესებას და ქალაქში ავტომობილების მონაცვლეობით გადაადგილებას; ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაიაფებას. თუმცა, აქვე ისიც ითქვა, რომ კულტურული თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ სტრატეგიებმა შესაძლებელია არ გაამართლოს.

„გზებზე კიდევ რომ არ არის პარკირების საშუალება, სავალ გზებზე იმდენი მანქანაა ჩამწკრივებული, მოძრაობის საშუალება არ არის. მივესალმები, თუ მთავრობა ჯარიმას შემოიღებს, რომ ტროტუარზე მანქანა არ ეყენოს.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]
„ველოსიპედით დავდივარ სამსახურში და საშინელებაა გზები. ძალიან დიდი ხანია ამბობენ ველოტრასების გკეთებაზე, მაგრამ არ არის.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]
„ჩემი აზრით, საცობებთან დაკავშირებით, კარგი იქნება შემდეგი პრინციპის ამუშავება: მანქანები კენტი ნომრით ერთ დღეს ივლიან, ლუწი ნომრით კი - მეორე დღეს. ეს განტვირთავდა გზას.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]
„მე მახსოვს ბალტიისპირეთის რომელიღაც ქვეყანაში ქალაქის ერთ-ერთმა მერმა არჩევნებში იმით გაიმარჯვა, რომ ჰქონდა საცობების განტვირთვის პროგრამა. ზუსტად არ მახსოვს სრულიად უფასო გახადა მუნიციპალური ტრანსპორტი თუ ძალიან დაბალი ფასი ჰქონდა, მაგრამ ამან იმუშავა, რომ ხალხს ევლო სამსახურში ავტობუსით. ვფიქრობ, ამგვარი პრინციპი შეიძლება შეიმუშაოს მერიამ აქაც... იქნებ მოეწონოთ მძღოლებს და არ იარონ საკუთარი ავტომობილებით.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]
„ეს იდეალური იქნებოდა, მაგრამ უნდა გაითვალისწინონ ქართული მენტალიტეტი. პურზე დადიან მანქანით...“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

კიდევ ერთი საკითხი თბილისში საგზაო ინფრასტრუქტურის ფარგლებში, რომელზეც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, **შუქნიშნებია**. აქ ხაზი გაესვა ე.წ. „ციფრებიანი შუქნიშნების“ უპირატესობას.

„[ციფრებიანი შუქნიშანი] კარგი იყო, რადგან უყურებ, რომ 2 წუთში უნდა ჩაქრეს ან აინთოს და გიჟივით აღარ გარბიხარ.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]
„ყვითელი ციმციმა არარეკომენდებულია; უნდა არსებობდეს მწვანე და წითელი. ყვითელი არის კომუნისტების გადმონაშთი.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით ფოკუს ჯგუფის მონაწილეები თბილისში პოზიტიურად აფასებდნენ ახალი ავტობუსების შემოყვანას. როგორც დისკუსიისას აღინიშნა, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებებია განსახორციელებელი, რათა ქალაქში მოძრაობა განიტვირთოს და უფრო კომფორტული გახდეს. ერთ-ერთი შემოთავაზების თანახმად, თბილისში აუცილებელია ტრამვაის ხაზის აღდგენა, მიუხედავად პროექტის მაღალი ღი-

რებულებისა, და სამარშრუტო ავტობუსების რაოდენობის შემცირება. აქვე აღინიშნა ისიც, რომ მართალია, ახალი ავტობუსების შემოყვანა ცალსახად დადებითი მოვლენაა, მაგრამ თავად ინფრასტრუქტურა მას მომზადებული არ ხვდება, რაც განსაკუთრებით შეინიშნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში, რომელთათვისაც თავად ავტობუსის სერვისით სარგებლობა უკვე შესაძლებელია, მაგრამ გაჩერებები ადაპტირებული არ არის. საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით ქუთაისში აღინიშნა, რომ პრობლემაა გაჩერებების სიმწირე. ასევე გამოითქვა სურვილი, რომ ქალაქში ორგანიზებული იყოს საინფორმაციო დაფებიანი, გამართული გაჩერებები („გაჩერებაზე გამოდიხარ, ვერ გაიგებ, სად არის გაჩერება. ხომ შეიძლება მოსაცდელი იყოს, წვიმის დროს რომ დაელოდო?!).

„თუ თბილისი გვინდა მოწესრიგდეს, ელექტროტრანსპორტს დავამატებდი, შევამცირებდი სამარშრუტოებს. ტრამვაი ივლის უსაფრთხოდ, იქნება ეკოლოგიურად სუფთა.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„მნიშვნელოვანი იყო ახალი ავტობუსების შემოყვანა. მგზავრობისას, სულ რაღაც 15 წუთის განმავლობაში მაინც ვგრძნობ, რომ ევროპაში ვარ; ძალიან კომფორტულია, მაგრამ რომ გადმოხვალ, განსხვავებულ რეალობას ეჯახები... თუნდაც ეტლით მოსიარულესთვის, შშმ პირებისთვის გარემო არ არის ადაპტირებული...“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„სანამ ახალი ავტობუსები შემოვიდოდა, მანამდე უნდა მოწესრიგებულიყო გზა, არათანმიმდევრული მუშაობაა.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

5.7. სხვადასხვა მომსახურება

5.7.1. დასახლებების დაგეგმარება

კვლევის ფარგლებში ურბანული დაგეგმარებით, მშენებლობის რეგულაციითა და კეთილმოწყობით კმაყოფილებას მხოლოდ ქალაქის მაცხოვრებლები გამოხატავენ. როგორც კვლევამ აჩვენა, ქალაქის მაცხოვრებელი რესპონდენტები, ძირითადად, კმაყოფილნი არიან თავიანთი ქალაქების როგორც დაგეგმარებით, ასევე მშენებლობითა და კეთილმოწყობით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ კმაყოფილების მაჩვენებელი სხვა ქალაქებში უფრო მაღალია, ვიდრე თბილისში. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ სამივე კომპონენტით უკმაყოფილოთა რიცხვიც საკმაოდ მაღალია (ათიდან სამი-ოთხი ქალაქში მაცხოვრებელი).

გრაფიკი #76 - ქალაქის ურბანული დაგეგმარებით, მშენებლობით, კეთილმოწყობით კმაყოფილება თბილისი/სხვა ქალაქების ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.7.2. ტურიზმი

კვლევის რესპონდენტების 49% აცხადებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში ტურიზმი განვითარებულია. ამ უკანასკნელთა თითქმის ნახევარი მათ მუნიციპალიტეტში ბევრი ვიზიტორის შესახებ საუბრობს, ხოლო 47%-ის თქმით, მათ მუნიციპალიტეტში/რეგიონში ჩასული ტურისტების რაოდენობა საკმაოდაა. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ყოველწლიურად ჩასული ტურისტების ნაკადის მისაღებად მათ მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად (54%) ან სრულად (30%) გამართულია, ზაფხული კი არის სეზონი, როდესაც ტურისტების ყველაზე დიდი ნაკადი შეიმჩნევა (65%).

გრაფიკი #77 - ტურიზმის განვითარება/აქტუალურობა მუნიციპალიტეტში/რეგიონში, ტურისტების რაოდენობა, ინფრასტრუქტურის შეფასება - 2017 წლის მონაცემები



კვლევის შედეგები მოწმობს, რომ ტურიზმი უმეტესად განვითარებულია დედაქალაქში (79%) და ნაკლებად სხვა **ქალაქებსა** (43%) თუ **სოფლებში** (32%). **რეგიონის** ჭრილში, გარდა დედაქალაქისა, ტურიზმის განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია აჭარაში (69%), ყველაზე დაბალი კი - ქვემო ქართლში (6%). რესპონდენტთა თქმით, ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად გამართულია ტურისტების არსებული ნაკადის მისაღებად. რაც შეეხება სეზონებს, ყველა რეგიონისათვის, გარდა მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლისა, ყველაზე პოპულარული ტურისტული სეზონი ქვეყანაში ზაფხულია. აღნიშნულ ორ რეგიონს კი ტურისტები მთელი წლის განმავლობაში ინტენსიურად სტუმრობენ (48% - 47%).

ცხრილი #24 - ტურიზმის განვითარება/აქტუალურობა მუნიციპალიტეტში/რეგიონში, ინფრასტრუქტურის შეფასება, სეზონი - 2017 წლის მონაცემები

	ტურიზმი	ინფრასტრუქტურა			სეზონი				
	დიახ	მაღალმთიანი სრულიად გამართულია	მეტ-ნაკლებად გამართულია	მაღალმთიანი სრულიად გამართულია	ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული	ადგილობრივი	
თბილისი - N=400	**79%**	7%	48%	31%	0%	5%	3%	**50%**	34%
აჭარა - N=300	**69%**	6%	39%	51%	0%	5%	1%	**88%**	6%
გურია - N=300	23%	9%	**89%**	1%	0%	0%	3%	**97%**	0%
იმერეთი - N=300	31%	8%	55%	30%	1%	1%	7%	**82%**	5%
კახეთი - N=300	47%	4%	**90%**	4%	3%	0%	4%	**77%**	13%
მცხეთა-მთიანეთი - N=300	48%	8%	35%	43%	2%	2%	2%	**42%**	**48%**
ქვემო ქართლი - N=300	5%	7%	46%	26%	0%	0%	0%	**86%**	10%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი - N=300	54%	14%	55%	26%	0%	0%	4%	**93%**	0%
სამცხე-ჯავახეთი - N=300	41%	9%	54%	25%	0%	13%	3%	**73%**	9%
სამეგრელო-ზემო სვანეთი -N=300	49%	4%	66%	26%	0%	0%	2%	**91%**	6%
შიდა ქართლი - N=300	23%	0%	60%	36%	1%	0%	10%	**35%**	**47%**
ჯამური - N=3400	49%	7%	54%	30%	1%	4%	3%	**65%**	22%

მაღალმთიანი დასახლებების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის დასახლებაში გამოკითხულ რესპონდენტთა 26%-ის თქმით, მათ მუნიციპალიტეტში ტურიზმი განვითარებულია და მათბევრი(21%)ანსაკმარისი(45%)რაოდენობით ტურისტი სტუმრობს. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით მაღალმთიან დასახლებებში უმეტესად აღინიშნა, რომ ის მეტ-ნაკლებად (52%) ან სრულად (21%) გამართულია. აქვე ისიც საინტერესოა, რომ ათიდან ორი რესპონდენტის თქმით, ინფრასტრუქტურა სრულიად გაუმართავია (20%). სეზონის თვალსაზრისით, ამ ტიპის დასახლებებისთვისაც ზაფხული ყველაზე პოპულარული სეზონია (68%), თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მაღალმთიანი დასახლებებისთვის ტურისტთა ვიზიტების ინტენსივობა 11%-ია მთელი წლის განმავლობაში, ზამთარში კი ტურისტების სტუმრობაზე რესპონდენტთა 15% მიანიშნებს. **გენდერის** ჭრილში კი აღსანიშნავია, რომ საკუთარ მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაზე მეტი კაცი მიანიშნებს (51%), ვიდრე ქალი (47%). რაც შეეხება ინფრასტრუქტურის გამართულობას, მათგან, ვინც საკუთარ მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაზე მიანიშნებს, ტურისტების არსებული ნაკადების მისაღებად ინფრასტრუქტურას აბსოლუტურად გამართულად ქალების 32% და კაცების 28% მიიჩნევს.

გრაფიკი #78 - ტურიზმის განვითარება/აქტუალურობა მუნიციპალიტეტში/რეგიონში, ინფრასტრუქტურის შეფასება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.7.3. სოფლის მეურნეობა

კვლევის შედეგების თანახმად, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობას მათი მუნიციპალიტეტისთვის რესპონდენტთა 55% აღნიშნავს. რაც შეეხება ამ სფეროს ხელშეწყობას სახელმწიფოს მხრიდან მათ მუნიციპალიტეტებში, რესპონდენტთა თითქმის თანაბარმა რაოდენობამ აღნიშნა ხელშეწყობის არსებობისა (26%) და არარსებობის (30%) შესახებ. სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებისთვის გამოკითხულთა უმრავლესობა არანაირი სახელმწიფო დახმარებით არ სარგებლობს (73%). 23%-ის თქმით, მათ ხელი მიუწვდებოდათ ვაუჩერებზე, რომლებიც მიწის დამუშავებისა და ტექნიკისთვის იყო განკუთვნილი, 10%-მა კი ისარგებლა სასუქების/პესტიციდებისთვის განკუთვნილი დახმარებებით. აღნიშულ დახმარებათა მიმართ რესპონდენტთა განწყობა პოზიტიურია.

როგორც მოსალოდნელი იყო, სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად საკუთარი მუნიციპალიტეტისთვის **სოფელში** გაცილებით მეტმა რესპონდენტმა დაასახელა (91%), ვიდრე სხვა ქალაქებში (49%) და, მითუმეტეს, თბილისში (10%). რაც შეეხება სახელმწიფოს მხრიდან სფეროს ხელშეწყობას: სოფელში რესპონდენტთა 44%-მა თქვა, რომ მათ მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას, ხოლო 39% უარყოფს სახელმწიფოს ხელშეწყობას. გამოკითხული მოსახლეობის 48% სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებისთვის არანაირი სახელმწიფო დახმარებით არ სარგებლობს. თუმცა, სოფლად მაღალია მიწის დამუშავებისა და ტექნიკისთვის განკუთვნილ ვაუჩერებზე ხელმისაწვდომობა (44%). აგრეთვე, სოფელში რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ხელმისაწვდომია სასუქები/პესტიციდები (19%) და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ქირაობა (13%).

გრაფიკი #79 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა, სფეროს ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



თუ არ ჩავთვლით თბილისს, რომლისთვისაც სოფლის მეურნეობა არაპრიორიტეტული სფეროა, **რეგიონების** ჭრილში სოფლის მეურნეობა ყველაზე მეტად პრიორიტეტული აღმოჩნდა კახეთისთვის (92%), ყველაზე ნაკლებად კი - აჭარის რეგიონისთვის (54%). სახელმწიფოს მხრიდან სფეროს ხელშეწყობა ყველაზე მეტად აღინიშნა შიდა ქართლსა (55%) და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში (55%), ყველაზე ნაკლებად კი - კახეთში (14%).

გრაფიკი #80 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა, სფეროს ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



მაღალმთიან დასახლებებში ათიდან ცხრა გამოკითხულმა დაასახელა სოფლის მეურნეობა მათი მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულად (90%). მათგან 38% აცხადებს, რომ სფეროს სახელმწიფო ხელს უწყობს, 53% კი - საპირისპირო მოსაზრებას იზიარებს. **გენდერის** ჭრილში კი კვლევამ უჩვენა, რომ სოფლის მეურნეობას საკუთარი მუნიციპალიტეტისთვის თანაბრად პრიორიტეტულად მიიჩნევენ ქალები და კაცები (55%-55%). არც სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული სფეროს ხელშეწყობის მიმართ ფიქსირდება არსებითი განსხვავებები (ქალი - 25%, კაცი - 27%).

გრაფიკი #81 - სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა, სფეროს ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



სოფლის მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებისთვის სახელმწიფო დახმარებებით სარგებლობის თვალსაზრისით არც რეგიონის და არც მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში არსებითი განსხვავებები არ ფიქსირდება, რადგან ამ შემთხვევაშიც, უმეტესად, რესპონდენტებს არ უსარგებლიათ არანაირი დახმარებით. ხოლო იმ დახმარებებს შორის, რომლითაც ისარგებლეს, ყველაზე ხშირად მიწის დამუშავებისა და ტექნიკისთვის განკუთვნილი ვაუჩერებისა და სასუქებზე/პესტიციდებზე ხელმისაწვდომობა სახელდება. ასევე აღსანიშნავია, რომ დახმარებებით რესპონდენტები, უმეტესად, კმაყოფილნი არიან.

5.7.4. საირიგაციო სისტემა

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 7%-ს აქვს წვდომა ცენტრალურ საირიგაციო სისტემაზე, 26%-ს კი აღნიშნული სერვისი არ სჭირდება. მათი უმრავლესობის თქმით, ვისაც საირიგაციო სისტემაზე ხელი მიუწვდება, ეს სისტემა გამართულია (74%). რაც შეეხება საფასურს, გამოკითხულთა 72% აღნიშნავს, რომ საირიგაციო სისტემით სარგებლობის საფასური მისაღებია. როგორც მოსალოდნელი იყო, საირიგაციო სისტემა უმეტესად სოფლებშია (13%), სადაც მის გამართულ მუშაობაზე რესპოდენტთა 85% მიანიშნებს, მათი 95% კი - ცენტრალური საირიგაციო სისტემის ფუნქციონირების საფასურს მისაღებად მიიჩნევს.

გრაფიკი #82 - საირიგაციო სისტემის ხელმისაწვდომობა, გამართულობა, სერვისის საფასურის შეფასება - 2017 წლის მონაცემები



5.7.5. უფასო იურიდიული დახმარება

კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა თითქმის იდენტური რაოდენობა აცხადებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია (27%) და არ არის ხელმისაწვდომი (26%). გამოკითხულთა უმრავლესობას კი თავად ან მათი ოჯახის რომელიმე წევრს აღნიშნული სერვისით არ უსარგებლია (92%).

გრაფიკი #83 - უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა, სერვისით სარგებლობა - 2017 წლის მონაცემები



ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ უჩვენა, რომ უფასო იურიდიული დახმარების სერვისის ხელმისაწდვომობას თბილისში რესპონდენტთა 38%, სხვა ქალაქებში - 28%, სოფლებში კი - 18% აფიქსირებს. ამგვარი სერვისის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს რესპონდენტთა იდენტური რაოდენობა როგორც ქალაქებში (48%), ასევე სოფლებში (48%). მათი რიცხვი კი, ვინც არ იცის უფასო იურიდიული დახმარების სერვისის ხელმისაწვდომობის შესახებ თბილისში 44%-ია. **რეგიონების** ჭრილში, აღნიშნულ სერვისზე ყველაზე მაღალი ხელმისაწვდომობა ფიქსირდება შიდა ქართლში (55%). **მაღალმთიან დასახლებებში** უფასო იურიდიული დახმარების სერვისის ხელმისაწვდომობაზე გამოკითხულთა 10% მიანიშნებს. რაც შეეხება **გენდერის** ჭრილს, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა იმ 7%-დან, ვინც ისარგებლა უფასო იურიდიული დახმარებით, მეტი ქალია (68%), ვიდრე კაცი (32%). ყველა ჭრილის გათვალისწინებით, რესპონდენტთა უმრავლესობას არ უსარგებლია აღნიშნული სერვისით. თუმცა, მათგან, ვინც მიმართა უფასო იურიდიული დახმარების სერვისს, უმრავლესობა კმაყოფილია როგორც მომსახურების ოპერატიულობით, ასევე პერსონალის კვალიფიკაციით.

5.7.6. სხვადასხვა საჯარო მომსახურება

კვლევის ფარგლებში შეფასდა, თუ რომელი საჯარო მომსახურებით ისარგებლეს რესპონდენტებმა ბოლო ორი წლის მანძილზე. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა უმრავლესობას წინასწარ ჩამოწერილი სიიდან, არც ერთი საჯარო სერვისით არ უსარგებლია (64%). თუმცა იმ სერვისებიდან, რომლითაც რესპონდენტებმა ისარგებლეს, ყველაზე მაღალია პირადობის მოწმობა/ბიომეტრიული პასპორტის აღების სერვისით სარგებლობა (25%).

გრაფიკი #84 - სხვადასხვა საჯარო მომსახურებით სარგებლობა - 2017 წლის მონაცემები



კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ საჯარო მომსახურებებით მოსარგებლე პირები არ უჩივიან არც საჭირო საბუთისა თუ მონაცემების დროულად მიღებას და არც შესაბამისი დაწესებულებების ადგილმდებარეობებს. ზოგადად, რესპონდენტები კმაყოფილები არიან მიღებული მომსახურებით. სხვადასხვა მომსახურებისთვის დაწესებული საფასური კი, გამოკვეთილი ტენდენციის თანახმად, რესპონდენტთა უმრავლესობისათვის მისაღებია. **გენდერის** ჭრილში კი აღმოჩნდა, რომ პირადობის მოწმობა/ბიომეტრიული პასპორტი მეტმა კაცმა აიღო (27%), ვიდრე ქალმა (23%).

გრაფიკი #85 - სხვადასხვა საჯარო მომსახურებით სარგებლობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



კვლევამ აჩვენა, რომ საჯარო ტენდერებში, აუქციონებსა და შესყიდვებში გამოკითხულთაგან მხოლოდ 10 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა და ამ მონაცემის პროცენტული განაწილების გაანალიზება მიზანშეწონილი არ არის.

5.7.7. უსაფრთხოება

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, მათ დასახლებებში უსაფრთხოება დაცულია (77%). მოსახლეობა **სოფლად** ბევრად უფრო დაცულად გრძნობს თავს (91%), ვიდრე თბილისსა (54%) ან სხვა ქალაქებში (77%). **რეგიონების** მიხედვით, ყველაზე დაცულად თავს რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის მოსახლეობა მიიჩნევს (94%). დაცულად გრძნობს თავს **მაღალმთიან დასახლებებში** გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობაც (87%). **გენდერის** ჭრილში კი, კაცები უფრო გრძნობენ თავს უსაფრთხოდ (77%), ვიდრე ქალები (69%).

გრაფიკი #86 - უსაფრთხოების განცდა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



კვლევამ გამოავლინა, რომ მოსახლეობა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პრობლემად ალკოჰოლის მოხმარებას მიიჩნევს (29%). კვლევის რესპონდენტთა უმრავლესობას არ მიაჩნია, რომ ნარკოტიკების მოხმარება, წვრილმანი ხულიგნობა, განქორწინება და ოჯახური ძალადობა პრობლემურია მათ დასახლებებში.

ცხრილი #25 - დასახლებაში გავრცელებული პრობლემები - 2017 წლის მონაცემები

	არ არის გავრცელებული	გავრცელებულია	არ ვიცი
ძარცვა/ყაჩაღობა	85%	9%	6%
ნარკოტიკების მოხმარება	75%	13%	12%
ალკოჰოლის მოხმარება	66%	29%	5%
წვრილმანი ხულიგნობა	78%	13%	9%
ოჯახური ძალადობა	67%	10%	24%
განქორწინება	63%	16%	21%

გენდერის ჭრილში აღსანიშნავია, რომ ოჯახური ძალადობა და განქორწინება მათ დასახლებებში ოდნავ მეტ ქალს (12%) ჰგონია პრობლემა, ვიდრე კაცს (7%). განქორწინებას კი პრობლემად ასახელებს ქალების 20% და კაცების 13%. რაც შეეხება ყველაზე მთავარ პრობლემას - ალკოჰოლის მოხმარებას, კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნულს პრობლემად უფრო თბილისსა (58%) და სხვა ქალაქებში (27%) აღიქვამენ, ვიდრე სოფელში (11%). რეგიონების მიხედვით, ალკოჰოლს, როგორც პრობლემას ყველაზე ხშირად, გარდა დედაქალაქისა, ასახელებენ მცხეთა-მთიანეთში (47%).

ცხრილი #26 - ალკოჰოლიზმის გავრცელება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები

	თითქმის არ არის გავრცელებული	გავრცელებულია
თბილისი (N=400)	34%	**58%**
აჭარა (N=300)	88%	9%
გურია (N=300)	90%	7%
იმერეთი (N=300)	86%	13%
კახეთი (N=300)	69%	29%
მცხეთა-მთიანეთი (N=300)	49%	**47%**
ქვემო ქართლი (N=300)	66%	27%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი (N=300)	95%	4%
სამცხე-ჯავახეთი (N=300)	82%	14%
სამეგრელო-ზემო სვანეთი (N=300)	81%	16%
შიდა ქართლი (N=300)	88%	8%
ჯამური (N=4300)	66%	29%

სახანძრო და სამაშველო სამსახურები

კვლევის შედეგების თანახმად, საქართველოში სახანძრო (93%) და სამაშველო (85%) სამსახურები მოსახლეობის უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომია. გამოკითხულთა უმრავლესობას არ უსარგებლია აღნიშნული სერვისებით, თუმცა, მათი უმრავლესობა, ვინც ისარგებლა სახანძრო და სამაშველო სამსახურის მომსახურებით, აცხადებს, რომ დახმარება მათ დროულად გაუწიეს. ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით კი, შეფასებები ორივე სამსახურის შემთხვევაში პოზიტიურია.

ცხრილი #27 - სახანძრო და სამაშველო სამსახურების ხელმისაწვდომობა, სარგებლობა, დროული დახმარება, ზოგადი კმაყოფილება - 2017

	ხელმისაწვდომობა	სარგებლობა		დროული დახმარება		ზოგადი კმაყოფილება		
		დიახ	არა	დიახ	არა	კმაყოფილი	უკმაყოფილო	უჭირს შეფასება
სახანძრო სამსახური	93%	10%	90%	84%	16%	92%	1%	7%
სამაშველო სამსახური	85%	11%	89%	85%	15%	91%	2%	7%

რეგიონის ჭრილში, სახანძრო და სამაშველო სამსახურები ხელმისაწვდომია ყველგან ათიდან შვიდი და მეტი რესპონდენტის თქმით. თუმცა, აღსანიშნავია, რომ როგორც სახანძროს (84%), ასევე სამაშველოს (69%) შემთხვევაში ყველაზე დაბალ ხელმისაწვდომობას რესპონდენტები ქვემო ქართლში აღნიშნავენ. რაც შეეხება **ქალაქი/სოფლის** ჭრილს, აქ კვლევამ გამოავლინა, რომ სახანძრო სამსახურის სერვისი თითქმის თანაბრად ხელმისაწვდომია ქალაქებშიც და სოფლებშიც. სამაშველო სამსახურზე ხელმისაწვდომობა ყველაზე მაღალია დედაქალაქში (92%); სხვა ქალაქებისა და სოფლების შემთხვევაში, სამა-

შველო სამსახურებთან ხელმისაწვდომობას ადასტურებს ათიდან რვა რესპონდენტი (სხვა ქალაქები - 84%, სოფელი - 80%). უშუალოდ აღნიშნული სერვისებით სარგებლობის თვალსაზრისით, კვლევამ აჩვენა, რომ სოფლებში როგორც სახანძრო (15%), ასევე სამაშველო (12%) სამსახურებით სარგებლობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება. დახმარების დროულად აღმოჩენის თვალსაზრისით, რეალობა განსხვავებულია თბილისსა და დასახლების სხვა ტიპებს შორის. კერძოდ, სახანძრო სამსახურის მიერ დროულად დახმარების აღმოჩენაზე მიუთითებს გამოკითხულთა თანაბარი რაოდენობა როგორც სოფლებში, ასევე სხვა ქალაქებში (89%), თბილისში კი ამას რესპონდენტთა 47% აღნიშნავს. რაც შეეხება სამაშველო სამსახურს, დროული დახმარების შესახებ ყველაზე მეტად აღნიშნეს რესპონდენტებმა სხვა ქალაქებში (93%); ეს მაჩვენებელი სოფელში 89%-ია, თბილისში კი - 72%.

5.7.8. ელექტრონული სერვისები

კვლევის მიხედვით, ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმაციას ათიდან ოთხი გამოკითხული ფლობს (39%). მათგან მხოლოდ 18%-ს უსარგებლია ელექტრონული სერვისებით, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობაც (98%) კმაყოფილია აღნიშნული სერვისებით.

ინფორმაციას ელექტრონული სერვისების შესახებ **ქალაქში** მეტად ფლობენ (თბილისი-63%, სხვა ქალაქები - 35%), ვიდრე **სოფელში** (26%) და სარგებლობაც აღნიშნული სერვისებით ქალაქებში უფრო მაღალია (თბილისი - 21%, სხვა ქალაქები - 25%), ვიდრე სოფლად (7%). თუმცა, ელექტრონული სერვისებით კმაყოფილების თვალსაზრისით, ქალაქებსა და სოფლებში არსებითი განსხვავება არ ვლინდება, რადგან ყველგან რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა (სოფლებში - 100%, თბილისი - 97%, სხვა ქალაქები - 98%) კმაყოფილია გაწეული მომსახურებით.

რეგიონების ჭრილში, ყველაზე მეტ ინფორმაციას ელექტრონული სერვისების შესახებ შიდა ქართლში (69%) ფლობენ, ყველაზე ნაკლებს კი - სამცხე-ჯავახეთში (15%). სერვისებით სარგებლობის თვალსაზრისით, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვემო ქართლში ფიქსირდება (27%). ზოგადი კმაყოფილების თვალსაზრისით კი, რეგიონების მიხედვით განსხვავებები თითქმის არ ვლინდება, რადგან სერვისებით მოსარგებლეთა შორის კმაყოფილება ყველა რეგიონში მაღალია. რაც შეეხება **მაღალმთიან დასახლებებს**, აქ ელექტრონული სერვისების შესახებ გამოკითხულთა 17%-ს აქვს ინფორმაცია და მათმა მხოლოდ 9%-მა ისარგებლა აღნიშნული სერვისებით.

გრაფიკი #87 - ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა, სერვისით სარგებლობა მაღალმთიანი დასახლებების ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ **გენდერის** ჭრილში, ინფორმაციას ელექტრონული სერვისების შესახებ თანაბრად ფლობენ ქალები (39%) და კაცები (40%), თუმცა, სერვისებით ოდნავ მეტმა ქალმა ისარგებლა (21%), ვიდრე მამაკაცმა (15%).

გრაფიკი #88 - ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობა, სერვისით სარგებლობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.7.9. ეკოლოგია

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მათ დასახლებაში ჰაერი დაბინძურებულია (44%), მაშინ როდესაც არადაბინძურებულად მიიჩნევს ნიადაგს გამოკითხულთა 42%, ბუნებრივი წყლის რეზერვუარებს კი - 35%. რაც შეეხება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შეფასებას დაბინძურებული გარემოს გასასუფთავებლად, რესპონდენტთა 32%-ის შეფასებით, ხელისუფლება ამ მიმართულებით არავითარ ღონისძიებას არ ატარებს.

ცხრილი #28 - ჰაერის, ნიადაგის, ბუნებრივი წყლის რეზერვუარების მდგომარეობა - 2017 წლის მონაცემები

	ჰაერი	ნიადაგი	ბუნებრივი წყლის რეზერვუარები
დაბინძურებულია	**44%**	37%	33%
არ არის დაბინძურებული	38%	**42%**	**35%**
მეტ-ნაკლებად დაბინძურებული	15%	12%	10%

ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ სოფელში რეალობა რადიკალურად განსხვავებულია ქალაქებისგან. კერძოდ, თუ თბილისში რესპონდენტთა 89%, სხვა ქალაქებში კი - 48% აცხადებს, რომ ჰაერი დაბინძურებულია დასახლებაში, სოფელში იმავეს რესპონდენტთა მხოლოდ 12% ამბობს. დაახლოებით მსგავსია შეფასება ნიადაგსა და ბუნებრივი წყლის რეზერვუარებთან დაკავშირებითაც. **რეგიონების** მიხედვით, ყველაზე ნაკლებად დაბინძურებული რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონია. ნაკლებად დაბინძურებულია ასევე გარემო მაღალმთიან დასახლებებშიც.

ცხრილი #29 - ჰაერის, ნიადაგისა და ბუნებრივი წყლის რეზერვუარების დაბინძურების მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით - 2017 წლის მონაცემები

	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	ქვემო ქართლი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	შიდა ქართლი
ჰაერი	**89%**	30%	16%	40%	23%	15%	15%	**2%**	13%	23%	25%
ნიადაგი	**78%**	17%	12%	35%	21%	7%	13%	**1%**	10%	15%	14%
ბუნებრივი წყლის რეზერვუარი	**60%**	10%	21%	35%	23%	21%	24%	**4%**	23%	18%	11%

გენდერის ჭრილში აღსანიშნავია, რომ ქალები უფრო მიიჩნევენ გარემოს დაბინძურებულად, ვიდრე კაცები როგორც ჰაერის, ასევე ნიადაგისა და ბუნებრივი წყლის რეზერვუარების შეფასებისას.

ცხრილი #30 - ჰაერის, ნიადაგის, ბუნებრივი წყლის რეზერვუარების მდგომარეობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები

	ჰაერი		ნიადაგი		ბუნებრივი წყლის რეზერვუარი	
	ქალი	**კაცი**	**ქალი**	**კაცი**	**ქალი**	**კაცი**
დაბინძურებულია	47%	41%	38%	35%	35%	30%
მეტ-ნაკლებად დაბინძურებულია	14%	16%	11%	13%	9%	11%
არ არის დაბინძურებული	36%	41%	41%	43%	34%	38%

სხვადასხვა მომსახურება - 2013-2015-2017

დასახლებების დაგეგმარების თვალსაზრისით კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სამივე რაუნდისას ყველაზე ნაკლებად რესპონდენტები მშენებლობით, ყველაზე მეტად კი - კეთილმოწყობით არიან კმაყოფილნი, თუმცა, ზოგადად, თითოეული ამ პარამეტრით უკმაყოფილოთა რიცხვიც მაღალია. კმაყოფილებას ურბანული დაგეგმარებით თითქმის თანაბარი რაოდენობის რესპონდენტი გამოხატავს კვლევის ყველა რაუნდის შედეგების მიხედვით (2013 – 59%, 2015 – 57%, 2017 – 59%). მშენებლობით კმაყოფილების მაჩვენებელი ყველაზე დაბალი 2017 წელს დაფიქსირდა (2013 – 54%, 2015 – 56%, 2017 – 55%). რაც შეეხება კეთილმოწყობას, აქ ყველაზე ნაკლები კმაყოფილება რესპონდენტებმა 2013 წელს გამოხატეს (48%), 2015 წელს ამ მაჩვენებელმა 62%, 2017 წელს კი - 64% შეადგინა.

მუნიციპალიტეტში **ტურიზმის** განვითარების თვალსაზრისით პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება. კერძოდ, თუ კვლევის პირველი რაუნდისას საკუთარ მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებაზე რესპონდენტთა მხოლოდ 29% აცხადებდა, 2015 წელს მათმა რიცხვა 38%, 2017 წელს კი - 49% შეადგინა.

რეგიონების ჭრილში აღსანიშნავია, რომ კვლევის ბოლო ორი რაუნდის შედეგებით, რეგიონთა უმეტესობაში ტურიზმის განვითარების ტენდენცია გაზრდილია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისი (2013 – 50%, 2015 – 50%, 2017 – 79%) და აჭარის რეგიონი (2013 – 51%, 2015 – 53%, 2017 -69%).

ცხრილი #31 - ტურიზმის განვითარება რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები

	2013	2015	2017
თბილისი - N=400	50%	50%	**79%**
აჭარა - N=300	51%	53%	**69%**
გურია - N=300	4%	17%	**23%**
იმერეთი - N=300	52%	34%	**31%**
კახეთი - N=300	58%	38%	**47%**
მცხეთა-მთიანეთი - N=300	27%	33%	**48%**
ქვემო ქართლი - N=300	11%	13%	6%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი - N=300	9%	65%	54%
სამცხე-ჯავახეთი - N=300	25%	47%	41%
სამეგრელო-ზემო სვანეთი - N=300	12%	34%	**49%**
შიდა ქართლი - N=300	7%	30%	23%
ჯამური - N=3400	29%	38%	**49%**

როგორც მოსალოდნელი იყო, **სოფლის მეურ-ნეობის** საკუთარი მუნიციპალიტეტისთვის პრი-ორიტეტულად აღიარების თვალსაზრისით ქა-ლაქსა და სოფელს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, რასაც კვლევის შედეგებიც მოწ-მობს. კერძოდ, თუ 2015 წელს ქალაქის მო-სახლეობის 38% მიიჩნევდა სოფლის მეურნე-ობას მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულად, ამავე წელს სოფელში ამ აზრს რესპონდენტთა 87% იზიარებდა. 2017 წელს, ქალაქის შემთხვევაში შემცირდა მათი რიცხვი, ვინც სფეროს პრიორიტეტულად თვლის (29%), მაგრამ გაიზარდა სოფელში (91%). ქალაქში მცხოვრებ იმ რესპონდენტთა უმრავლესობა, რომელიც სოფლის მეურნეობას საკუთარი მუნი-ციპალიტეტისთვის პრიორიტეტულად მიიჩნევს, არავითარ დახმარებას არ იღებს. რაც შეეხება სოფლის მაცხოვრებლებს, მათი უმრავლესობა 2013 და 2015 წლებში იღებდა ვაუჩერს მი-წის დამუშავებაზე/ტექნიკაზე (81%-70%), 2017 წელს კი უმრავლესობა არავითარ დახმარებას არ იღებს (48%).

კვლევის სამივე რაუნდის შედეგების თანახმად, ცენტრალურ **საირიგაციო** სისტემასთან წვდომა მოსახლეობის მცირე ნაწილს აქვს (2013 – 8%, 2015 – 10%, 2017 – 7%). როგორც მოსა-ლოდნელი იყო, აღნიშნულ სისტემასთან წვდომა უფრო მაღალია სოფელში (2013 – 15%, 2015 – 21%, 2017 – 13%), ვიდრე ქალაქში (2013 – 2%, 2015 – 1%, 2017 – 3%).

კვლევის შედეგების მიხედვით, სულ უფრო მე-ტი რესპონდენტი აცხადებს, რომ მათ მუნიცი-პალიტეტში **უფასო იურიდიული დახმარება** ხელმისაწვდომია (2013 – 16%, 2015 – 23%, 2017 – 27%). თუმცა, მცირდება მათი რიცხვი, ვინც უშუალოდ ისარგებლა აღნიშნული სერვისით. თუ 2013 და 2015 წლებში უფასო იურიდიული დახმარების სერვისით მოსარგებლეთა რიცხვი 11%-11%-ს შეადგენდა, 2017 წელს მათმა რაოდენობამ 7% შეადგინა. უფასო იურიდიული დახმარების სერვისი **ქალაქში** უფრო ხელ-მისაწვდომია, ვიდრე **სოფელში**. თან, ზრდის ტენდენცია ქალაქში მეტად შეინიშნება, სოფელში კი, კვლევის ბოლო ორი რაუნდის შედეგებით, ვითარება არ შეცვლილა (ქალაქი: 2013 – 20%, 2015 – 28%, 2017 – 33%; სოფელი: 2013 – 12%, 2015 – 18%, 2017 – 18%). **მაღალმთიანი დასახლებების** კონტექსტში აღსანიშნავია, რომ უფასო იურიდიული დახმარების სერვისის ყველაზე მაღალი ხელმისაწვდომობა 2015 წელს აღინიშნა (14%), 2013 და 2017 წლებში კი მონაცემები, შესაბამისად, იყო 7% და 10%. **რეგიონის** ჭრილში კი, კვლევის ბოლო ორი რაუნდის მიხედვით, უფასო იურიდიული დახმა-რების ხელმისაწვდომობა იზრდება ქვემო ქარ-თლში, შიდა ქართლში, იმერეთსა და თბილისში.

ცხრილი #32 - უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა რეგიონის ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები

	2013	2015	2017
თბილისი - N=400	25%	26%	**38%**
აჭარა - N=300	17%	29%	16%
გურია - N=300	14%	44%	26%
იმერეთი - N=300	12%	21%	**23%**
კახეთი - N=300	10%	13%	13%
მცხეთა-მთიანეთი - N=300	17%	18%	16%
ქვემო ქართლი - N=300	12%	13%	**24%**
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი - N=300	13%	24%	16%
სამცხე-ჯავახეთი - N=300	7%	32%	13%
სამეგრელო-ზემო სვანეთი -N=300	7%	31%	13%
შიდა ქართლი - N=300	28%	17%	**55%**
ჯამური - N=3400	16%	23%	**27%**

კვლევის სამივე რაუნდის ფარგლებში, რესპონდენტები ასახელებდნენ იმ **საჯარო მომსახურებებს**, რომლითაც უსარგებლიათ ბოლო ორი წლის მანძილზე. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას, სამივე რაუნდის შედეგების თანახმად, არ უსარგებლია არც ერთი საჯარო მომსახურებით და თან ეს ტენდენცია მზარდია და კვლევის ბოლო რაუნდის ფარგლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს (2013 – 55%, 2015 – 58%, 2017 – 64%). რაც შეეხება ყველაზე ხშირად გამოყენებულ საჯარო სერვისს - პირადობის მოწმობის/ბიომეტრიული პასპორტის აღება, მისი მოხმარების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 2013 წელს - 30%, ხოლო 2015 და 2017 წლებში ამ მაჩვენებელმა, შესაბამისად, 28% და 25% შეადგინა.

ყველაზე პოპულარული საჯარო მომსახურებით - პირადობის მოწმობის/ბიომეტრიული პასპორტის აღების სერვისით - კმაყოფილება კვლევის ყველა რაუნდში მაღალია, თუმცა 2017 წელს გაზრდილია კმაყოფილების მაჩვენებელი (2013 – 92%, 2015 – 93%, 2017 – 98%). რაც შეეხება აღნიშნული სერვისის საფასურს, ის სულ უფრო ნაკლებ რესპონდენტს ჰგონია მისაღები (2013 – 66%, 2015 – 57%, 2017 – 53%).

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ რესპონდენტები ყველაზე **დაცულად** თავს 2013 წელს, ყველაზე ნაკლებად კი - 2017 წელს გრძნობენ (2013 – 88%, 2015 – 85%, 2017 – 77%). დასახლებაში ყველაზე გავრცელებულ პრობლემად რესპონდენტები ალკოჰოლის მოხმარებას მიიჩნევენ კვლევის სამივე რაუნდის შედეგებით. მათი რიცხვი, ვინც ასე ფიქრობს, 2017 წელს გაზრდილია (2013 – 24%, 2015 – 24%, 2017 – 30%). რაც შეეხება ძარცვა/ყაჩაღობას, ნარკოტიკების მოხმარებას, წვრილმან ხულიგნობას, ძალადობას ოჯახში და განქორწინებას, მათ რესპონდენტთა უმრავლესობა პრობლემად არ მიიჩნევს საკუთარი დასახლებისთვის. **გენდერის** ჭრილში აღსანიშნავია, რომ ზოგადად თავს უფრო უსაფრთხოდ კაცები გრძნობენ, ვიდრე ქალები. უსაფრთხოების განცდა ორივე სქესისთვის ყველაზე მაღალი 2013 წელს დაფიქსირდა, შემდეგი რაუნდებისას უკვე კლების ტენდენცია შეინიშნება.

უბანში/დასახლებაში გავრცელებულ პრობლემებთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ წლების მიხედვით ყველაზე გავრცელებული პრობლემა ალკოჰოლიზმია, რაც წინა წლებთან შედარებით, კვლევის ბოლო რაუნდისთვის გაიზარდა.

ცხრილი #33 - უბანში/დასახლებაში გავრცელებული პრობლემა - 2013-2015-2017 წლების მონაცემები

	2013				2015				2017			
	არ არის გავრცელებული	იშვიათია	საკმაოდ გავრცელებულია	ძალიან გავრცელებულია	არ არის გავრცელებული	იშვიათია	საკმაოდ გავრცელებულია	ძალიან გავრცელებულია	არ არის გავრცელებული	იშვიათია	საკმაოდ გავრცელებულია	ძალიან გავრცელებულია
ძარცვა / ყაჩაღობა	76%	18%	3%	0%	73%	18%	4%	0%	57%	28%	8%	1%
ნარკოტიკების მოხმარება	71%	14%	6%	1%	70%	12%	6%	1%	55%	20%	12%	2%
ალკოჰოლის მოხმარება	39%	33%	**20%**	**4%**	46%	26%	**20%**	**4%**	30%	36%	**25%**	**5%**
წვრილმანი ხულიგნობა	69%	21%	5%	0%	65%	22%	6%	1%	47%	32%	12%	2%
ძალადობა ოჯახში	71%	13%	3%	1%	66%	13%	5%	1%	46%	21%	9%	1%
განქორწინება	60%	18%	5%	2%	57%	18%	10%	2%	33%	29%	13%	4%

სახანძრო და სამაშველო სამსახურების სერვისის ხელმისაწვდომობა, კვლევის შედეგების თანახმად, მაღალია, თუმცა, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს ფიქსირდება (სახანძრო: 2013 – 78%, 2015 – 95%, 2017 – 93%; სამაშველო: 2013 – 67%, 2015 – 92%, 2017 – 85%). აქვე აღსანიშნავია, რომ, მართალია, აღნიშნული სამსახურების მომსახურებით არც თუ ბევრმა რესპონდენტმა ისარგებლა, მაგრამ კვლევის ბოლო რაუნდში, წინა რაუნდებთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებლები გაზრდილია (სახანძრო: 2013 – 11%, 2015 – 9%, 2017 – 10%; სამაშველო: 2013 – 8%, 2015 – 7%, 2017 – 11%). რაც შეეხება აღნიშნული სამსახურების მომსახურებით კმაყოფილებას, მაჩვენებელი გაზრდილია როგორც სახანძრო (2013 – 75%, 2015 – 85%, 2017 – 92%), ასევე სამაშველო (2013 – 81%, 2015 – 90%, 2017 – 91%) სამსახურის შემთხვევაში.

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ იზრდება იმ რესპონდენტთა რაოდენობა, ვისაც სმენია **ელექტრონული სერვისების** შესახებ და თუ 2013 წელს ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმაციას რესპონდენტთა 32% ფლობდა, 2015 წელს უკვე 34%, 2017 წელს კი - 39%.

ქალაქი/სოფლის ჭრილში, ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმაციას ქალაქის ტიპის დასახლებაში უფრო ფლობენ (2013 – 42%, 2015 – 40%, 2017 – 50%), ვიდრე სოფლებში (2013 – 21%, 2015 – 26%, 2017 – 26%). ასევე, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი აღნიშნული სერვისების შესახებ **მაღალმთიან დასახლებებშიც** (2013 – 17%, 2015 – 5%, 2017 – 9%). რაც შეეხება **რეგიონებს**, აქ ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა და შიდა ქართლში ფიქსირდება. გენდერის ჭრილში კი აღსანიშნავია, რომ კვლევის ყველა რაუნდის შედეგებით, კაცები უფრო მეტად არიან ინფორმირებულნი (2013 – 36%, 2015 – 36%, 2017 – 40%), ვიდრე ქალები (2013 – 29%, 2015 – 32%, 2017 – 39%). თუმცა სხვადასხვა ელექტრონული სერვისებით ქალებმა უფრო ისარგებლეს (2013 – 20%, 2015 – 21%, 2017 – 21%), ვიდრე კაცებმა (2013 – 26%, 2015 – 17%, 2017 – 15%).

რაც შეეხება ელექტრონული სერვისებით მოსარგებლეთა რიცხვს, მათი რაოდენობა კვლევის რაუნდების მიხედვით მცირდება (2013 – 23%, 2015 – 19%, 2017 – 18%). თუმცა, ამ ტიპის მომსახურების მომხმარებელთა კმაყოფილების მაჩვენებელი მაღალია და, ბოლო ორი რაუნდის შედეგებით, იზრდება (2013 – 98%, 2015 – 96%, 2017 – 98%).

გრაფიკი #89 - ელექტრონული სერვისებით სარგებლობა, კმაყოფილება - 2013-2015-2017 წლების მონაცემები



ეკოლოგიის თვალსაზრისით, კვლევის შედეგების თანახმად, იზრდება იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ მათ დასახლებაში დაბინძურებულია როგორც ჰაერი, ასევე ნიადაგი და ბუნებრივი წყლის რეზერვუარები. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ გარემოს გასასუფთავებლად ჩატარებულ რაიმე ტიპის ღონისძიებას, თუნდაც პროფილაქტიკურს, რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მთავრობა არავითარ ზომას არ მიმართავს (2013 – 51%, 2015 – 46%, 2017 – 32%). თუმცა მცირედით, მაგრამ მაინც, ზრდის ტენდენცია შეინიშნება იმ რესპონდენტთა შორის, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო გარემოს გასასუფთავებელად გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს (2013 – 8%, 2015 – 15%, 2017 – 16%).

თვისებრივი კვლევის შედეგები - სხვადასხვა მომსახურება

სხვადასხვა მომსახურების თვალსაზრისით, თბილისში გამართულ ფოკუს ჯგუფებზე მონაწილეებმა ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად ურბანული დაგეგმარებისა და მშენებლობის საკითხი დაასახელეს. დისკუსანტებმა ქალაქის დაგეგმარება უარყოფითად შეაფასეს და დასძინეს, რომ აუცილებელია აღნიშნული პროცესის კონტროლის მექანიზმების არსებობა/გამკაცრება.

„ქალაქის დაგეგმარებაა ცუდი. ყველგან იჩხირება კორპუსები, დაგეგმარება ისე უნდა იყოს, რომ თავისუფალი ადგილები დატოვონ. [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„ქალაქში მშენებლობა და ურბანული დაგეგმარება არ არის კარგი. ერთმანეთთან გვერდიგვერდ აშენებული კორპუსები, არანაირი დაცილება არ არის მათ შორის, არ არის ეზოები. ვიზუალურადაც ცუდია. უნდა შემუშავდეს გეგმა და მოწესრიგდეს.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„საერთოდ არსებობს ისეთი სამსახური, რომელიც ჩაატარებს სეისმოლოგიურ კვლევებს? ჩემი ინფორმაციით, აღარ არსებობს. უნდა იყოს რაღაც კონტროლის მექანიზმი, მეტროს თავზე რომ აშენებენ რაღაცებს...“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

ქუთაისში ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა, სხვადასხვა მომსახურებასთან დაკავშირებით, **სახანძრო და სამაშველო სამსახურების** ეფექტიან და ოპერატიულ მუშაობაზე გაამახვილეს ყურადღება.

„კარები ჩამეკეტა მესამე სართულზე. სახანძრო მოვიდა ოპერატიურად და გააღეს კარი.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„მე ჯიპი ყავს. ზამთარში ძალიან ცუდ ადგილას ჩავარდა, სრიალებდა და ვერ ამომყავდა. დავრეკე სამაშველოში და უფასოდ ამოიყვანეს.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ზამთარში ვნადირობთ ხოლმე და რამდენჯერმე დაგვჭირდა დახმარება; სადღაც გადავვარდით და გადაგვარჩინეს.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

სხვადასხვა მომსახურებასთან დაკავშირებით, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს **ტურიზმზე** როგორც ქუთაისში, ასევე თბილისში. დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, ტურიზმი

მეტ-ნაკლებად განვითარებულია ქვეყანაში, თუმცა პოტენციალი გაცილებით მაღალია. ტურისტულად მიმზიდველ ადგილებად ქუთაისის ჯგუფების მონაწილეებმა შაორის ტბა და, განსაკუთრებით, წყალტუბოს კურორტი დაასახელეს, რომლის აღდგენა-განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს. ეს უკანასკნელი ხაზგასმით აღინიშნა არა მხოლოდ ტურისტების მოსაზიდად, არამედ, პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების წამახალისებელ სერიოზულ ფაქტორად.

„სათაფლია არის, ისიც იტვირთება ტურისტებით თანდათან; კარგადაა მოწყობილი.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„[ქუთაისის] ბოტანიკურ ბაღზე ადრე არავინ იცოდა, მაგრამ შემდეგ გამოაცოცხლეს და ახლა ყველანი მიდიან [ადგილობრივებიც და უცხოელებიც]. ასეთი ობიექტები რაც უფრო მეტი გაჩნდება ჩამოსული ტურისტებისთვის, უკეთესია.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„[ბევრი რამ] გასაკეთებელია, რადგან მთლიანად არ არის ათვისებული პოტენციალი. გელათს ახლაც აკეთებენ, მთლიანად ხარაჩოშია.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ჩვენ გვაქვს ისეთი კურორტი, რომელსაც ანალოგი საქართველოში არ აქვს - წყალტუბო. იქ ისეთი წყლებია... საირმეს, მიტარბის ანალოგი არ აქვს, მაგრამ ინფრასტრუქტურაა გაუმართავი.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„წყალტუბო რომ იყოს ცოცხალი, ქუთაისიც ცოცხალი იქნება... ერთადერთი კურორტია, სადაც სულ სეზონია, წყალი სულ არის, სამკურნალო წყალია თან.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

აღსანიშნავია, რომ თბილისში ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ტურისტული თვალსაზრისით არსებულ ისეთ პრობლემას გაუსვეს ხაზი, როგორიცაა საპირფარეშოების არსებობა. საუბრიდან გამოიკვეთა, რომ ეს სერიოზული პრობლემაა არა მხოლოდ ტურისტებისთვის, არამედ ადგილობრივებისთვისაც და ამ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აგრეთვე ითქვა გაუმართავი საგზაო ინფრასტრუქტურის შესახებაც.

„არ არის საპირფარეშოები ქალაქში, რაც ძალიან ცუდია. საზღვარგარეთ მონეტას ჩააგდებ და მოწესრიგებულია ინფრაქტრუქტურა, თბილისში კი მაღაზიაში უნდა მიხვიდე. ბევრი სტუმარი მყავდა და თავად მქონდა ეს პრობლემა. ეგ არის გადასაჭრელი.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„რაც არის საპირფარეშოები, ისიც მოუწესრიგებელია. ვერსად შეხვალ.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„ტურიზმთანაც არის ველობილიკი დაკავშირებული; ბევრი ასეთი ტურისტი ჩამოდის და მოძრაობს ველოსიპედით, მაგრამ მათთვის საშიშია ასე გადაადგილება.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

ტურიზმის კონტექსტში დისკუსიის მონაწილეებმა აღნიშნეს სასტუმროების საკმარისი რაოდენობა და კვების საკითხები, რაც პოზიტიურად შეაფასეს. თუმცა, აქვე ითქვა, რომ ხარისხიანი სერვისის მიღება პრობლემაა და აუცილებელია სფეროში მომუშავე კადრების გადამზადება. ფოკუს ჯგუფებში გამართული დისკუსიისას ასევე გამოიკვეთა საინტერესო მოტივი, რომლის თანახმადაც, აუცილებელია ტურისტების მეტად აქტიურად დაინტერესება და მოზიდვა.

„მე შარშან სტუმრები მყავდა; სადღაც მოსწონდათ, სადღაც - არა. ბათუმში ბევრგან სასტუმროშიც არ მოეწონათ, პირველ რიგში, არ მოეწონათ პერსონალის მომსახურება.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ყველგან ეჩხუბებიან [ტურისტებს].“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„სასტუმროები არის, კვება იდეალური.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„დაინტერესება, მოზიდვა იყო წინა წლებში. მაშინ მოზიდული ტურისტი კიდევ მოდის ინერციით. მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ რეკლამასაც...“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

თბილისში ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს გარემოს დაბინძურებასა და **ეკოლოგიაზე.** განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა დედაქალაქში მწვანე საფარის სიმწირესა და არათანმიმდევრულ გამწვანების პროცესზე. კერძოდ, დისკუსანტები სერიოზულ პრობლემად მიიჩნევენ არსებული ბაღების გაჩეხვას, რასაც

ცუდ ურბანულ დაგეგმარებასა და მშენებლობებს უკავშირებენ. ამასთან, დიალოგისას აღინიშნა ის გარემოებაც, რომ ახალდარგული ხეების შემდგომ მოვლაზე არავინ ზრუნავს.

„ვარკეთილში, ჩინელების დასახლება რომ გააკეთეს, უამრავი კორპუსი ააშენეს... იქ ადრე ნაძვნარი იყო, მერე გაჩეხეს და იყო მინდორი, ახლა კი სულ კორპუსებს აშენებენ.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„გამწვანება სერიოზული პრობლემაა ქალაქში.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„წესით, ერთ სულ მოსახლეზე გამწვანება უნდა იყოს 15 კვადრატული მეტრი. კომუნისტების დროს სტანდარტი იყო 7-8 კვადრატული მეტრი. ახლა ალბათ ნახევარი კვადრატულიც აღარაა.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„აღმაშენებელის გამზირზე არის ვარდების ბაღი; იქ, ბაღში ააშენეს სასტუმრო, რაც არის ყოვლად დაუშვებელი. ვიღაცისთვის ლამაზია, ვინც იქ ისვენებს, მაგრამ იქ ძალიან ბევრი ხე მოიჭრა და ის გადაიქცა სასტუმროს ეზოდ.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„გამწვანებასთან დაკავშირებით მინახავს, რომ სამი დიდი მანქანა მოვიდა გამწვანების სამსახურიდან, [გაამწვანა] მაგრამ ეს არის ერთჯერადი აქცია. მას რომ მოვლა უნდა, ამას არ აქცევენ ყურადღებას.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

5.8. თვითმმართველობის მომსახურების ზოგადი შეფასება

5.8.1. მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა არ ფლობს ინ-ფორმაციას ადგილობრივი თვითმმართვე-ლობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონა-წილეობის იმ ფორმების შესახებ, რომლებიც მათ სიის სახით მიეწოდათ. როგორც კვლევამ უჩვენა თვითმმართველობის განხორციელე-ბაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთი ფორ-მის შესახებ მაინც რესპონდენტთა 23%-ია ინფორმირებული. უშუალოდ თვითმმართველო-ბის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწი-ლეობის ერთი ფორმა მაინც ათიდან მხოლოდ ერთ რესპონდენტს (10%) გამოუყენებია.

გრაფიკი #90 - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ერთი ფორმის შესახებ მაინც ინფორმირებულობა; გამოყენება ერთი ფორმის მაინც - 2017 წლის მონაცემები



რაც შეეხება მოქალაქეთა მონაწილეობის იმ ფორმებს, რომელთა შესახებაც რესპონდენტებმა მეტ-ნაკლებად იციან, ყველაზე დიდი წილი დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობასა (18%) და პეტიციის შედგენა/ხელმოწერაზე (14%) მოდის.

გრაფიკი #91 - ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების შესახებ ინფორმირებულობა - 2017 წლის მონაცემები



კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ყველაზე ცნობადი ფორმის - *დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობის* - შესახებ ინფორმაციას მეტი რესპონდენტი ფლობს **სოფელში** (20%), ვიდრე თბილისსა (18%) და სხვა ქალაქებში (15%). **რეგიონების** მიხედვით, მოქალაქეთა მონაწილეობის აღნიშნული ფორმის შესახებ ყველაზე ინფორმირებულია რაჭა-ლეჩხუმის/ქვემო სვანეთისა (29%) და აჭარის მოსახლეობა (26%), ყველაზე ნაკლებ ინფორმირებული კი - ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონები (10%-10%). **მაღალმთიან დასახლებებში** მის შესახებ რესპონდენტთა 31%-მა იცის. **გენდერის** ჭრილში კი კვლევამ აჩვენა, რომ მოქალაქეთა მონაწილეობის ამ ფორმის შესახებ კაცები უფრო არიან გათვითცნობიერებულნი (22%), ვიდრე ქალები (15%).

საინტერესოა, დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობის შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით კვლევის შედეგები **ასაკობრივ ჭრილში:** ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 45-54 (23%) და 35-44 (20%) ასაკობრივ კატეგორიებში დაფიქსირდა. რაც შეეხება თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ისეთ ფორმას, როგორიცაა პეტიციის შედგენა/ხელმოწერა, აქ, 35-44, 45-54 და 18-24 წლის ასაკობრივი კატეგორიის წარმომადგენელთა ინფორმირებულობა თითქმის მსგავსია.

გრაფიკი #92 - დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობისა და პეტიციის შედგენა/ხელმოწერის შესახებ ინფორმირებულობა ასაკის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.8.2. ადგილობრივი თვითმმართველობით კმაყოფილება და მისდამი ნდობა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობა ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობით კმაყოფილიცაა (68%) და ნდობასაც უცხადებს მას (70%). ამგვარ დამოკიდებულებას რესპონდენტები იმით ხსნიან, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები კარგად მუშაობენ/ზრუნავენ მოსახლეობაზე/აქცევენ მათ ყურადღებას (22%).

გრაფიკი #93 - ადგილობრივი თვითმმართველობით კმაყოფილება, ნდობა - 2017 წლის მონაცემები



კვლევამ ცხადყო, რომ გამოკითხულები **სოფელში** უფრო მეტად არიან კმაყოფილნი (77%) ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობით და უფრო მეტად ენდობიან მათ (79%), ვიდრე თბილისსა ან სხვა ქალაქებში.

გრაფიკი #94 - ადგილობრივი თვითმმართველობით კმაყოფილება, ნდობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



რეგიონების ჭრილში, ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობით ყველაზე კმაყოფილი რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის მოსახლეობაა (86%) და ნდობის მაჩვენებელიც ყველაზე მაღალი ამ რეგიონშია (85%) **მაღალმთიან დასახლებებშიც** კმაყოფილნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობით და ნდობასაც უცხადებენ მათ. კვლევის რესპონდენტთა აზრით, მოსახლეობის საჭიროებათა უკეთ დასაკმაყოფილებლად ყველაზე მნიშვნელოვანია ადგილობრივთა საჭიროებების მეტად გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღებისას - სწორედ ეს ფაქტორი უნდა გააუმჯობესონ თვითმმართთველმა ორგანოებმა (54%).

გრაფიკი #95 - თვითმმართველობის მიერ გასაუმჯობესებელი საკითხები მოქალაქეთა საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად - 2017 წლის მონაცემები



კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა 90% არ ჩართულა არანაირ სამოქალაქო აქტივობაში, რადგან, მათი უმრავლესობის აზრით, ეს არაფერს შეცვლიდა (25%).

გრაფიკი #96 - სამოქალაქო აქტივობებში ჩაურთველობის მიზეზები - 2017 წლის მონაცემები



ყველაზე მეტმა რესპონდენტმა მონაწილეობა მიიღო დასახლების/სამეზობლოს პრობლემის გადაწყვეტაში (7%). კონკრეტულად კი, ყველაზე ხშირად სამოქალაქო აქტივობებში ჩართული რესპონდენტები კეთილმოწყობის საკითხებით ინტერესდებოდნენ (29%).

აღსანიშნავია, რომ არცერთი ტიპის სამოქალაქო აქტივობაში არ ჩართულა უფრო მეტი **ქალი** (92%), ვიდრე **კაცი** (88%). ყველაზე ხშირია დასახლების/სამეზობლოს პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობა. ამ ტიპის აქტივობაში ქალების 5% და კაცების 8% მონაწილეობდა. მათგან, ვინც სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში იყო ჩართული, ქალების შემთხვევაში განხორციელებულ აქტივობათა ძირითადი წილი მოდის კეთილმოწყობის (32%), ბიუჯეტის (12%) და წყლის მომარაგების საკითხებზე (14%). კაცების შემთხვევაში კი ყველაზე ხშირია დაინტერესებაკეთილმოწყობის (27%), წყალმომარაგებისა (11%) და შენობების რეკონსტრუქციის (10%) საკითხებით.

გრაფიკი #97 - სამოქალაქო აქტივობაში მონაწილეობა, განხორციელებული აქტივობის ტიპი, კონკრეტული საკითხი, რომელსაც ეხებოდა აქტივობა გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



5.8.3. მოსახლეობის მიმართვიანობა ადგილობრივ თვითმმართველობებთან

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ რესპონდენტთა 16%-ს, სულ მცირე, ერთხელ მაინც მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობისათვის პრობლემების მოგვარების მიზნით ბოლო ორი წლის განმავლობაში. ამ რესპონდენტთაგან უმრავლესობა აცხადებს, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობამ ნაწილობრივ ან სრულად მოუგვარა მათ პრობლემები (57%). თუმცა, 31%-ის თქმით, თვითმმართველობას არცერთი პრობლემა არათუ მოუგვარებია, ამის მცდელობაც არ ჰქონია. რაც შეეხება მიმართვის პროცედურებს, მათ მარტივად მიიჩნევს იმ რესპონდენტთა 77%, ვისაც ამის გამოცდილება აქვს.

გრაფიკი #98- თვითმმართველობებთან მიმართვიანობა, პრობლემის გადაჭრა, პროცედურის სიმარტივე - 2017



გენდერის ჭრილში აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობას ქალების 17%-მა და კაცების 14%-მა მიმართა პრობლემის გადასაჭრელად; მათგან კი, ვინც მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობას, პროცედურების სიმარტივეზე უფრო მეტი კაცი მიუთითებს (79%), ვიდრე ქალი (75%), პრობლემების ნაწილობრივ ან სრულად გადაჭრის შესახებ კი ქალების 54% და კაცების 62% აცხადებს.

გრაფიკი #99 - თვითმმართველობებთან მიმართვიანობა, პრობლემის გადაჭრა, პროცედურის სიმარტივე გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



ბოლო ორი წლის განმავლობაში ადგილობრივ თვითმმართველობებთან მიმართვიანობის თვალსაზრისით, **ქალაქი/სოფლის** ჭრილში არსებითი განსხვავებები არ ფიქსირდება - თვითმმართველობას თითქმის თანაბარი რაოდენობის რესპონდენტმა მიმართა როგორც თბილისში (16%), ასევე სხვა ქალაქებსა (14%) და სოფლებში (17%). მათ შორის, სოფელში მცხოვრები რესპონდენტები უფრო მეტად აღნიშნავენ ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მათი პრობლემის მოგვარებას (43%), ვიდრე თბილისსა (33%) და სხვა ქალაქებში (32%).

მაღალმთიან დასახლებებში სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად რესპონდენტთა 23%-მა მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობებს ბოლო ორი წლის მანძილზე. მათგან 37% აცხადებს, რომ თვითმმართველობებმა პრობლემები მოუგვარეს. რაც შეეხება **რეგიონებს**, კვლევის შედეგების თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ყველაზე ხშირად სამცხე-ჯავახეთში (26%) მიმართეს, ყველაზე იშვიათად კი - შიდა ქართლსა (10%) და იმერეთში (10%). რესპონდენტების თქმით, რეგიონებშიც თვითმმართველობის ორგანოებმა პრობლემები მეტ-ნაკლებად ან სრულად მოუგვარეს. აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა ჭრილში რესპონდენტები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისადმი მიმართვის პროცედურების სიმარტივეზე მიუთითებდნენ.

ყოველი მეორე რესპონდენტი თვლის, რომ მუნიციპალიტეტთა ხელმძღვანელების მოსახლეობასთან ურთიერთობა ეფექტიანია (53%). უმეტესად, ასე ფიქრობენ **სოფელში** (66%). **რეგიონების** მიხედვით კვლევის თანახმად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან ურთიერთობას ყველაზე ეფექტიანად რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონში (74%), ყველაზე არაეფექტიანად კი - თბილისში (36%) მიიჩნევენ. **მაღალმთიან დასახლებებშიც** რესპონდენტთა უმრავლესობა ეფექტიან კომუნიკაციაზე მიანიშნებს (67%). გენდერის ჭრილში კი, მოსახლეობასთან კომუნიკაციას ეფექტიანად ქალების 52% და კაცების 54% მიიჩნევს.

გრაფიკი #100 - მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მოსახლეობასთან ურთიერთობის შეფასება რეგიონის ჭრილში – 2017 წლის მონაცემები



5.8.4. არსებული მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფა

კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტთა უმეტესობა, როგორც ქალაქში, ასევე სოფელში, არსებული მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის იდეას უფრო არ მიესალმება, ვიდრე პირიქით. თუმცა, მათ შორის, ვინც ემხრობა მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის იდეას, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში (28%) ფიქსირდება. ამ იდეის მომხრეთა რიცხვი სხვა ქალაქებში 17%, სოფლებში კი - 19%-ის ტოლია.

გრაფიკი #101 - მუნიციპალიტეტების უფრო წვრილ ერთეულებად დაყოფის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის ეფექტიანობასთან დაკავშირებით, ათიდან სამი რესპონდენტი ფიქრობს, რომ მსგავსი დაყოფისას ადგილობრივი ხელისუფლება ვერ შეძლებდა მათი პრობლემების უფრო ეფექტიან მოგვარებას. ათიდან ოთხ რესპონდენტს უჭირს საკუთარი აზრის გამოხატვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით (44%). მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის შემთხვევაში ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციაზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება უჭირს რესპონდენტთა უმრავლესობას (56%), თუმცა, 25% თვლის, რომ ეს პროცესი ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობას გაამარტივებდა. მათგან, ვინც კომუნიკაციის გამარტივებაზე აკეთებს არჩევანს, 45% ფიქრობს, რომ შეძლებს უფრო ადვილად მიიღოს მომსახურება ხელისუფლებისგან.

5.8.5. გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევა

კვლევის შედეგების თანახმად, 53% გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევის მომხრეა, 41% კი თვლის, რომ მუნიციპალიტეტის (ქალაქის) საკრებულოს გამგებლის (მერის) გადაყენების უფლება უნდა ჰქონდეს.

პირდაპირი წესით არჩევის საკითხზე, ქალაქი/სოფლისა და მაღალმთიანი დასახლებების მიხედვით, არსებითი განსხვავებები არ ფიქსირდება - უმეტესად, რესპონდენტები გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევას უჭერენ მხარს. ათიდან ოთხი კი მომხრეა ჰქონდეს საკრებულოს გამგებლის (მერის) გადაყენების უფლებაც.

კვლევის შედეგების თანახმად, **რეგიონებშიც** გამოკითხულთა უმეტესობა ემხრობა გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევას. ამ იდეას განსაკუთრებით გურიასა (71%) და კახეთში (70%) იზიარებენ. თუმცა, არის გამონაკლისიც: მცხეთა-მთიანეთისა (51%) და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში (54%) საკრებულოს გამგებლის (მერის) პირდაპირი არჩევის წესს უფრო მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს, ვიდრე მომხრე. მუნიციპალიტეტის/ქალაქის საკრებულოს გამგებლის (მერის) გადაყენების უფლების ქონას ამჯობინებს მოსახლეობა უმეტეს რეგიონში. აღნიშნულ იდეას ყველაზე მეტი მხარდამჭერი იმერეთში (57%) ჰყავს, მოწინააღმდეგე კი - რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონში (55%).

ცხრილი #34 - გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევისა და გადაყენებისადმი დამოკიდებულება რეგიონის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები

	გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევა		**გამგებლის (მერის) გადაყენების უფლება**	
	მომხრე	**მოწინააღმდეგე**	**მომხრე**	**მოწინააღმდეგე**
თბილისი (N=400)	54%	27%	41%	30%
აჭარა (N=300)	42%	39%	39%	39%
გურია (N=300)	**71%**	23%	54%	19%
იმერეთი (N=300)	57%	32%	**57%**	32%
კახეთი (N=300)	**70%**	11%	47%	32%
მცხეთა-მთიანეთი (N=300)	33%	**51%**	39%	30%
ქვემო ქართლი (N=300)	48%	16%	35%	21%
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი (N=300)	39%	**54%**	38%	**55%**
სამცხე-ჯავახეთი (N=300)	66%	13%	38%	21%
სამეგრელო-ზემო სვანეთი (N=300)	48%	27%	28%	29%
შიდა ქართლი (N=300)	41%	11%	26%	7%
ჯამური (N=4300)	**53%**	25%	**41%**	28%

აღსანიშნავია ასევე, რომ გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევას უფრო მეტი კაცი (56%) ემხრობა, ვიდრე ქალი (50%). თუმცა, მათი გადაყენების უფლებასთან დაკავშირებით ქალებს და კაცებს თითქმის იდენტური პოზიცია აქვთ და ისინი, უმეტესად, იზიარებენ გამგებლის (მერის) გადაყენების იდეას, ვიდრე ეწინააღმდეგებიან.

გრაფიკი #102 - გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევისა და გადაყენებისადმი დამოკიდებულება გენდერის ჭრილში - 2017 წლის მონაცემები



თვითმმართველობის მომსახურების ზოგადი შეფასება - 2013-2015-2017

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ **ადგილობრივი თვითმმართველობით კმაყოფილების** ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2013 წელს ფიქსირდება (2013 – 71%, 2015 – 66%%, 2017 – 68%). იგივეა რეალობა ადგილობრივი თვითთმართველი ორგანოებისადმი ნდობის თვალსაზრისითაც. თუ ნდობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2013 წელს ფიქსირდებოდა (71%), კვლევის შემდეგი რაუნდებისას ამ მაჩვენებელმა მცირედით იკლო (2015 – 67%, 2017 – 70%).

ზოგადად, კვლევის სამივე რაუნდის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებით კმაყოფილების მაჩვენებელი სოფელში უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქში (სოფელი: 2013 – 78%, 2015 – 72%, 2017 – 77%; ქალაქი: 2013 - 63%, 2015 – 59%, 2017 – 60%). ნდობის თვალსაზრისითაც, კვლევის სამივე რაუნდის შედეგებით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სოფელში უფრო ენდობიან, ვიდრე - ქალაქში.

კვლევის სამივე რაუნდის შედეგები მოწმობს, რომ თვითმმართველმა ორგანოებმა რესპონდენტთა საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებისთვის, პირველ რიგში, გადაწყვეტილებების მიღებისას მეტად უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები (2013 – 65%, 2015 – 62%, 2017 – 54%). კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯადაა მიჩნეული მეტი ბიუჯეტის გამოყოფა რაიონის/მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად. თან, ბოლო რაუნდში ამ ნაბიჯის მნიშვნელობა წინა კვლევასთან შედარებით გაზრდილია (2013 – 48%, 2015 – 40%, 2017 – 50%).

თითქმის ანალოგიურად აფასებენ სტრატეგიებს როგორც **ქალაქში**, ასევე **სოფელში.** თუმცა, აღსანიშნავია, რომ კვლევის ბოლო რაუნდის შედეგებით, ქალაქში გაზრდილია ისეთი სტრატეგიის მნიშვნელობა, როგორიცაა მოსახლეობასთან უფრო ხშირი შეხვედრების ორგანიზება (2013 – 45%, 2015 – 39%, 2017 – 49%). სოფლის კონტექსტში კი მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ისეთ სტრატეგიას, როგორიცაა მეტი ბიუჯეტის გამოყოფა რაიონის/მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად (2013 – 49%, 2015 – 47%, 2017 – 58%). **გენდერის** ჭრილში არსებითი განსხვავებები არ ფიქსირდება - კვლევის სამივე რაუნდში ქალებიც და კაცებიც თვლიან, რომ მოსახლეობის საჭიროებების უკეთ დასაკმაყოფილებლად გადაწყვეტილებათა მიღებისას თვითმმართველმა ორგანოებმა, პირველ რიგში, მეტად უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები.

საინტერესოა, რომ **მაღალმთიანი დასახლებების** კონტექსტში, გადაწყვეტილებების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მეტად გათვალისწინების მხარდამჭერთა რაოდენობა 2017 წელს შემცირებულია (2013 – 71%, 2015 – 70%, 2017 – 58%). თუმცა, კვლევის ბოლო ორი რაუნდის შედეგების თანახმად, გაზრდილია ისეთი სტრატეგიების მნიშვნელობა, როგორიცაა რაიონის/მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად მეტი ბიუჯეტის გამოყოფა, ასევე მოსახლეობასთან უფრო ხშირი

შეხვედრების ორგანიზება და მოსახლეობის ინ-ფორმირება მიმდინარე პროცესებზე.

სამოქალაქო აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით, კვლევამ აჩვენა, რომ სამივე რაუნდში ათიდან ცხრა რესპონდენტის თქმით, მას არავითარ სამოქალაქო აქტივობაში არ მიუღია მონაწილეობა (2013 – 87%, 2015 – 90%, 2017 – 90%). ხოლო იმ რესპონდენტთა მცირე ნაწილი, ვინც რაიმე ტიპის სამოქალაქო აქტივობაში ჩაერთო, ყველაზე ხშირად მონა-წილეობდა დასახლების/სამეზობლოს პრობლე-მების გადაწყვეტაში (2013 - 8%, 2015 – 7%, 2017 – 7%).

გრაფიკი #103 - სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობის მცდელობა - 2013-2015-2017 წლის მონაცემები



ადგილობრივი თვითმმართველობის ორგა-ნოებისადმი მიმართვიანობის თვალსაზრისით, მოსახლეობის აქტივობა საკმაოდ დაბალია. კერძოდ, თუ 2013 წელს საკრებულოს/გამგეო-ბას, კონკრეტული პრობლემების მოგვარების მიზნით, რესპონდენტთა 20%-მა მიმართა, 2015 წელს მათმა რიცხვმა 18%, 2017 წელს კი - 16% შეადგინა.

ქალაქი/სოფლის ჭრილში კვლევამ აჩვენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორ-განოებს ცოტა უფრო აქტიურად მიმართავენ სოფელში (2013 – 23%, 2015 – 21%, 2017 – 17%), ვიდრე ქალაქში (2013 – 18%, 2015 – 16%, 2017 – 15%). კვლევის სამივე რაუნდის შედეგებით, საკრებულო/გამგეობისთვის კონ-კრეტული პრობლემების მოგვარების მიზ-ნით ყველაზე მაღალი მიმართვიანობა გუ-რიასა და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონში ფიქსირდება. კვლევის ბოლო ორ რაუნდში, თითქმის ყველა რეგიონში შემცირდა ადგილობრივი თვითმმართველობისადმი მი-მართვიანობის მაჩვენებელი, თუმცა ზრდის ტენდენციაც დაფიქსირდა სამ რეგიონში - მცხეთა-მთიანეთში (2013 – 15%, 2015 – 23%, 2017 – 27%), სამცხე-ჯავახეთსა (2013 – 17%, 2015 – 18%, 2017 – 26%) და შიდა ქართლში (2013 - 17%, 2015 – 8%, 2017 – 10% - ამ რეგიონში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2013 წელს დაფიქსირდა, თუმცა, წინა რაუნდთან შედარებით, აქაც მატება ვლინდება).

გრაფიკი #104 - ადგილობრივი თვითმმართველობებისადმი მიმართვიანობა ქალაქი/სოფლის ჭრილში - 2013-2015-2017 წლის მონაცემები



აღსანიშნავია, რომ **გენდერის** ჭრილში არ ვლინდება არსებითი განსხვავება საკრებულო/გამგეობისთვის კონკრეტული პრობლემების მოგვარების მიზნით მიმართვიანობის თვალსაზრისით - ათიდან ორმა ქალმა (2013 – 20%, 2015 – 19%, 2017 – 17%) და კაცმა (2013 – 21%, 2015 – 17%, 2017 – 14%) მიმართა თვითმმართველობის ორგანოებს.

პოზიტიურია ტენდენცია თვითმმართველობების მიერ პრობლემების გადაჭრის, ასევე პროცედურების სიმარტივის შეფასების თვალსაზრისით. რაც შეეხება მოსახლეობასთან რაიონის/მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ურთიერთობას, ყველაზე ეფექტიანად მას რესპონდენტები 2015 წელს მიიჩნევდნენ (58%). თუმცა, კვლევის სხვა რაუნდების შედეგებით, ყოველი მეორე რესპონდენტი აცხადებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოსახლეობასთან ეფექტიანად ურთიერთობენ (2013 – 52%, 2017 – 53%). **რეგიონის** ჭრილში აღსანიშნავია, რომ კვლევის სამივე რაუნდის შედეგების ჯამური მაჩვენებლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსახლეობასთან ურთიერთობას ეფექტიანად ყველაზე ბევრი ადამიანი აფასებს გურიის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში. ასევე, მოსახლეობასთან ადგილობრივი თვითთმართველობის ორგანოების ურთიერთობას უფრო ეფექტიანად მიიჩნევენ **სოფელში** (2013 – 66% 2015 – 67%, 2017 – 66%), ვიდრე **ქალაქში** (2013 – 39%, 2015 – 51%, 2017 – 44%).

თბილისის სპეციფიკური ადმინისტრაციული მოწყობის გათვალისწინებით, კვლევის სამივე რაუნდისას, **მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის** მონაცემები გაანალიზდა ცალკე თბილისისათვის და ცალკე საქართველოს სხვა ქალაქებისა თუ სოფლებისათვის. როგორც კვლევის მონაცემები ცხადყოფს, თბილისში რესპონდენტები არ იზიარებენ მისი უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის იდეას (2013- 29%, 2015 – 42%, 2017 – 41%). სხვა ქალაქებისა და სოფლების შემთხვევაში მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფას ყველაზე მეტი გამოკითხული არ ემხრობა 2015 წელს, შემდეგ კი შემცირების ტენდენცია შეინიშნება (ქალაქი: 2013 – 48%, 2015 – 52%, 2017 – 45%; სოფელი: 2013 – 39%, 2015 – 45%, 2017 – 32%).

გრაფიკი #105 - ადგილობრივი თვითმმართველობების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის მოწინააღმდეგეები ქალაქი/სოფლის ჭრილში- 2013-2015-2017 წლის მონაცემები



ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფის მხარდამჭერები მთავარ არგუმენტად ხელისუფლების მხრიდან მომსახურების უფრო ადვილად მიღებას ასახელებენ (2013 – 66%, 2015 – 62%, 2017 – 45%). თუმცა, ზოგადად, გამოკითხულთა აზრით, არსებული მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფა, დიდი ალბათობით, ვერ მოაგვარებს დასახლების პრობლემებს და რეალობა უარესობისკენ შეიცვლება (ქალაქი: 2013 – 31%, 2015 – 39%, 2017 – 33%; სოფელი: 2013 – 25%, 2015 – 39%, 2017 – 24%).

გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევის მომხრეთა რაოდენობა ბოლო რაუნდისას შემცირდა, თუმცა, ამ წესს მაინც გამოკითხულთა უმრავლესობა უჭერს მხარს (2013 – 64%, 2015 – 67%, 2017 – 53%). ასევე აღსანიშნავია, რომ

კვლევის სამივე რაუნდის შედეგების თანახმად, ათიდან ოთხი რესპონდენტი ისურვებდა მუნიციპალიტეტის/ქალაქის საკრებულოს გამგებლის/მერის გადაყენების უფლებას (2013 – 47%, 2015 – 41%, 2017 – 41%).

გრაფიკი #106 - გამგებლის (მერის) არჩევისა და გადაყენების უფლების ქონა - 2013-2015-2017 წლის მონაცემები



თვისებრივი კვლევის შედეგები - თვითმმართველობის მომსახურების ზოგადი შეფასება

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან **მოსახლეობის მიმართვიანობის კუთხით**, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა გამოყვეს ისეთი საკითხები, როგორიცაა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, სხვადასხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და ინფრასტრუქტურული საკითხები (სახლების გადახურვა, ლიფტების მოწესრიგება, სადარბაზოების შესასვლელი კარების დამონტაჟება, სადარბაზოებთან მისასვლელი შიდა გზების მოპირკეთება). აღინიშნა ნეგატიური ფაქტორებიც, თუმცა, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობას, ძირითადად, პოზიტიურად აფასებდნენ და იწონებდნენ ოპერატიულ რეაგირებას მათ წინადადებებზე. აქვე ხაზი გაესვა თავად მოქალაქეების აქტიურობისა და პროცესში ჩართულობის საჭიროებას ბევრი საკითხის მოსაგვარებლად.

„ჩვენ მოგვცეს 2-სართულიანი სახლის გადასახურავი, მაგრამ ამის გადახურვა ძალიან ძვირი ჯდება და გვიწყვია ჯერ... პროექტიც იყო და ჩვენც დავწერეთ განცხადება. პროექტი არის, მაგრამ თვითონ ბინაც უნდა აქტიურობდეს, რომ დროულად მოხდეს ეს გადახურვა.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„არ შემიძლია რაიმე უარყოფითი ვთქვა. კეთილმოწყობაზე გვქონდა პროექტი შეტანილი. თვითონ დამირეკეს, მობრძანდით, ნახეთო.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„კორპუსმა მივმართეთ თანადაფინანსებით სადარბაზოების შეკეთებაზე. ერთ სადარბაზოში გააკეთეს და კმაყოფილები ვართ: რკინის კარი ჩასვეს, სენსორული განათებები დააყენეს და ველოდებით ახლა სხვა სადარბაზოებშიც იმავეს, უბრალოდ, თანადაფინანსების თანხა ვერ იკრიბება და ამაში მერიას ვერ დავადანაშაულებთ.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ჩვენ მივმართეთ - ამხანაგობის თავმჯდომარემ მიმართა - ეზოში ფასადის მოპირკეთებაზე და დაგვიფინანსეს 80%.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„მაქვს კერძო სახლი და სახლთან, გარეთ, არის მრავალწლიანი ხეები. ჩვენს მუნიციპალიტეტს გავუგზავნე ინტერნეტით ინფორმაცია და ვთხოვე მოსვლა; იმ საღამოსვე შემეხმიანენ, მკითხეს მისამართი და გაარკვიეს, იყვნენ თუ არა მეზობლებიც თანახმა, რომ ხე მოეჭრათ. სამ დღეში დაგვირეკეს, მოვიდნენ და მოჭრეს.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„როცა ქუჩა გააკეთეს, გვინდოდა ბავშვების უსაფრთხოებისთვის ბორცვების დაგება; დავრეკეთ და მოვიდნენ.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

დისკუსიის მონაწილეებმა ასევე აღნიშნეს, რომ აუცილებელია ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული კადრების პროფესიონალიზმის ამაღლება. მართალია, ითქვა, რომ იქ კვალიფიციური სპეციალისტებიც მუშაობენ, მაგრამ ძირითადად მიუთითებდნენ პროფესიონალი კადრების თვალსაზრისით არსებულ სერიოზულ პრობლემებს.

„მე მგონია, ჩვენი სახელმწიფო იხვეწება მომსახურეობის დონის გაუმჯობესების თვალსაზრისით.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„ძირითადი ბირთვი არის პროფესიონალი, მაგრამ გამოერევა ხოლმე ბალასტიც.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„მყავდა ნაცნობი ქალბატონი მერიაში და ასაკის გამო გაუშვეს. ახალგაზრდა რომ მიიყვანეს, არ იცოდა არაფერი, ვერ მუშაობდა და ამ ქალბატონს იბარებდნენ, რომ ესწავლებინა ახალგაზრდისთვის საქმე.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ისეთი კადრებითაა დაკომპლექტებული, რომ არ იციან, რა უნდა გააკეთონ; დროს ატარებენ, ხელფასებს იღებენ.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„ერთია პროფესიონალიზმი, მეორეა დამოკიდებულება. მიდიხარ საჯარო სამსახურში შენი პრობლემებით და იქ დამოკიდებულება აქვთ აგდებული... იუსტიციის სახლზე რომ ამბობენ, დაყენებულები სახეები აქვთ, სულ გიღიმიანო, ეს სწორიცაა: შენ შენი პრობლემები გაქვს და კიდევ ვიღაცის ჩამოშვებული სახე არ გჭირდება. გიჩნდება პროტესტი.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევას ანიჭებდნენ უპირატესობას ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში, რის მთავარ არგუმენტადაც მოჰყავდათ საკუთარი საარჩევნო უფლების მნიშვნელობა, პასუხისმგებლობის დაკისრება კონკრეტული კანდიდატისთვის და ამ უკანასკნელის მეტი ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე. მათი აზრით, არაპირდაპირი წესით გამგებლის (მერის) არჩევა-დანიშვნის მთავარი რისკი ისაა, რომ კონკრეტულმა სუბიექტმა არასამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს (მაგალითად, საკრებულომ შეიძლება აირჩიოს ან დანიშნოს მერი) და მოქალაქეებს მასზე ზეგავლენის მოხდენის ნაკლები ბერკეტი ჰქონდეთ. აქვე საინტერესოა, რომ ქუთაისის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ადგილობრივი კადრების არჩევა/დანიშვნის მნიშვნელობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში.

„დანიშვნას არ ვემხრობი, იმიტომ, რომ არჩევა ხალხის ნებაა... საქართველოს მთავრობა უნდა იმართებოდეს საქართველოს ხალხის ნებით. მთავრობაც, მერიც, პარლამენტიც არჩევითი უნდა იყოს.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ხალხს მეტი იმედი აქვს, რომ მისი არჩეული რაღაცას გააკეთებს.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ვფიქრობ, პირდაპირი წესით ხალხმა უნდა აირჩიოს მერი, რადგან უფრო დამოუკიდებელი იქნება და კარგად გაართმევს თავს საქმეს.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„შეიძლება ისეთი დაგვინიშნონ, რომ არც იცი ვინ არის. რომ აირჩევ, მეტად შეგიძლია პასუხი მოსთხოვო.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„...ავირჩიეთ ქალაქის მერი ქუთაისელი, მაგრამ თუ ცენტრალურ ხელისუფლებას არ მოსწონს ის, მაშინ აზრი არ აქვს ჩვენს არჩევანს... მთავარია, ჩვენ მივაღწიოთ იმას, რომ ზედა ეშელონებში გვყავდეს ისეთი ხალხი, რომ ყველა რეგიონის სატკივარი მიიტანონ გულთან. დანიშნოს ქუთაისელი და მიეხმაროს მას. თუ არ მისცემ საშუალებას რომ საქმე გააკეთოს, რა აზრი აქვს [დაინიშნება თუ არჩეული იქნება]?!.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„სჯობს, ქალაქის მერი აირჩიოს ხალხმა და სასურველია ის იყოს ადგილობრივი. არავინ მითხრას, რომ თბილისელ კაცს უფრო შესტკივა გული ქალაქზე, ვიდრე ადგილობრივს.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

თუმცა, მსჯელობისას გამოიკვეთა მეორე მიმართულებას: დისკუსანტები სკეპტიციზმს ამჟღავნდებდნენ გამგებლის (მერის) არჩევის ნებისმიერ ფორმასთან დაკავშირებით. ერთ შემთხვევაში, ამის არგუმენტად ის გარემოება სახელდებოდა, რომ რეალობა მაინც არ შეიცვლება, ან მთავარი შედეგია და შედეგის მიღწევის გზა არსებითი არ არის. მეორე შემთხვევაში კი დისკუსიის მონაწილეები საფრთხეებს ხედავენ ადგილობრივი თვითმმართველობების ნაკლებ დამოუკიდებლობასა და მასზე ცენტრალური ხელისუფლების დიდ გავლენაში.

„ვინც უნდათ, ის აირჩიონ. მთავარია, მერე ხალხს მიხედონ.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ადგილობრივი არჩევნები ტარდება იმისთვის, რომ გვაქვს არჩევნები და მერე კონკურსი უნდა ჩაატაროს გამგებელმა და დაგვინიშნოს მერი. მთავარია, მან საქმე გააკეთოს და არ აქვს მნიშვნელობა...“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„შეიძლება ჩვენ ავირჩიოთ, მაგრამ მათგან [ცენტრალური ხელისუფლებისგან] არ ექნება მხარდაჭერა. იტყვიან, რომ „ჩვენი კაცი“ არ არის და მორჩა...“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„გასაქანს არ მისცემენ.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„არ აქვს აზრი, გინდა ხალხმა აირჩიოს და გინდა დეპუტატებმა, მაინც ფორმალობაა ეს ყველაფერი, როგორც ზევით [ცენტრალური ხელისუფლება] უნდათ, ისე გადაწყდება ყველაფერი.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ფორმებზე ინფორმირებულობასა და აქტიურ მონაწილეობასთან დაკავშირებით. ისინი აღნიშნავდნენ რომ თვითმმართველობაში მონაწილეობის ფორმების შესახებ ბევრ ინფორმაციას არ ფლობენ და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული თუ ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებისთვის მიმართვით შემოიფარგლებიან. მათი განმარტებით, ცოდნა სამოქალაქო აქტივობის ფორმების შესახებ დაბალია. დისკუსანტები ხაზს უსვამდნენ არსებულ რეალობას, რომ უმეტესად მოსახლეობას სურს იცოდეს საკუთარი უფლებებისა თუ მონაწილეობის ფორმების შესახებ, მაგრამ არ იცის, სად მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია. მართალია, სამოქალაქო აქტივობასთან დაკავშირებით სკეპტიკური მოსაზრებები გაჟღერდა, მაგრამ აქვე ისიც აღინიშნა, რომ აქტიურობა და პროცესებში მეტი ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

„საერთოდ არ გვაინტერესებს ვინ [ხელისუფლების წარმომადგენლები] რას იზამს. თუ ხალხს აქვს საჭმელი და სასმელი, საერთოდ არ აინტერესებს, ვინ არის ხელისუფლებაში. ეს არის ზოგადად ქვეყნის მდგომარეობა. ჩვენ, როცა საკუთარი ჯიბის ფული არ გვაქვს, მერე ვინტერესდებით, რა ხდება.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ახლა ინფორმაციის მიტანა არ ხდება ხალხამდე და ხალხიც თვალს ხუჭავს ყველაფერზე, მაგრამ რომ იქნება მეტი ინფორმაცია, ხალხიც მეტს იაქტიურებს.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ჩვენ, მოქალაქეები, მეტი თვითშეგნებით უნდა მივუდგეთ ამ საკითხს, იმიტომ, რომ ყველა ინფორმაცია უნდა იყოს ჩვენთვის ხელმისაწდომი და ეს უნდა მოვთხოვოთ ადგილობრივ ხელისუფლებასაც, თვითმმართველობასაც, ცენტრალურ ხელისუფლებასაც და ყველას.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, ქუთაისი]

„თავისუფლად შეგვიძლია უფრო მაგარი მოქალაქეები ვიყოთ და ტონუსში გვყავდეს მერი და გამგეობა.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბერეს ხელისუფლების (როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი) მოსახლეობასთან კომუნიკაციაზეც. მათ ხაზი გაუსვეს ცუდ საკომუნიკაციო სტრატეგიას, რომელსაც 2012 წლამდე არსებული ხელისუფლების სტრატეგიას ადარებდნენ. მათი შეფასებით, აუცილებელია არა უბრალოდ საქმის კეთება, არამედ ამის შესახებ მოქალაქეთა აქტიური ინფორმირებაც.

„რეკლამა არ აქვთ, პიარს არ აკეთებენ. წინა ხელისუფლებისგან რომ გადმოიღონ პიარის გამოცდილება, კარგს იზამენ. მიშას დროს [2012 წლამდე ხელისუფლება] რომ გაკეთებულიყო C-ჰეპატიტის პროგრამა, მარსზეც კი გაიგებდნენ ამის შესახებ. პიარი საჭიროა.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნისას ბევრი რამ არ კეთდებოდა, მაგრამ პიარი იყო.“ [კაცი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„დიდი მინუსი აქვთ: რასაც აკეთებენ, მოსახლეობამ არ იცის. გვანახონ, რას აკეთებენ.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

აღსანიშნავია, რომ დისკუსიის მონაწილეებს კონკრეტული იდეები ჰქონდათ საკუთარი უფლებების, ადგილობრივ თვითმმართველობაში ჩართულობის ფორმების, სამოქალაქო აქტივობაზე

ინფორმირებულობის გაზრდის მექანიზმებთან დაკავშირებით. მოქალაქეთა მეტი ინფორმირებულობისთვის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან გზად მედიასაშუალებების გამოყენება მიიჩნიეს. ასევე ახსენეს სხვა საკომუნიკაციო საშუალებები: ფლაერების დარიგება, კონკრეტულ საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებისთვის საინფორმაციო დაფების განთავსება შესაბამის ადგილებში (მაგალითად, საბავშვო ბაღების შესასვლელთან საინფორმაციო დაფის დამონტაჟება). ინფორმირებულობის გაზრდის კიდევ ერთ მნიშვნელოვან გზად დასახელდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა პერიოდული შეხვედრები მოსახლეობასთან. ერთი მხრივ, აქ ისინი პირველწყაროდან მიიღებენ ინფორმაციას მოქალაქეთა საჭიროებების შესახებ, მეორე მხრივ კი, თავად მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, უშუალოდ პასუხისმგებელი პირისგან გაიგონ განხორციელებული თუ დაგეგმილი პროექტების და სხვადასხვა პროგრამის შესახებ. ამავე კონტექსტში ხაზი გაესვა სკოლის ასაკის ბავშვებისთვის ინტენსიური სწავლების მნიშვნელობას.

„მე 1 წლის წინ სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ გამგეობას ჰქონდა პროგრამა 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ხერხემლის და ტერფის შემოწმებაზე. ხომ შეიძლება ბუკლეტის სახით დარიგდეს ბაღებში? რა უნდა პატარა ფლაერის დაბეჭდვას? ზოგჯერ მეჩვენება, რომ ხელისუფლება ფიქრობს: ჩვენ ვაკეთებთ და თქვენ თუ ვერ გაიგეთ, ეს თქვენი პრობლემაა.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„კომუნიკაცია უნდა უფრო მეტი ადამიანებთან. ამომრჩეველი სხვას არაფერს არ ითხოვს. ადამიანს უნდა აუხსნა, რა შეგიძლია და რა არ მოხდება არასოდეს.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ისინი, ვისაც ნაკლები შეხება აქვთ სოციალურ ქსელებთან, მეტად უყურებენ ტელევიზორს და საუკეთესო გზა იქნება მათთვის საიმიჯო რგოლის გაშვება საინფორმაციოებს ან სერიალებს შორის.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

„შეიძლება ახალგაზრდებმა გაიგონ ფლაერებიდან, მაგრამ ასაკიანი ვერ გაიგებს.“ [კაცი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ასაკიანი მაინც ტელევიზიით, მედიით იღებს ინფორმაციას.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, ქუთაისი]

„ყველაზე დიდი მედია არის სოციალური ქსელები...“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„საზოგადოებრივ ტრანსპორტში შემხვედრია ინფორმაცია, მაგალითად ევროკავშირზე და საინტერესო იყო. თან, იქ არაერთხელ კითხულობ ერთსა და იმავეს.“ [ქალი, საშუალოშემოსავლიანი, თბილისი]

„სკოლაც უნდა დაეხმაროს იმ ბავშვებს, რომლებსაც ოჯახი ვერ უხსნის სხვადასხვა საკითხს.“ [ქალი, დაბალშემოსავლიანი, თბილისი]

5.9. მოსახლეობის სოციო-დემოგრაფიული პროფილი

კვლევის შედეგების თანახმად, 2017 წელს რესპონდენტთა 54% მდედრობითი სქესის, ხოლო 46% - მამრობითი სქესის წარმომადგენელია. გამოკითხულთა შორის ყველაზე მეტია 25-დან 34 წლამდე (19%) და 35-დან 44 წლამდე (18%) ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები.

კვლევაში მონაწილეთაგან 64% დაქორწინებულია. ეთნიკური ნიშნით თუ დავაჯგუფებთ, კვლევაში მონაწილეობდნენ ეთნიკური ქართველები (89%), სომხები (4%) და აზერბაიჯანელები (6%).

გრაფიკი #107 - სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და ეროვნება – 2017 წლის მონაცემები



კვლევამ ცხადყო, რომ გამოკითხული მოსახლეობა, საშუალოდ, 4-წევრიანი ოჯახებისგან შედგება. რესპონდენტთა 48%-ის თქმით, ოჯახებში არ არიან ბავშვები. ყველაზე ხშირად კი ოჯახებში ბავშვების საშუალო რაოდენობა ორს არ აღემატება.

გრაფიკი #108 - ოჯახის შემადგენლობა – 2017 წლის მონაცემები



რესპონდენტთა 8% აცხადებს, რომ მათ ოჯახს სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს მინიჭებული, იძულებით გადაადგილებულ პირთა წილი გამოკითხულებში კი 4%-ია.

გამოკითხულთა 41% სრული საშუალო, ხოლო 33%-ს სრული უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. რაც შეეხება დასაქმებას, გამოკითხულების 29% უმუშევარი, 22% - პენსიონერი, 20% კი - დაქირავებული მუშაკია.

გრაფიკი #109 - განათლება და სამუშაო სტატუსი –2017 წლის მონაცემები



კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხული ოჯახების დიდ ნაწილს ფული საკვებზე ძლივს ჰყოფნის (39%).

გრაფიკი #110 - მატერიალური მდგომარეობის შეფასება – 2017 წლის მონაცემები



გამოკითხული ოჯახების 5%-ის ყოველთვიური შემოსავალი 100 ლარზე ნაკლებია, ათიდან სამი გამოკითხულის ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 101-დან 300 ლარამდე მერყეობს (27%). აღსანიშნავია, რომ შემოსავლებში აღრიცხულია ნებისმიერი ტიპის შემოსავალი სოციალური დახმარებისა და პენსიის ჩათვლით.

გრაფიკი #111 - ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი (ლარი) – 2017 წლის მონაცემები



6

შეჯამება

სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლება

დოკუმენტი მოამზადა „ეისითი“-მ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ფარგლებში. ეს გახლავთ მოსახლეობის საჯარო სერვისებით კმაყოფილების 2017 წლის კვლევის შედეგებისა და კვლევის სამი რაუნდის (2013-2015-2017) ანალიზი.

კვლევის შედეგები მოწმობს, რომ 2017 წელს **მუნიციპალური საბავშვო ბაღები**, უმეტესად, ხელმისაწვდომია დასახლების ყველა ტიპისათვის. ასევე, მაღალია საბავშო ბაღებამდე მიმავალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა და მოსახლეობის საბავშვო ბაღებით კმაყოფილების დონეც. საბავშვო ბაღებით ზოგად კმაყოფილებასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სერვისი რესპონდენტთა უკმაყოფილებას იწვევს. ამ თვალსაზრისით გამოიკვეთა რეგისტრაციის პროცედურები, რომლითაც ყველაზე ნაკლებად არიან კმაყოფილნი რესპონდენტები (63%). რეგისტრაციის პროცედურაზე დისკუსიის მონაწილეებმაც გაამახვილეს ყურადღება თვისებრივი კვლევის ფარგლებში. ფოკუს ჯგუფებზე მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ ელექტრონული რეგისტრაცია, შესაძლებელია, ამარტივებს ბავშვების ბაღსა და სკოლაში რეგისტრაციის პროცედურას, მაგრამ ბევრ პრობლემასაც ქმნის. კერძოდ, ერთი მხრივ, პროცესს ართულებს ონლაინ-სერვისების გამოყენების არცოდნა, მეორე მხრივ, რეგისტრაცია პრობლემურია შეზღუდული დროისა და ბაღსა თუ სკოლაში შეზღუდული ადგილების გამო.

კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ სერვისის ხელმისაწვდომობის ზრდა აუცილებლად არ გულისმობს ამავე სერვისით კმაყოფილების დონის ზრდასაც, რასაც ბევრი მონაცემი მოწმობს. მაგალითად, წლებთან ერთად მაღალმთიან დასახლებებში მუნიციპალურ საბავშვო ბაღებთან ხელმისაწვდომობა იზრდება (2013 - 35%, 2015 – 38%, 2017 – 53%), თუმცა, კმაყოფილების მაჩვენებელი მცირედით, მაგრამ მაინც შემცირებულია (2013 - 90%, 2015 – 91%, 2017 – 86%). აქვე აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობა 2017 წელს თითქმის ყველა რეგიონში გაზრდილია. თუმცა, რეგიონთა უმრავლესობაში, მუნიციპალური ბაღებით კმაყოფილების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს დაფიქსირდა.

საჯარო სკოლების ხელმისაწვდომობა მაღალია, მათ შორის, სკოლამდე მიმავალი საზოგადოებრივი ტრანსპორტის თვალსაზრისით. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ მხრივ უფრო მაღალი მაჩვენებელი ქალაქებში ფიქსირდება, ვიდრე სოფლებში. მაღალია სკოლებით კმაყოფილების დონეც. აღსანიშნავია, რომ სკოლაში საკითხების გასაჩივრების მექანიზმებზე ინფორმაცია ცოტას აქვს (42%), თავად გასაჩივრების პრაქტიკა კი თითქმის არ არსებობს.

მართალია, ფოკუს ჯგუფებზე გამოიკვეთა საჯარო სკოლებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემები (მოუწესრიგებელი საპირფარეშოები, ჰიგიენური ნორმების დარღვევა), თუმცა, სკოლის სხვადასხვა პარამეტრით კმაყოფილების კვლევისას ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით დაფიქსირდა (81%). კვლევის რაუნდების მიხედვით, სკოლების ხელმისაწვდომობა, 2015 წელთან შედარებით (88%), 2017 წელს გაიზარდა (96%) და კვლავ 2013 წლის მაჩვენებელს (95%) გაუტოლდა, რაც შეეხება კმაყოფილების მაჩვენებელს, ის კვლევის ბოლო ორი რაუნდის შედეგების თანახმად, თითქმის იდენტურია (2015 – 89%, 2017 – 88%), თუმცა გაზრდილია 2013 წელთან (80%) შედარებით.

პროფესიული სასწავლებლები ხელმისაწვდომია ათიდან ოთხი გამოკითხულის (40%) თქმით. ყველაზე პოპულარულ პროფესიებად, რომელთა დაუფლებასაც თავიანთი მუნიციპალიტეტისთვის/რეგიონისთვის რესპონდენტები პრიორიტეტულად მიიჩნევენ, სამშენებლო (43%) და სამედიცინო (42%) მიმართულებები დასახელდა. თუმცა, არის განსხვავებაც, მაგალითად, აჭარისთვის პრიორიტეტულია ტურიზმის სფერო (66%). აღსანიშნავია, რომ ქალაქის ტიპის დასახლებებში, კვლევის სამივე რაუნდის შედეგად, უპირატესობა სამშენებლო სფეროს პროფესიებს, სოფელში კი - სასოფლო-სამეურნეო სფეროს მიენიჭა. პროფესიულ სასწავლებელთა ხელმისაწვდომობა სტაბილურად იზრდება (2013 - 31%, 2015 – 37%, 2017 – 40%), რაც იმით აიხსნება, რომ პროფესიული განათლება სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად სახელდება.

სხვადასხვა სოციალური მომსახურება

ორი ყველაზე გავრცელებული **სოციალური სერვისია** *სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა* და *ასაკობრივი პენსია*. აღნიშნულ სერვისებს რესპონდენტები დროულად იღებენ და მათ მისაღებად საჭირო რეგისტრაციის პროცედურებიც მარტივად აღიქმება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დაზღვევის მქონეთა რიცხვი, კვლევის წინა რაუნდთან შედარებით, შემცირებულია (2013 - 38%, 2015 – 72%, 2017 – 48%).

მართალია, **უფასო სახელმწიფო სასადილოების** შესახებ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის ინფორმირებული, თუმცა ისინი, ვისაც სმენია ამ სერვისის შესახებ, პოზიტიურად აფასებენ კვების ხარისხსაც და კაცზე გამოყოფილ ულუფასაც საკმარისად მიიჩნევენ. აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევის რაუნდების მიხედვით, ყველა რეგიონში უშუალოდ დასახლებაში/უბანში უფასო სასადილოების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი მცირედით გაზრდილია (2013 - 10%, 2015 – 14%, 2017 - 14%).

ჯანდაცვა

სამედიცინო დაწესებულებებისადმი ავადმყოფობის გამო მიმართვიანობა მეტნაკლებად სტაბილურ დინამიკას აჩვენებს. თუ საავადმყოფოებს ათიდან ოთხი რესპონდენტი მიმართავს ავადმყოფობის გამო (2013 – 40%, 2015 – 43%, 2017 – 37%), პოლიკლინიკის შემთხვევაში მათი რაოდენობა ათიდან ყოველი მესამეა (2013 – 29%, 2015 – 33%, 2017 – 31%). ამბულატორიების შემთხვევაში მიმართვიანობა ყველა წელს დაბალია და, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო მაღალი მაჩვენებელი სოფლებში ფიქსირდება. რაოდენობრივი კვლევის შედეგები მოწმობს, რომ საავადმყოფოებით კმაყოფილება მაღალია. თუმცა, ამ კონტექსტში სიანტერესოა ქუთაისის ფოკუს ჯგუფებში გამოვლენილი პრობლემები. კერძოდ, რეგიონში დისკუსიის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს როგორც ექიმების არაპროფესიონალიზმზე, ასევე უხარისხო სერვისსა (მოუწესრიგებელი რიგები, გაუმართავი ინფრასტრუქტურა) და არაოპერატიულობაზე. ამის გამო რეგიონის მოსახლეობა იძულებული ხდება, სამედიცინო მომსახურება თბილისში მიიღოს.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისით კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა კვლევის ყველა რაუნდში. თუმცა, აღნიშნულ სერვისთან დაკავშირებით პრობლემები გამოიკვეთა ქუთაისის ფოკუს ჯგუფებში დისკუსიისას. აღინიშნა, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმების პროფესიონალიზმსა და მომსახურების დონესთან დაკავშირებით პრეტენზიები არ არსებობს, მაგრამ სერიოზული პრობლემაა სერვისით ოპერატიულად სარგებლობა, რაც 112-ის სამსახურს უკავშირდება. კერძოდ, ცენტრალიზებულად და კონცენტრირებულად სერვისის მიღებამ ქუთაისის შემთხვევაში მდგომარეობა გაართულა - დიდი დრო მიაქვს ქალაქში/მუნიციპალიტეტში მისამართის გარკვევას. თუ სხვა რომელიმე სერვისის ცენტრალიზებულად მიღება უფრო მარტივია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების შემთხვევაში, პროცესი რთულდება, ვინაიდან დრო კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ შემცირდა მათი რაოდენობა, ვისაც აქვს ინფორმაცია **მოსახლეობის პროფილაქტიკური აცრებისა** (2013 – 16%, 2015 – 14%, 2017 – 21%) და **პირუტყვის/შინაური ცხოველების აცრების** სახელმწიფო პროგრამების შესახებ (2013 – 49%, 2015 – 67%, 2017 – 30%).

რეკრეაცია, დასვენება და კულტურა

კვლევის ყველა რაუნდისა და დასახლების ტიპის მიხედვით, ყველაზე მეტად ხელმისაწვდომ **რეკრეაციული ობიექტად** სპორტული მოედანი სახელდება. მას მიიჩნევენ ყველაზე პრიორიტეტულ სარეკრეაციო ობიექტად როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში; ქალაქის ტიპის დასახლებებსა და, განსაკუთრებით, თბილისში, მაღალი მოთხოვნაა საზოგადოებრივ პარკებზე (თბილისი - 73%, სხვა ქალაქები - 58). ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ თბილისში ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა საგანგებო ყურადღება გაამახვილეს მწვანე საფარის სიმწირეზე ქალაქში. სერიოზულ პრობლემად დასახელდა ხეების მოჭრის ტენდენცია. ასევე, ახალდარგული ხეების შემდგომი მოუვლელობა. ქუთაისში კი, რეკრეაციისა და გართობის თვალსაზრისით, ყველაზე პრობლემურად ქალაქში კინოთეატრის არარსებობა გამოვლინდა.

კომუნალური ინფრასტრუქტურა

წყალმომარაგებასთან დაკავშირებით რეალობა წლების მიხედვით არსებითად არ იცვლება და ცენტრალური წყალმომარაგება სამივე წელს ხელმისაწვდომია ათიდან შვიდი რესპონდენტისთვის (2013 – 68%, 2015 – 69%, 2017- 72%). აღსანიშნავია, რომ წყალმომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემად გამოყვეს ქუთაისის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა. ეს დასტურდება რაოდენობრივი კვლევითაც: უწყვეტი წყალმომარაგების პრობლემა ყველაზე აქტუალური სწორედ იმერეთშია - 66%-ს წყალი ყოველდღიურად, თუმცა, გრაფიკით მიეწოდება; საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის წყლის არასაკმარის რაოდენობაზე კი იქ რესპონდენტთა მხოლოდ 37% მიუთითებს. წყალმომარაგებით კმაყოფილების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელიც იმერეთში ფიქსირდება (52%). თუმცა, აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი მონაცემების თანახმად, იმერეთზე უარესია რეალობა შიდა ქართლში. კვლევის რაუნდების მიხედვით, იმერეთში წყალმომარაგებაზე ხელმისაწვდომობა 2013 წლიდან მცირდება (2013-57%, 2015-51%, 2017-49%), თუმცა, მომხმარებელთა კმაყოფილება მეტნაკლებად სტაბილურია (2013-44%, 2015 - 37%, 2017-52%).

ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, კვლევის რაუნდებს შორის არსებითი ცვლილებები არ შეინიშნება და მასზე მხოლოდ გამოკითხულთა ნახევარს (ბუნებრივია, ურბანულ დასახლებებში) მიუწვდება ხელი.

ელექტროენერგიის სერვისს პოზიტიურად აფასებენ როგორც ზოგადად ქვეყანაში, ასევე ყველა ტიპის დასახლებასა თუ რეგიონში, კვლევის სამივე რაუნდში, რადგან რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა უზრუნველყოფილია 24-საათიანი ელექტრომომარაგებით. გამოკითხულები კმაყოფილები არიან როგორც მისი ხარისხით ყველა სეზონზე, ასევე ოპერატიული სერვისით. აღსანიშნავია, რომ ზრდის ტენდენცია შეინიშნება როგორც ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობის (2013-94%, 2015 - 94%, 2017-98%), ასევე ხარისხითა და სერვისით კმაყოფილების თვალსაზრისით.

გაზმომარაგებასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური ტენდენციაა, როგორც ცენტრალური გაზმომარაგების სისტემასთან წვდომის, ასევე სისტემით სარგებლობის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ცენტრალური გაზმომარაგების მომხმარებელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება სოფლებში (2013 - 49%, 2015 – 84%, 2017 – 91%). გაზმომარაგების ხელმისაწვდომობა იზრდება მაღალმთიან დასახლებებშიც (2013 – 21%, 2015 – 16%, 2017 – 44%). სოფლებში გაზმომარაგებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, დიდი ალბათობით, პირდაპირ კავშირშია მიმდინარე გაზიფიცირების სახელმწიფო პროგრამებთან.

ნარჩენების გატანის სერვისის ხელმისაწვდომობა იზრდება: 2013 წელს ათიდან ექვსი რესპონდენტი სარგებლობდა ცენტრალიზებულად ნარჩენების გატანის სერვისით (59%), 2015 წელს - ათიდან შვიდი (74%), 2017 წელს კი - ათიდან რვა (79%). აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით რეალობა მნიშვნელოვნად შეიცვალა სოფლებში, სადაც კვლევის პირველი რაუნდისას აღნიშნული სერვისით ათიდან ორი რესპონდენტი სარგებლობდა (21%), მეორე რაუნდისთვის ეს მაჩვენებელი 48%-მდე, მესამე რაუნდისთვის კი - 54%-მდე გაიზარდა. სავარაუდოდ, პოზიტიური ტენდენცია უკავშირდება ბოლო წლებში მყარი ნარჩენების მართვის სფეროში მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებულ აქტივობებს.

ქუჩების დასუფთავება, მართალია, უფრო ხელმისაწვდომია ქალაქებში, მაგრამ ზოგადად ზრდის ტენდენცია შეინიშნება ყველა დასახლების ტიპში, როგორც აღნიშნული სერვისის ხელმისაწვდომობის, ასევე კმაყოფილების თვალსაზრისით. დასუფთავების კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა თბილისშიც და ქუთაისშიც საგანგებოდ აღნიშნეს გარევაჭრეობის პრობლემა და დადებითად შეაფასეს მისი აკრძალვა. ისიც ითქვა, რომ პრობლემა სამოქალაქო შეგნების ნაკლებობაა, რადგან თავად მოქალაქეებმაც უარი უნდა თქვან გარე მოვაჭრეთა სერვისით სარგებლობაზე. ამავე კონტექსტში, დადებითად შეფასდა ქუჩების დაბინძურებისთვის დაკისრებული საჯარიმო სისტემის ამოქმედება. ნარჩენების გატანის მსგავსად, სოფლებში მუნიციპალიტეტების გააქტიურების შედეგად, პოზიტიური ძვრები შეინიშნება დასუფთავების კუთხით: აქ დასუფთავების სერვისი 2013 წელს საერთოდ არ არსებობდა, 2015 და 2017 წლებში კი მისი ხელმისაწვდომობა, შესაბამისად, 6% და 12%.

საგზაო ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით *შიდა გზების* გამართულობას ყველაზე მეტად თბილისში აღნიშნავენ. რეგიონთა უმეტესობაში კი რეალობა ფასდება როგორც „ცუდი“. რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის რეგიონში ნეგატიურად აფასებენ ისეთ სერვისებთან ხელმისაწვდომობას, როგორიცაა შიდა და გარე გზები, აგრეთვე საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რომელიც რესპონდენტთა 24%-ის თქმით, საერთოდ არ არსებობს, 30%-ის შეფასებით კი - ცუდია. ამავე რეგიონში სერიოზული პრობლემაა საგზაო ნიშნებიც, რომლის არარსებობაზე ათიდან ექვსი რესპონდენტი მიუთითებს (57%). *შუქნიშნების* კუთხით სერიოზული პრობლემაა გურიასა (99%) და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთში (98%), სადაც მათი ხელმისაწვდომობა თითქმის ნულოვანია. შუქნიშნების არარსებობის მაჩვენებელი ასევე მაღალია კახეთსა (80%) და მცხეთა-მთიანეთში (88%). *გარე განათებას*, უმეტესად, პოზიტიურად აფასებენ ყველა რეგიონში, თუმცა, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის შემთხვევაში ათიდან სამი განათების სრულ არარსებობაზე მიანიშნებს. თბილისის გარდა, ყველა რეგიონში პრობლემაა *სახლების ნუმერაციაც.* ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია გურიისა (87%) და რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთის (83%) რეგიონები, სადაც სახლების ნუმერაცია პრაქტიკულად არ არსებობს. აღსანიშნავია, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის თითქმის ყველა პარამეტრს მაღალი შეფასება აქვს თბილისში. გამონაკლისია საზოგადოებრივი ტრანსპორტი და მისი ღირებულება, რომელსაც ყველაზე პოზიტიურად აჭარის რეგიონში აფასებენ. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგადად, ყველა რეგიონის მიხედვით, ნეგატიური ვითარებაა საგზაო ნიშნების, შუქნიშნებისა და სახლების ნუმერაციის თვალსაზრისით. თუმცა, ასევე ყველა რეგიონის მიხედვით, არსებული მდგომარეობა უფრო პოზიტიურად ფასდება გარე გზების, ავტომაგისტრალების, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და მისი ღირებულების თვალსაზრისით.

მართალია, საგზაო ინფრასტრუქტურის ყველა პარამეტრს თბილისში პოზიტიურად აფასებენ,

მაგრამ ფოკუს ჯგუფებზე დისკუსიისას საგანგებოდ აღნიშნა რამდენიმე საკითხი. კერძოდ, პრობლემად დასახელდა პარკირებისთვის გაუმართავი ინფრასტრუქტურა დედაქალაქში; შესაკეთებელი და გამოსაცვლელი საგზაო ნიშნები; დასახაზი გზები (ქვეითთა გადასასვლელებისა და თეთრი ხაზების ხელახლა დახაზვის აუცილებლობა); წამზომიანი შუქნიშნების უპირატესობა არსებულ შუქნიშანთა სისტემასთან. საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებით, თბილისის ფოკუს ჯგუფებში კმაყოფილება გამოითქვა ახალი ავტობუსების შემოყვანის გამო და ხაზგასმით აღინიშნა მსგავსი ტრანსპორტის, ასევე ტრამვაისა და ველოსიპედებისთვის, აგრეთვე შშმ პირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მნიშვნელობა.

ქუთაისში, ინფრასტრუქტურის კუთხით, სერიოზულ პრობლემად დასახელდა სახლების ნუმერაციის გაუმართაობა. ასევე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის კონტექსტში, შესაბამისი მოსაცდელების/გაჩერების ორგანიზების აუცილებლობა, სადაც იქნება წამზომიანი ტაბლოებიც, ტრანსპორტის მოძრაობის შესახებ დატანილი ინფორმაციით.

ზოგადად, გარე გზების ხარისხი, კვლევის წინა რაუნდის მონაცემებთან შედარებით, ოდნავ გაუარესდა (2013 - 73%, 2015 – 80%, 2017 – 77%), თუმცა, გაუმჯობესდა შიდა გზების მდგომარეობა (2013 – 47%, 2015 – 54%, 2017 – 57%) და საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა (2013 – 73%, 2015 – 82%, 2017 – 87%).

სხვადასხვა მომსახურება

დაგეგმარებას, მშენებლობასა და კეთილმოწყობას დადებითად და უარყოფითად აფასებენ ქალაქის თითქმის თანაბარი რაოდენობით მცხოვრებნი. მათ შორის, ყველაზე პოზიტიური შეფასებებია კეთილმოწყობის თვალსაზრისით. თბილისში, ფოკუს ჯგუფში განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა დაგეგმარება-მშენებლობის საკითხზე და ურბანული დაგეგმარება, უმეტესად, ნეგატიურად შეფასდა. საერთოდ, ძალიან დაბალია და შემცირების ტენდენციას ავლენს დაგეგმარებითა (2013 – 59%, 2015 – 57%, 2017 – 59%) და, განსაკუთრებით, მშენებლობის რეგულაციით (2013 – 54%, 2015 – 56%, 2017 – 55%) კმაყოფილების მაჩვენებელი.

ტურიზმის კონტექსტში, 2017 წლის შედეგები მოწმობს, რომ სფეროს განვითარების თვალსაზრისით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისსა (79%) და აჭარაში (69%) ფიქსირდება, სადაც ტურისტები, ძირითადად, ზაფხულში ჰყავთ. ინფრასტრუქტურა ყველა რეგიონში მეტ-ნაკლებად გამართულად მიიჩნევა, თუმცა, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ამ თვალსაზრისით კახეთში (90%) დაფიქსირდა. ტურისტების მთელი წლის მანძილზე სტუმრობაზე მიანიშნებენ ორ რეგიონში: მცხეთა-მთიანეთი - 48%, შიდა-ქართლი - 47%. მათგან ინფრასტრუქტურის გამართულობის მაჩვენებელი შიდა ქართლში (60%) უფრო მაღალია, ვიდრე მცხეთა-მთიანეთში (35%). რაც შეეხება თბილისსა და აჭარას, აქ ინფრასტრუქტურის მეტ-ნაკლებად გამართულობაზე, შესაბამისად, რესპონდენტთა 48% და 39% მიუთითებს. წლების მიხედვით, ტურიზმის განვითარების ტენდენცია პოზიტიურია (2013 – 29%, 2015- 38%, 2017 – 49%). რეგიონების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ რამდენიმე რეგიონში (იმერეთი, ქვემო ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი) ტურიზმის განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2015 წელს დაფიქსირდა. ერთადერთი რეგიონი, სადაც განვითარების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კვლევის პირველი რაუნდისას დაფიქსირდა და 2017 წელს უფრო დაბალი მაჩვენებელია, არის კახეთი (2013 – 58%, 2015 – 38%, 2017 – 47%). დანარჩენი რეგიონების ჭრილში, სფეროს განვითარების მაჩვენებლის თვალსაზრისით, ზრდის ტენდენციაა. ტურიზმის განვითარების ყველაზე მაღალი ზრდაა თბილისში (2015 – 50%, 2017 – 79%).

ტურიზმის სფეროზე ისაუბრეს ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმაც. მართალია, ითქვა, რომ ამ თვალსაზრისით ვითარება უკეთესობისკენაა შეცვლილი და ინფრასტრუქტურაც მეტ-ნაკლებად გამართულია, მაგრამ გამოიკვეთა პრობლემებიც. კერძოდ, თბილისის ჯგუფში მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა ქალაქში საპირფარეშოების არარსებობა და არსებულის გაუმართაობა, რაც პრობლემაა ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით და სერიოზულ დისკომფორტს უქმნის მოქალაქეებსაც. ქუთაისის ჯგუფში ტურიზმის განვითარების პოზიტიურ ტენდენციებზე გამახვილდა ყურადღება და იქვე ისიც ითქვა, რომ რეგიონში არსებული ტურისტული პოტენციალი სრულად გამოყენებული არაა, რაც,

პირველ რიგში, წყალტუბოს კურორტს ეხება. ამ უკანასკნელის განვითარება, ქუთაისის ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა აზრით, უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ რეგიონისთვის უპირატესად, ადგილობრივების დასაქმებისათვის), არამედ ზოგადად ქვეყნის ეკონომიკისთვისაც.

სოფლის მეურნეობას, როგორც მოსალოდნელი იყო, სოფელში უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევენ (2015 – 87%, 2017 – 91%), ვიდრე ქალაქში (2015 – 38%, 2017 – 29%) კვლევის ყველა რაუნდისას.

სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას, წლების მიხედვით, უფრო და უფრო ცუდად აფასებენ, რაც შესაძლებელია უკავშირდებოდეს იმ ფაქტს, რომ შემცირდა ამ სფეროში სხვადასხვა ტიპის დახმარება. მაგალითად, თუ 2013 წელს სოფლის ათიდან რვა მაცხოვრებელი იღებდა ვაუჩერს მიწის დამუშავებაზე/ტექნიკაზე (81%), 2015 წელს ეს მაჩვენებელი 70%-მდე შემცირდა. უკვე 2017 წელს სოფლის მაცხოვრებელთა 48% არავითარ დახმარებას არ იღებს სახელმწიფოსგან. სავარაუდოდ, კმაყოფილების მაჩვენებელი, რიგი სახელმწიფო პროგრამების დასრულების გამო, პერსპექტივაში უფრო შემცირდება.

უფასო იურიდიულ დახმარებაზე ინფორმაციას ყოველი მეორე გამოკითხული არ ფლობს, ამ სერვისით სარგებლობის მაჩვენებელი კი ძალიან დაბალია. აღნიშნულ სერვისზე ინფორმირებულობის დონე იზრდება კვლევის რაუნდების მიხედვით (2013 – 16%, 2015 – 23%, 2017 – 27%), მაგრამ იკლებს აღნიშნული სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა, რადგან თუ 2013 და 2015 წლებში, უფასო იურიდიული დახმარების სერვისით მოსარგებლეთა რიცხვი 11%-11%-ს შეადგენდა, 2017 წელს მათი რაოდენობა 7%-მდე შემცირდა.

საჯარო მომსახურებებით სარგებლობის თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ წლებთან ერთად, ამ სერვისებით სულ უფრო ნაკლები რესპონდენტი სარგებლობს (არც ერთით არ სარგებლობს: 2013 – 55%, 2015 – 58%, 2017 - 64%). ყველაზე ხშირად გამოყენებული საჯარო სერვისი კი არის პირადობის მოწმობის/ბიომეტრიული პასპორტის აღება. მართალია, აღნიშნული სერვისის საფასურით სულ უფრო ნაკლები რესპონდენტია კმაყოფილი (2013 – 66%, 2015- 58%, 2017 – 53%), მაგრამ ზოგადად სერვისით კმაყოფილების მაჩვენებელი იზრდება (2013 – 92%, 2015 – 93%, 2017 – 98%).

უსაფრთხოების თვალსაზრისით, წლების მიხედვით, მონაცემები შემცირებულია (2013 – 88%, 2015 – 85%, 2017 – 77%). ალკოჰოლიზმი კი, რომელსაც რესპონდენტები ყველაზე სერიოზულ პრობლემად ასახელებენ, გაზრდილია (2013 – 24%, 2015 – 24%, 2017 – 30%).

სახანძრო და სამაშველო სამსახურების სერვისის ხელმისაწვდომობა, კვლევის პირველ წელთან შედარებით, გაზრდილია, თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ სერვისებთან ყველაზე მაღალი ხელმისაწვდომობა 2015 წელს დაფიქსირდა (სახანძრო: 2013 – 78%, 2015 – 95%, 2017 – 93%); სამაშველო: 2013 – 67%, 2015 – 92%, 2017 – 85%). ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით შემცირდა, მას შემდეგ, რაც მოხდა აღნიშნული სერვისების ცენტრალიზაცია. ამავე დროს, სერვისებით კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება როგორც რაოდენობრივი კვლევის შედეგებში, ასევე თვისებრივი კვლევის მონაცემების მიხედვით.

ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობის დონე დაბალია, განსაკუთრებით, სოფლებში. გენდერის ჭრილში ინფორმირებულობის მაჩვენებლები არ განსხვავდება, თუმცა, სარგებლობის თვალსაზრისით, უფრო მეტი ქალი იყენებს აღნიშნულ სერვისებს (21%), ვიდრე კაცი (15%). აქვე აღსანიშნავია, რომ ელექტრონული სერვისების შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ზრდის ტენდენცია შეინიშნება: 2013 წელს აღნიშნული სერვისების შესახებ გამოკითხულთა 32% ფლობდა ინფორმაციას, 2017 წელს მათმა წილმა 39% შეადგინა.

დაბინძურების კუთხით, ჰაერს, ნიადაგსა და ბუნებრივი წყლის რეზერვუარებს შორის ყველაზე დაბინძურებულად ჰაერს მიიჩნევენ. აღნიშნული პრობლემა ყველაზე შესამჩნევია თბილისში. სახელმწიფოს მიერ გარემოს გასასუფთავებლად ჩატარებულ რაიმე ტიპის, თუნდაც პროფილაქტიკურ ღონისძიებებთან მიმართებით, რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მთავრობა არანაირ ზომას არ მიმართავს (2013 – 51%, 2015 – 46%, 2017

– 32%), თუმცა, ამგვარი პოზიციის მქონე პირთა რიცხვი მცირდება. გარემოს დაბინძურების პრობლემაზე ყურადღება გაამახვილეს თბილისის ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმაც.

თვითმმართველობის მომსახურების ზოგადი შეფასება

ადგილობრივი თვითმმართველობის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ არსებული **მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაშლის** იდეას რესპონდენტების უმრავლესობა ნაკლებად იზიარებდა კვლევის ყველა რაუნდში. ამ იდეას ქალაქში უფრო ნაკლებად ემხრობოდნენ, ვიდრე სოფელში. რესპონდენტთა ის მცირე ნაწილი, რომელიც მხარს უჭერდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფრო მცირე ერთეულებად დაყოფას, ვარაუდობდა, რომ ასეთ შემთხვევაში მოსახლეობა ხელისუფლებისგან მომსახურებას უფრო მარტივად მიიღებდა და ამით ასაბუთებდა თავის პოზიციას.

კვლევის წინა რაუნდის მონაცემებთან შედარებისას იკვეთება, რომ:

- დედაქალაქში შემცირდა უფრო წვრილ ერთეულებად დაშლის მომხრეთა რიცხვი (2013 – 39%, 2015 – 34%, 2017 – 28%), ხოლო მოწინააღმდეგეთა ოდენობა უცვლელი დარჩა (2013 – 29%, 2015 – 42%, 2017 – 41%);
- რეგიონებში მომხრეთა რიცხვი ფაქტობრივად იგივეა (ქალაქი: 2013 – 23%, 2015 – 17%, 2017 – 17%; სოფელი: 2013 – 31%, 2015 – 20%, 2017 – 19%), ხოლო მოწინააღმდეგეთა რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდება (ქალაქი: 2013 – 48%, 2015 – 52%, 2017 – 45%; სოფელი: 2013 – 39%, 2015 – 45%, 2017 – 32%);

გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევის მომხრეთა რიცხვი მცირდება: თუ ამ იდეას 2013 წელს მხარს გამოკითხულთა 64%, ხოლო 2015 წელს - 67% უჭერდა, 2017 წელს ეს რაოდენობა 53%-მდე შემცირდა. რაც შეეხება ქალაქის (საკრებულოს) გამგებლის (მერის) გადაყენების უფლებას, ამ იდეას ყველაზე მეტი მხარდამჭერი 2013 წელს (47%) ჰყავდა, 2015 და 2017 წლებში კი მათი რაოდენობა იდენტური იყო (41%). პირდაპირი არჩევითობის მომხრეთა შემცირება დიდი მოლოდინების შემდეგ იმედგაცრუებას უნდა დავუკავშიროთ, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი 2014 წლის არჩევნების შემდეგაც შენარჩუნდა.

ადგილობრივი თვითთმართველობის ორგანოების მუშაობით ათიდან ექვის-შვიდი რესპონდენტი კმაყოფილია (2013 – 71%, 2015 – 66%, 2017-68%) და ამდენივე ნდობას უცხადებს მათ (2013 – 71%, 2015 – 67%, 2017 – 70%). **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების** შესახებ ინფორმირებულობა დაბალია; ყველაზე მეტად ინფორმაციას მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი ფორმებზე ფლობენ, როგორიცაა დასახლების საერთო კრებაში მონაწილეობა (18%) და პეტიციის შედგენა/ხელმოწერა (14%). საერთოდ თვითმმართველობების ორგანოებისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობა მცირდება (2013 – 20%, 2015 – 18%, 2017 – 16%). ამავე დროს, გამოკითხულთა 90% საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის სამოქალაქო აქტივობაში.

მოსახლეობის საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით სტრატეგიებზე საუბრისას, რესპონდენტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მოსახლეობასთან უფრო ხშირ შეხვედრებს (2013 - 45%, 2015 – 40%, 2017 – 44%) და მეტი ბიუჯეტის გამოყოფის საჭიროებას მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად (2013 – 48%, 2015 – 40%, 2017 – 50%). აღსანიშნავია, რომ ორივე ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალი იყო 2015 წელს, როცა თვითმმართველობები შედარებით ხშირად ხვდებოდნენ მოქალაქეებს, ხოლო მუნიციპალური ბიუჯეტები გაიზარდა საერთოსახელმწიფო გადასახადის ნაწილის ადგილზე დატოვების ხარჯზე. ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში, ხაზი გაუსვეს აღნიშნული სტრატეგიის მნიშვნელობას. მართალია, კვლევის სამივე რაუნდის შედეგებით, ყოველი მეორე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოსახლეობასთან ეფექტიანად ურთიერთობენ (2013 – 52%, 2015 – 58%, 2017 – 53%), მაგრამ ფოკუს ჯგუფში დისკუსიისას საპირისპირო აზრები გაჟღერდა. კერძოდ, თბილისშიც და ქუთაისშიც ყურადღება გაამახვილეს ადგილობრივი თვით-

მმართველობების წარმომადგენელთა მოსახლეობასთან არაეფექტიან ურთიერთობაზე და აცხადებდნენ, რომ „მხოლოდ წინასაარჩევნო“ შეხვედრები საკმარისი არ არის. გარკვეული პერიოდულობით მოქალაქეებთან შეხვედრა და მოსაგვარებელ საკითხებზე ინფორმაციის უშუალოდ მათგან მიღება ადგილობრივი ხელისუფლების საკომუნიკაციო სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა ნაკლებადაა ინფორმირებული საკუთარი უფლებების/მოვალეობებისა და თვითმმართველობის განხორციელებაში მონაწილეობის ფორმების შესახებ. ეს დასტურდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მონაცემებით. ამ უკანასკნელის შედეგებიდან ირკვევა, რომ რესპონდენტებს აქვთ სურვილი, მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ და გამოთქვამენ კონკრეტულ მოსაზრებებს ინფორმირებულობის გაზრდის გზების შესახებ. კერძოდ, რესპონდენტების აზრით, საკუთარი უფლება-მოვალეობების შესახებ უკეთ გაიგებენ მედიის სხვადასხვა ფორმის საშუალებით, სკოლებში სამოქალაქო განათლების აქტიური სწავლებით, ასევე ფლაერებისა და სხვა სარეკლამო საშუალებათა გამოყენებით. გათვითცნობიერებულობის დონის ასამაღლებლად ყველაზე მნიშვნელოვან არხად მაინც მედია, პირველ რიგში კი, ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის ხელმისაწვდომი ტრადიციული მედიაა მიჩნეული.

აღსანიშნავია აგრეთვე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი ხელისუფლების უფლებათა იგნორირებისა და ცენტრისთვის (თბილისისთვის) უპირატესობის მინიჭების საკითხი, რასაც რეგიონებში ნეგატიურად აფასებენ. აქვე აღინიშნა თვითმმართველობის ორგანოების ადგილობრივი რესურსებით დაკომპლექტების მნიშვნელობაც.

კვლევის რესპონდენტები ასევე ხაზს უსვამენ ხელისუფლების მოსახლეობასთან არაეფექტიან საკომუნიკაციო სტრატეგიას და განხორციელებული თუ დაგეგმილი პროექტების შესახებ მოქალაქეთა აქტიურად ინფორმირების აუცილებლობას.

6.1. დასკვნები

ზოგადი დასკვნები

- როგორც 2013 და 2015, ისე 2017 წლის კვლევები აჩვენებს განსხვავებას, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებასა და, მეორე მხრივ, ამ მომსახურებით მოქალაქეთა კმაყოფილების ხარისხს შორის. მოსახლეობა პოზიტიურადაა განწყობილი ცვლილებების მიმართ, როცა ხედავს ხელშესახებ შედეგს. ამავე დროს, მოქალაქეები ხშირად გამოხატავენ სერვისებით კმაყოფილებას მაშინაც კი, როცა ხელმისაწვდომობას ნეგატიურად აფასებენ - მათ თავად პრობლემის მოგვარების მცდელობა განაწყობთ პოზიტიურად. ეს განსაკუთრებით ითქმის სოფლის მაცხოვრებლებზე.

- ზოგადად, მოქალაქეები სოფლებში უფრო პოზიტიურად აფასებენ ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობას, ვიდრე ქალაქებში. მაგალითისათვის, აღმასრულებელი შტოს (მერის/გამგებლის) საქმიანობით კმაყოფილებას გამოხატავს თბილისელთა 53%, სხვა ქალაქებში - 68%, ხოლო სოფლად ეს მაჩვენებელი 77% შეადგენს.

საზოგადოება ადეკვატურად რეაგირებს პოზიტიურ ან ნეგატიურ ცვლილებებზე ისე, რომ არ შეუძლია კონკრეტული ცვლილების სიღრმისეული ანალიზი. მაგალითად:

- მუნიციპალიტეტების უფრო მცირე ერთეულებად დაშლასთან მიმართებით, მართალია, არ იზრდება მომხრეთა რაოდენობა, მაგრამ მცირდება მოწინააღმდეგეთა რიცხვი: ქალაქებში 52%-დან (2015) 45%-მდე (2017), სოფლებში - 45%-დან (2015) 32%-მდე. ამავე დროს, იზრდება იმ მოქალაქეთა ოდენობა, ვისაც კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (2013 – 25%, 2015 – 27%, 2017- 44%). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ:
  - *გასულ წლებთან შედარებით, საკითხი ნაკლებად განიხილება საზოგადოებრივ სივრცეში და ინფორმაციის ნაკლებობა ხელს უშლის საზოგადოებას, განსა-*

ზღვროს თავისი პოზიცია;

- *შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 7 ახალი თვითმმართველი ქალაქის შექმნამ და იქ განხორციელებულმა აქტივობებმა შეამცირა სკეპტიკოსთა რაოდენობა, მაგრამ უშუალოდ ასეთ ქალაქებში მიზანმიმართული კვლევის გარეშე ამ მოსაზრების დადასტურება ან უარყოფა ვერ ხერხდება;*
- *შემცირდა გამგებლის (მერის) პირდაპირი წესით არჩევის მომხრეთა რიცხვი (2013 – 64%, 2015 – 67%, 2017- 53%). საფიქრებელია, რომ მოსახლეობამ ვერ დაინახა კონკრეტული შედეგი, ვინაიდან თვითმმართველობის აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელთა არჩევას არ მოჰყოლია მათთვის რეალური მექანიზმების გადაცემა და არ გაზრდილა მათი დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების ხარისხი;*
- *მოქალაქეები თვითმმართველობებთან ურთიერთობისას მნიშვნელოვან სტრატეგიად ასახელებენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა უფრო ხშირ შეხვედრებს მოსახლეობასთან (2013- 45%, 2015 – 40%, 2017 – 44%) და მეტი ფინანსების საჭიროებას მუნიციპალიტეტის პრობლემების მოსაგვარებლად (2013 – 48%, 2015 – 40%, 2017 – 50%). როგორც რაუნდების შედეგთა ურთიერთშედარება აჩვენებს, როცა ხელისუფლება ამ მიმართულებით კონკრეტულ ქმედებებს ახორციელებდა (2015 წელს მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების დაგეგმვა, ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობის ზრდა), კრიტიკული განწყობა მყისვე იკლებდა.*

მოქალაქეთა დამოკიდებულება სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი მომსახურებისადმი განსხვავდება. უპირველეს ყოვლისა პოზიტიური ტენდენციის შესახებ:

- ზოგიერთ სერვისს მოქალაქეები წინა რაუნდებშიც პოზიტიურად აფასებდნენ და ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება. მოსახლეობის კმაყოფილების მაჩვენებელი მაღალია შემდეგი სერვისების შემთხვევაში: საჯარო სკოლების ფუნქციონირება (2013 – 80%, 2015 – 89%, 2017 – 88%), ელექტრომომარაგებაზე ხელმისაწვდომობა (2013 – 94%, 2015 – 94%, 2017 – 98%), ტურიზმის განვითარება (2013 – 29%, 2015- 38%, 2017 – 49%) და ყველაზე გავრცელებული საჯარო მომსახურება - პირადობის მოწმობის/ბიომეტრიული პასპორტის აღება (2013 – 92%, 2015 – 93%, 2017 – 98%).

- ზოგ სფეროში ასევე აღინიშნება მდგომარეობის გაუმჯობესება. ასეთია კმაყოფილება შემდეგი სერვისებით: დასახლების შიდა გზების ხარისხი (2013 – 47%, 2015 – 54%, 2017 – 57%), საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართული მუშაობა (2013 – 73%, 2015 – 82%, 2017 – 87%), სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა (2013 – 77%, 2015 – 77%, 2017 – 83%) და პროფესიული სასწავლებლების ქსელის (2013 – 31%, 2015 – 37%, 2017 – 40%) ხელმისაწვდომობა. ასევე აღსანიშნავია კმაყოფილების ზრდა სასმელი წყლით უზრუნველყოფის (2013 – 68%, 2015 – 69%, 2017- 72%), სოფლად გაზიფიცირების (2013 – 47%, 2015 – 42%, 2017- 59%) და მყარი ნარჩენების მართვის (2013 – 21%, 2015 – 48%, 2017- 54%) კუთხით.

- აქვე უნდა დასახელდეს ისეთი სერვისები, რომლებიც, ფაქტობრივად, არ არსებობდა და მათი განვითარება ახლა იწყება. მაგალითად, სოფლის ტიპის დასახლებებში ქუჩების დასუფთავება - 2015 წელს სოფლების მოსახლეობის მხოლოდ 6% ადასტურებდა აღნიშნული სერვისის არსებობას, 2017 წელს კი ამ მაჩვენებელმა 12% შეადგინა.

პოზიტიური ძვრების გარდა, აღსანიშნავია სფეროები, სადაც მდგომარეობა მეტად მძიმეა ან გაუარესების ტენდენცია შეინიშნება:

- ნეგატიურად შეფასდა რიგი მომსახურების არარსებობა. მაგალითად, წყალარინების (კანალიზაციის) სისტემა არ არის ხელმისაწვდომი ქვეყნის მოსახლეობის ნახევრისათვის (სასოფლო დასახლებები). მეორე მაგალითად გამოდგება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა ჩართულობის და-

ბალი მაჩვენებელი - გამოკითხულთა 90%-ს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა რაიმე სახის სამოქალაქო აქტივობაში.

- დაბალია გამოკითხულთა კმაყოფილების დონე საცხოვრებელი გარემოს დაგეგმარების (2013 – 59%, 2015 – 57%, 2017 – 59%) და მშენებლობის პოლიტიკის (2013 – 54%, 2015 – 56%, 2017 – 55%) სფეროში.

- დაბალი იყო და კიდევ უფრო მცირდება რიგი მაჩვენებლები: უფასო იურიდიული დახმარების სერვისით სარგებლობა (2013 – 11%, 2015 – 11%, 2017 – 7%) და თვითმმართველობების ორგანოებისადმი მოქალაქეთა მიმართვიანობა (2013 – 20%, 2015 – 18%, 2017 – 16%).

- გაუარესების ტენდენცია მჟღავნდება შემდეგ მაჩვენებლებში: მოსახლეობის პროფილაქტიკური (2013 – 84%, 2015 – 86%, 2017 – 79%) და შინაური ცხოველების აცრების (2013 – 49%, 2015 – 67%, 2017 – 30%) სახელმწიფო პროგრამის შესახებ ინფორმირება, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებით (ვაუჩერებით) სარგებლობა (2013 – 81%, 2015 – 70%, 2017 – 48%).

მესამე რაუნდისათვის სიახლე ისაა, რომ გამოიკვეთა საზოგადოებრივი მომსახურების კლასტერი, სადაც აღინიშნა ჯერ მდგომარეობის გაუმჯობესება (2013-2015), შემდეგ კი გაუარესება (2015-2017):

- შემცირდა სახელმწიფო დაზღვევით მოსარგებლეთა რაოდენობა (2013 – 38%, 2015 – 72%, 2017 – 48%), ასევე საავადმყოფოებისა (2013 – 40%, 2015 – 43%, 2017 – 37%) და პოლიკლინიკებისადმი (2013 – 29%, 2015 – 33%, 2017 – 31%) მოქალაქეთა მიმართვიანობა.

- იკლო გარე გზების ხარისხით კმაყოფილებამ (2013 - 73%, 2015 – 80%, 2017 – 77%)

კვლევის ფორმატი ყველა საკითხთან დაკავშირებით რესპონდენტთა არგუმენტირებული მოსაზრებების გაგების შესაძლებლობას არ იძლევა. თუმცა, კვლევის ერთ-ერთი მთავარი დასკვნის თანახმად შეიძლება ითქვას, რომ სერვისების უბრალოდ ხელმისაწვდომობის ზრდა საკმარისი არ არის აღნიშნული სერვისით კმაყოფილების დონის ზრდისათვის - ამას რაოდენობრივი მონაცემები ხშირად ადასტურებს. კვლევა იძლევა იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად, აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირება თვითმმართველობის მუშაობისა და სხვადასხვა მიმართულებით მიღწევების შესახებ.

BUS
STOP
3
4
1
2